# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 8 მაისი 2001 №82 (1355) | ფასი 50 თეთრი




გუშინ ვერის ბაღში: სტუ — ბასკო 74:104. ბუბა ბერიშვილმა
ბასკოელთა ამერიკელი ჯეფ როჯერსი ჯარიმითლა შეაჩერა

საქართველოს ჩემპიონატი

# 18:0

# რომელმაც, ალბათ, ჩემპიონი გაარკვია

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერიის პირველი მატჩის პირველ ტაიმში მასპინძელმა „სტუ-ჯეოსელმა“ ტოლი არაფერში დაუდო ქვეყნის ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს“.

შეხვედრის მეორე ნახევარი თითქოს ბევრ საინტერესოს უქადდა გულშემატკივარს, რომელსაც პირთამდე შეევსო ვერის ბაღის დარბაზი, მაგრამ ყველაფერი მესამე მეოთხედის ოთხ წუთში დამთავრდა: „ბასკომ“ 18:0 მოიგო ეს მონაკვეთი და მატჩის და, ალბათ, სერიის ბედიც გადაწყვიტა.

„ბასკოს“ ტიტულის შესანარჩუნებლად ერთი მოგებაღა უნდა. სავარაუდოდ, ბათუმელი კალათბურთელები ამას შინ 10 მაისს მოახერხებენ. საეჭვოა, „სტუ-ჯეოსელმა“ მათ მიზნის მიღწევაში ხელი შეუშალოს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# დრო: კონტრაბანდული ტვირთი რკინიგზით გადააქვთ

ვერ ვყოფილვართ კარგი მარჩიელნი, შაბათის „სარბიელში“ თავი კი გამოვიდეთ, მაგრამ... არა, მეორე ეტაპის მეშვიდე ტურის მატჩებს ჩაწყობილ-გარიგებულისა თითქოს არაფერი ეცხოთ, თუმცა ერთმა ამბავმა კი მიიპყრო ჩვენი გამორჩეული ყურადღება. ვაკეში „ლოკომოტივ“ — „კოლხეთის“ მატჩისას სტუმარ-მასპინძელს ტაიმებს შორის შესვენება 6-7 წუთით მეტი გამოუვიდათ, მერე და რაო? რა და, „26 მაისზე“ მატჩის დასრულებამდე 6-7 წუთით ადრე რკინიგზელებმა „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯიას“ ფრის ამბავი იცოდნენ. ეს ცოდნა კი, ფაქტობრივად, კონტრაბანდაა და დადგენილ წესთან და ზნეობასთან მწყრალად გახლავთ. დარჩენილ დროში რკინიგზელები ამ კონტრაბანდის რეალიზაციასაც შეეცადნენ, სამი ქულისთვის ბლომად ოფლი ღვარეს, მაგრამ „კოლხეთს“ მაინც ვერაფერი დააკლეს — 2:2.

ამასობაში კი „დინამომ“ იხეირა — „ეროვნულზე“ თასზე მოფიქრალ „მერანს“ მიქაძის ერთი და ზირაქიშვილის ჰეთ თრიქით საქმე მოუთავა.

ეროვნულ ჩემპიონატზე ეს ვიკმაროთ და ახლა საქართველოს კლუბების ნაკრებზე ვთქვათ.

ხვალ ქუთაისში რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის მხოლოდ ერთი ლეგიონერით შევსებული გუნდი ძველ და ახლო მეზობელს, აზერბაიჯანს უმასპინძლებს.

იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები



დინამო — მერანი 4:0. ზაზა ზირაქიშვილმა სამი გოლიდან მეორე პენალტით გაიტანა



ქართველმა და აზერბაიჯანელმა ყმაწვილებმა საუფროსო ქინით ითამაშეს

# პირველი ჟორჟიკაშვილური

## უყოჩო ქართველები და ბედნიერი აზერბაიჯანელები

თბილისი
7 მაისი
13 საათი
შევარდენი
500 (ტევადობა 3 000)

**საქართველო 1:0 აზერბაიჯანი**

17-წლამდელები

1:0 იაშვილი (68)
საქართველო: ჩილაძე, კალაძე, ლომაია, კუტივაძე, მიქიაშვილი, კაპანაძე, კუხაძე, ხოჯავა, ქვლიაშვილი (გუჩაშვილი 53), იაშვილი (უგრეხელიძე 77), ელიავა (ხმალაძე 19, ლაბაძე 52)
სათადარიგონი: ჯვარშეიშვილი, ბარაბაძე, კაშია
აზერბაიჯანი: ქერიმი (ბაირამოვი 80), სამახოვი (იუსიფოვი 72), მეხრაშევი, აბასოვი (მაგეროვი 69), მამედოვი, ვემიევი (მირზოევი 78), ჰუსეინოვი, ზეინალოვი (ჯაბრაილოვი 80), აგაკიშიევი, რაჯაბოვი (საფაროვი 80), გაიბოვი (მეხრალიზადე 80)
გაფრთხილება: იაშვილი (63), კაპანაძე (67), გუჩაშვილი (73), ჰუსეინოვი (32), რაჯაბოვი (26), მეხრაშევი (58)
მსაჯები: ლ. სილაგაძე, ო. ხუციძე, ა. ნანიკაშვილი; მ. ელიზბარაშვილი

**დავით თავართქილაძე**

**...მანამდე** იყო გერმანია, სადაც ქართველი ჩვიდმეტწლამდელები ახალი მთავარი მწვრთნელით ჩავიდნენ და ორივე შეხვედრა წააგეს, თუმცა ერთ მატჩში ერთი წლით უფროსებთან მოუწიათ თამაში. გუშინ კი იყო აზერბაიჯანი, ჩვენი მეზობლები, შორს მყოფნი გერმანიასთან, საფეხბურთო რუკაზე კი ერთ დროს ჩვენგანაც საკმაოდ დაცილებულნი.

მაინცდამაინც ბევრს არც ველოდით კობა ჟორჟიკაშვილის ბიჭებისგან. გუნდი შენების პროცესშია. იმედია, შემოდგომაზე გასამართ შესარჩევ ტურნირამდე შეკრებები და ამხანაგური შეხვედრებიც კიდევ მოეწყობა, მაგრამ უკეთესის მოლოდინში კი ვიყავით.

ჩვენს ნორჩ ფეხბურთელებს თამაშის რაღაც განსაკუთრებული ხელწერა არ ეტყობოდათ. ვერც ერთზე იტყოდა კაცი, აი, ამ ბიჭებს კოჭში ეტყობა...

ვერ ვიხილეთ ის, რასაც ფეხბურთში ქართული ნიჭიერება თუ რაღაც ამის მსგავსი ჰქვია. საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებში ერთი რიგიანი დრიბლიორიც ვერ გამოვარჩიეთ, ვერც შეუპოვრობით, ფიზიკური მონაცემებით თუ სისწრაფით დაიკვეხნიდა ვინმე. კინკილა გოლის გარდა ერთი ლამაზი ეპიზოდი ხომ მაინც უნდა გაგვეხერხებინა აზერბაიჯანთან.

სტუმრები ტოლ-სწორად ეთამაშნენ მასპინძლებს. მათი მხრიდან რამდენჯერმე იყო მცდელობა, პრესინგი მეტოქის ნახევარზევე განეხორციელებინათ, სისწრაფეზე აეწყოთ თამაში და არც ძიძგილაობაში დაახაგვრინეს თავი ჩვენებურებს. ქართველი ჭაბუკები ხშირად მოუხეშავად ირჯებოდნენ, მეტოქის საჯარიმოდან უკუგდებულ ბურთებზე დარტყმის ზონაში არავინ შედიოდა. მხოლოდ ერთხელ სცადა ეს მცველმა მიქიაშვილმა და ოციოდე მეტრიდან ცაციათი ააცილა „ცხრიანს".

და კიდევ, ჩვენი ჩვიდმეტწლამდელები ულიდეროდ არიან, ვერავინ ყოჩობს გუნდში, აზერბაიჯანელებს კი ჰყავდათ ასეთი — რომალ ჰუსეინოვი. ჩია და ჯმუხი კაპიტანი, რომელმაც დრიბლინგიც გვიჩვენა, გონივრული პასებიც, შორიდან კარში დარტყმის უნარიც და ლიდერის თვისებებიც.

მსაჯობაზეც ვთქვათ. ეროვნულ ნაკრებს კარგად კი აქვს დაცლილი საშინაო ამხანაგურ მატჩებზე თანამემამულე არბიტრების გარჯა, მაგრამ, არა გვგონია, ეს ტრადიცია ჩვიდმეტწლამდელებს რამეში წაადგეთ. აზერბაიჯანელთა ერთ-ერთი მწვავე იერიში ანზორ კალაძემ დაახრკოლა საკუთარ საჯარიმოში, ნებსით თუ უნებლიეთ ორჯერ ხელით შეეხო ბურთს...

სხვა რამ თვალსაჩინო პირველ ტაიმში არაფერი მომხდარა. საერთო ჯამში თანაბარი თამაში იყო, საგოლე მომენტების გარეშე. როცა ლაშა სილაგავამ ხელმეორედ უხმო გუნდებს მინდორზე, მთავარი ამბებიც მაშინ დატრიალდა. ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ჩვენმა შუახაზმა და დაცვამ ჩათვლიმა, ზეინალოვი ზვიად ჩალაძეს პირისპირ შეეყარა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები მყისვე გამოცოცხლდნენ. თუ რამ კარგი გვენიშნა მის გუნდში, ის არის, რომ სტანდარტულ სიტუაციებს სათანადო ყურადღება ეთმობა. გოჩა ხოჯავა კისრულობს მათ შესრულებას და არცთუ ურიგოდ. მის ფლანგურ ჯარიმას კალაძის არაზუსტი თავური მოჰყვა, შემდეგ თვითონ სცადა ჯარიმიდან გატანა და მეკარემ იმარჯვა. მერე ისევ ჯარიმა — ხოჯავამ კალაძეს დაუგორა ბურთი, მაგრამ კვლავ ქერიმმა იყოჩაღა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენებმა ასპროცენტიანი მომენტები გააცუდეს და გოლი მწიფდებოდა, მაგრამ გარდატეხა ნაღდად შეიტანეს მატჩში. ჟორჟიკაშვილმა მიზანში ზუსტად მოარტყა, როცა მინდორზე ვასილ გუჩაშვილი შეუშვა. ეს ქერა ახმახი ტარანის ტიპის ფორვარდად მოგვევლინა, თამაში გაამწვავა და გამარჯვების გოლშიც დიდი წვლილი დაიდო — მისი აქტიურობის შედეგად ბურთი საჯარიმოში შეჭრილ ამირან იაშვილს მიუვიდა, მეტოქე მცველი საპირისპირო სვლაზე კარგად ჩამოიცილა და ცაციათი ახლო კუთხეში გაიტანა.

სტუმრებსაც შეეძლოთ ეხეირათ და ფრეს გამორჩენოდნენ. ჰუსეინოვი ქართველთა საჯარიმოსთან ჩიკორივით დაბზრიალდა, ეფექტურადაც დაარტყა, მაგრამ ხარიხამ გვიხსნა, მერე კი აზერბაიჯანელთა კაპიტანს ახლოდან თავური გაუცუდდა.

***კობა ჟორჟიკაშვილი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი:***

— თანაბარი თამაში იყო. ჩვენი გულშემატკივრების წინაშე პირველად წავრდექით და ძალიან ვნერვიულობდით. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ იმპროვიზაცია და ტექნიკა მეორე პლანზე მოექცა.

— ისე მოხდა, რომ დაცვის მოთამაშეებმა ფაქტობრივად წინა დღით გაიცნეს ერთმანეთი, რადგან მანამდე მათი ერთად შეკრება ვერ მოხერხდა, ნახევარდაცვა და თავდასხმა კი შედარებით კარგად იყო დაბალანსებული.

***მერაბ ჟორდანია, სფფ-ის პრეზიდენტი***

— „შევარდენის" სტადიონს კომფორტული არ ეთქმის, მაგრამ ჩინებული მინდორი აქვს, იმიტომ გადავწყვიტეთ აქ მატჩის ჩატარება, რომ ფეხბურთელებს თავიანთი შესაძლებლობები კარგად გამოეყენებინათ.

***ფუად მუსაევი, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:***

— მადლობა სფფ-ს, რომ ეს მატჩი ჩატარდა. ბავშვთა ფეხბურთს დიდ ყურადღებას ვუთმობთ. ჩვენში ბევრს არ მოსწონს, მაგრამ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ თავის კლუბი შექმნა — „შაფა" უმაღლეს ლიგაში თამაშობს და ფედერაცია ინახავს. მის რიგებში ჭაბუკები და ახალგაზრდები თამაშობენ, დღეს რვა მათგანი მოედანზე იყო. ჰუსეინოვი კი 19-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებშიც ითამაშებს.

— აზერბაიჯანში მოედნების პრობლემა მეტად მწვავედ დგას და ასეთ მინდორზე თამაში ჩვენთვის ბედნიერებაა.

***ისლამ ქერიმოვი, აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:***

— ასეთი მატჩები ჩვენთვის ძალიან ნაყოფიერია. დღეს ოთხი თხუთმეტი წლის ფეხბურთელიც კი ვათამაშეთ. შესარჩევ ციკლში ძლიერი მეტოქეები გვყავს და მომავალზეც უნდა ვიფიქროთ.

---

საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე 12 ჩემპიონატი ეტაპი

**7 ტური**

## I–VI ადგილები

# ფაქეში დრო გადანიეს

თბილისი
5 მაისი
16 საათი
26 მაისი
50ზ (ტევადობა 35 000)

**ლოკომოტივი 2:2 კოლხეთი**

0:1 ლაღიძე (13), 1:1 შელია (20), 2:1 კაიდარაშვილი (45), 2:2 მუმლაძე (60)
ლოკომოტივი: ასლანიძე, ონიანი, ცხადაძე, შელია (მანჯგალაძე 72), სალუქვაძე, ქიქვიშვილი, ბალაშვილი, ანჩაბაძე (მარამონოვი 75), დათვაძე, კაიდარაშვილი, შენგელია (გილაური 46)
სათადარიგონი: ლომაია, ლაცაბიძე, ბაქრაძე
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, შავგულიძე, ქობულაძე, ლაღიძე (ტორჩინავა 16), შალამბერიძე, ფანჩულიძე, ე. გვასალია, მუმლაძე, კვირკველია, ნარსია (ქანტურია 46, ხუჭუა 80)
სათადარიგონი: ქაჩახია, ქუნთელია
გაფრთხილება: გოროზია (28), ბალაშვილი (35), შელია (65), ფანჩულიძე (73)
მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**დავით თავართქილაძე**

**ამ** თამაშის შემხედვარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რკინიგზელებმა ჩემპიონობისთვის რბოლას თავი ვერ მოაბეს. სოლიდური უპირატესობა ნელნელა ფლანგეს და პირველიდან მესამე ადგილზე ჩამოქვეითდნენ. ერთიცაა, საგაზაფხულო ეტაპისთვის მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ლამის ნახევარი გუნდით გაეცალა „ლოკომოტივს" და კონკურენტ „ტორპედოში" გადაბარგდა. საბოლოოდ ჯერ გაურკვეველია, ამით ვინ იხეირა, მაგრამ „ლოკომოტივი" რომ დაბრკოლდა, ფაქტია.

შედეგი ერთია და უნიათოდ ბურთაობა მეორე. ამბიციურ გუნდს გაცილებით მეტი ჟინი და მონდომება მართებს, ისიც უნდა იგრძნობოდეს, რომ შინ თამაშობს. „ლოკომოტივი" თითქოს მოირყა, გაუმართავ, ცუდად გაპოხილ მექანიზმს წაავავს, აღარც ცალკეული მოთამაშეების სახელები და ინდივიდუალური თამაში ჭრის.

ზაველ ლაღანიძე აბა, გოლს, როგორ გაიტანდა, თუ არა შორეული დარტყმით. თუმცა ერთ-ერთი მასპინძელი ფეხებში ჩაუხტა და ბურთი რიკოშეტით ჩაეშვა კარიდან ოდნავ წინგამოსული ასლანაძის კარში. ფოთელთა ყუმბარმტყორცნი კი ამ ეპიზოდში დაშავდა და რამდენიმე წუთში შეცვალეს კიდეც.

მასპინძლები დიდად არ გაშმაგებულან, ისე უპასუხეს კოლხებს. მოედნის ცენტრში ბალაშვილმა ჯარიმა მოინადირა, ანჩაბაძემ გამოზომილი დიაგონალით შელიას უპასა, რომელმაც მეორე სართულზე ყველას აჯობა.

შემდეგ გიორგი შენგელიას მართებდა გოლის გატანა, ალეკო კაიდარაშვილმა გაუხერხა პასები, მაგრამ ჯერ ხელებში „დაუმიზნა" ბურთი მამუკა გვასალიას, მერე ახლოდან ვერ მოარტყა მიზანში. სამაგიეროდ, გუნდის მეორე ფორვარდმა ივარგა. ონიან-დათვაძის ლამაზ კომბინაციას კაიდარაშვილმა ჩინებული გაგრძელება მიაყოლა, კორპუსით ოსტატურად „მოტეხა" მცველი და გვასალიასაც აუღებლად დაურტყა.

მეორე ტაიმში „26 მაისის" ავსტრიულ მინდორზე კოლხებმა გაილაღეს. სტუმრები პირწმინდად დაეუფლნენ უპირატესობას, თამაში მათი კარნახით წარიმართა, „ლოკომოტივი" კი, ფაქტობრივად, გაჩერდა, თითქოს გული დაიარხეინა და რაღა გასაკვირია, გოლიც რომ გაუშვა. ფანჩულიძემ კარგად ითამაშა მარჯვენა ფლანგზე, მერე ცენტრისკენ შეიწია, თავადაც შეეძლო დაერტყა, მაგრამ მუმლაძეს დაუგორა, რომელმაც ოცდაორიოდე მეტრიდან მაღალ კუთხეში აფართხალა ბურთი.

მოყანყალდა „ლოკომოტივი", გაშვებულმა გოლმა დააბნია გივი ნოდიას ბიჭები, კიდევ უფრო არამწყობრად ირჯებოდა გუნდი. მათი ბედი, „კოლხეთმა" რომ ველარ იმარჯვა, თორემ უდავოდ დამსახურებულადაც წააგებდნენ.

ტორჩინავას შეეძლო რკინიგზელთა დამწუხრება, მაგრამ არცთუ შორეული დარტყმა ასლანაძის საკბილო შეიქნა — მეკარემ ხელებში გააქვავა ბურთი. შემდეგ მასპინძელთა საჯარიმოში შეჭრილ ფანჩულიძეს მიეცა კარგი შანსი, თუმც რატომღაც კუთხე დაიმხვილა და მერე არაზუსტადაც დაარტყა. ფოთელები იმანაც დაალალატა, რომ თავდასხმის ლიდერი ჰამლეტ წივწივაძე არ ჰყავდათ, თორემ ასეთ მოდუნებას, ალბათ, არც აპატიებდნენ ლოკომოტიველებს.

ერთიც უნდა ითქვას. ტურის ყველა თამაში ერთი და იგივე დროს იმიტომაა დანიშნული, რომ გუნდებმა ერთდროულად დაიწყონ და ჩაამთავრონ მატჩი, ფეარ ფლეის ათი მცნება დაიცვან. ტაიმებს შორის შესვენება კი რატომღაც გაიწელა. ჰოდა, ქუთაისში რომ მატჩი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა, მაშინღა გამოიღეს თავი რკინიგზელებმა — მათ ამისთვის 6-7 წუთი კიდევ დარჩათ. მაგრამ არა, არ ეკუთვნოდათ სამი ქულა იმ დღეს გივი ნოდიას ბიჭებს, თუმც მიწურულში დათვაძეს რომ შეეგდო და მამუკა გვასალიას არ ეყოჩაღა...



რკინიგზელთა ფორვარდ ალეკო კაიდარაშვილს კოლხმა ელდარ გვასალიამ ბურთი ფარდნაში აართვა

**გერმანია**

II ბუნდესლიგა
XXXII ტური
ჰანოვერი 0:0 მიონხენგლადბახი

**ინგლისი**

XXXVII ტური
იფსვიჩი 2:1 მანჩესტერ სიტი

**ჰოკეი**

მსოფლიოს ჩემპიონატი

შვეიცარია 3:1 იტალია
ბელარუსი 4:1 იაპონია
ავსტრია 0:2 უკრაინა
ნორვეგია 0:3 ლატვია

# მერანმა ეროვნულზე დაისვენა

თბილისი
5 მაისი
18 საათი
ეროვნული
1000 (ტევადობა 70 900)

**დინამო 4:0 მერანი**

1:0 ზირაქიშვილი (44), 2:0 მიქაძე (68), 3:0, 4:0 ზირაქიშვილი (71, 89)
**დინამო:** ხაზირაშვილი, შაშიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, მაწკავა (სვანაძე 53), გაბიდაური (ჩივაძე 79), ბურდული, ა. სახვაძე, იაგორაშვილი (მიკუჩაძე 76), ზირაქიშვილი, გ.გ. მიქაძე
სათადარიგონი: გერგედავა; აფციაური, თუთარაშვილი, ი. შენგელია
**მერანი:** ნაჭყებია, ქინქლაძე, კვეკვესკირი, ბოლქვაძე (ქადაგიძე 62), ცქიფურიშვილი, ილურიძე, ხუციძე, დვალიძე, ხუციშვილი (ბადელიძე 62), კრავეიშვილი (სილაგავა 61), კოშკაძე
სათადარიგონი: კორიშინაძე; გოგიტაძე, ჩხაიძე, თოლორდავა
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**კობა ინასარიძე**

**მაშინ,** როცა ჩემპიონობის ორი კანდიდატი — „ტორპედო" და „ლოკომოტივი" ერთ გაწამაწიაში იყვნენ და სტუმრებთან დიდი ჯახი ჰქონდათ, „დინამო" მშობლიურ „ეროვნულზე" ზედ ქვსეულის აშკარა აუტსაიდერს მშვიდად ამარცხებდა.

„მერანი", რომლისთვისაც ჩემპიონატმა უკვე კარგა ხანია, აზრი დაკარგა, „დინამოს" შესუსტებული შემადგენლობით დაუპირისპირდა და ვინც ითამაშა, მაინცდამაინც არც მათ მოუკლავთ თავი. „მერანს" ახლა ერთადერთი საფიქრალიღა აქვს — ქვეყნის თასი. მართალია, „ლოკომოტივთან" პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ შანსები ერთობ შეუმცირდა, მაგრამ ავჭალელებს ფინალში გაღწევისა მაინც დიდად ეიმედებათ და ალბათ, ამიტომაც იყო მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი რომ დაასვენა. თუმც კი სამ ფეხბურთელს იძულებით შეელია — გუჯაბიძე, მუხინი და დავითნიძე დისკვალიფიცირებულნი იყვნენ. მოკლედ, შეიძლება ითქვას, „მერანმა" „ეროვნულზე" საწვრთნელი მატჩი გამართა, თუმც რამდენად სასარგებლო, ეგ სხვა საქმეა.

სტუმრებმა „დინამოს" წინააღმდეგობა 25-30 წუთს გაუწიეს, ერთხელ სახიფათოდაც დაემუქრნენ მასპინძლებს, მაგრამ ხუჯაძის ახლოდან და მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი ხაჩირაშვილმა მოიგერია. ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში კი მათი განადგურებაც დაიწყო. ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე, ჩინებულ სათამაშო ფორმაში მყოფმა და მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქის დამწიოკებელმა სახვაძემ ბურთი მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ზირაქიშვილმა წინ გამოსულ მეკარეს დაასწრო და თავით ლამაზად გაიტანა. ამ გოლმა „მერანი" გატეხა, ეს ნამატჩევს ოთარ გაბელიამაც აღნიშნა. შესვენების შემდეგაც აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა და კიდევ სამი გოლიც „უსახსოვრეს" სტუმრებს.

მეორე გოლიც სახვაძემ შექმნა. ცენტრის ხაზიდან საჯარიმომდე სამი მერანელი მოიტოვა, ბურთი ზირაქიშვილს გადააწოდა, მან მცველთაგან მიტოვებულ მიქაძეს, რომელმაც ბურთის დასარტყმელად გასწორებაც მოასწრო და ნაჭყებიასგან შორეულ კუთხეს დაუმიზნა — 2:0.

საქმე უკვე მოთავებული იყო. „მერანი" ორი გოლის გამბათილებელი არ ჩანდა, „დინამომაც" გაილაღა და ორჯერაც იხეირა. ორჯერვე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ზირაქიშვილმა გაახარა თავისიანები, ჯერ პენალტით, რომელიც მიქაძის წაქცევისთვის დანიშნა მალალურაძემ, მეორედ კი შეცვლაზე რამდენიმე წუთის შესული მიკუჩაძის პასის შემდეგ: მიკუჩაძემ მარცხენა ფლანგზე ორი მეტოქე მოატყუა და კარის წინ ეულად დარჩენილ ზირაქიშვილს გაატანინა.

ამ მატჩამდე „დინამოს" ჩემპიონობისთვის მართლაც მცირე შანსი კი ჰქონდა, მაგრამ ახლა, როცა „ტორპედომაც" და „ლოკომოტივმაც" ორ-ორი ქულა დაკარგეს, შესაძლოა, ოქროსაც წაეპოტინოს.

„მერანი" კი 15 მაისის მოლოდინშია. ავჭალელებმა საპასუხო სათასო ნახევარფინალში „ლოკომოტივს" ორი გოლი უნდა გაუბათილონ.



ავჭალელთა კარში დარტყმული ბურთი აჩიკო სახვაძემ თანაგუნდელ ზაზა ზირაქიშვილსა და მერანელ ზაზა კვეკვესკირს (№18) შორის გააძვრინა



სტუმარმა ზაზა ცქიფურიშვილმა მასპინძელი ლადო ბურდული სარმითლა შეაჩერა

ქუთაისი
5 მაისი
18 საათი
ტორპედო
11 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 1:1 ვიტ ჯორჯია**

1:0 დიდავა (27), 1:1 გოჩაშვილი (90)
**ტორპედო:** ზოიძე, მახვილაძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, ზ. არჩვაძე (მ. ბობოხიძე 90), თოდუა, მ. ჯინჭარაძე (ჯანაშია 53), დიდავა, გუჩუა (ზვიადაური 74), იონანიძე, აშვეთია
სათადარიგონი: ტოგონიძე; ი. ვაშაკიძე, იმედაძე, ჰ. კვეზერაძე
**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, საჯაია (წუწუნავა 83), ქანთარაძე, იმნაძე, ლ. ნოზაძე (ფეიქრიშვილი 89), დოლიძეშვილი, ჯ. მუჯირი, ყიფიანი, ტოგონიძეშვილი, ადამია (გ. გოჩაშვილი 73), ლ. შელიაძე
სათადარიგონი: მურღანი; დ. დოლიძე, სულთანიშვილი, გოცირიძე
**გაფრთხილება:** იონანიძე (7), ნოზაძე (36), დოლიძეშვილი (44), შელიაძე (68), საჯაია (69), აბრამიძე (67), თოდუა (80), აშვეთია (85), გოჩაშვილი (90)
**მსაჯები:** ა. კრიჟაშვილი; ზ. ჯავარიძე, მ. უჩუმაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**I–VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 38 |
| დინამო | 7 | 2 | 4 | 1 | 11:7 | 34 |
| ლოკომოტივი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 30 |
| კოლხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | 23 |
| მერანი | 7 | 1 | 2 | 4 | 1:11 | 18 |

„მერან" — „კოლხეთის" მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „კოლხეთს" სწორედ გარიგებულ მატჩში (4:2) მოპოვებული

## VII–XII ადგილები

# დილა დარიანი გოლიანი

გორი
5 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 600 (ტევადობა 8 230)

**დილა 4:0 თსუ**

1:0, 2:0 ხორგუაშვილი (16, 33 პ) 3:0 ეჯოშვილი (65) 4:0 ბოკერია (86)
**დილა:** სოლოლაშვილი, ბკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაგაძე (დ. მაისურაძე 71), ლომიძე, ფეხუაშვილი (საჯვარელიძე 71), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ა. ბოკერია 80)
სათადარიგონი: თ. ილურიძე; მ. ბურჩაძე, გოგინაშვილი, ოლეგქაშვილი
**თსუ:** სტურუა, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, ზ. გვაზავა, ზ. მეტრეველი, ახალაძე, მესხი, მერებაშვილი, ბ. ნოზაძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ფირცხალაიშვილი, დათუნაიშვილი, ბეროშვილი, ჯოპავა, ქურაშვილი, შოშიაშვილი
**გაფრთხილება:** მესხი (17), გვაზავა (32), ფეხუაშვილი (32), ახალაძე (56)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კაკაჩიაშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**თბილისურმა** თსუ-მ აბა, რა იცოდა, გორში თავსხმა წვიმა და ალაგ-ალაგ დატბორილი სტადიონი თუ დახვდებოდა. დედაქალაქის დარიანმა დილამ სულ სხვა თამაშისთვის განაწყო სტუდენტები, მაგრამ მატჩისწინა მოთელვაზეც ცხადი იყო, რომ სტუმართა შანსები მინიმუმამდე შემცირებული იყო.

გამოუცდელმა და უფრო ნაკლებად ათლეტურმა სტუმრებმა ატალახებულ მინდორზე ვერაფერი გააწყვეს ტრადიციულად ხისტად მოთამაშე მასპინძლებთან. „დილამ" თავისი ფეხბურთი ითამაშა, ამას განსაკუთრებული მონდომება და გამოცდილებაც დაერთო და თსუ-მაც ვერ გაუძლო მეტოქის ზეწოლას, ოთხი უპასუხო ბურთი გაუშვა.

თავის გადასარჩენად მებრძოლი სტუმარ-მასპინძელი მოურიდებლად დაეძგერა ერთმანეთს. საწყისი წუთების შემდეგ კი „დილას" უპირატესობა გამოიკვეთა. ვერ გაუძლო ზეწოლას სტუდენტთა შუა ხაზმა. დაცვაშიც შეცდომებმა იმატა და...

უშეცდომო არც „დილა" ყოფილა, მაგრამ უკან ხაჭაპურიძისა და გაგნიძის, შუა ხაზში რევაზიშვილის, ხოლო თავდასხმაში ხორგუაშვილის აქტიურმა თამაშმა საბოლოოდ გორელთა გამარჯვება განაპირობა.

თბილისელებმა ერთადერთხელ შექმნეს რეალური საგოლე მომენტი. მეორე ტაიმის დასაწყისში, მაშინ, როცა ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრას ერთხელაც შეეცადნენ, მაგრამ ჯარიმიდან ახალაძის ჩაწოდებული და ზურაბ მეტრეველის თავით დარტყმული ბურთი მასპინძელთა კარის მარცხენა ძელს მოხვდა.

ზემოთ გამოცდილება ვახსენეთ. ოსტატობაც რომ მოვიშველიოთ, არ იქნება ურიგო, რადგან ეს ყველაფერი აქვს „დილას" ფორვარდ ხორგუაშვილს. „პავლოვიჩმა", როგორც თანაგუნდელები მიმართავენ, 32-ე წუთზე პენალტი მოინადირა.

„დილას" მეათე ნომერმა სტუმართა მცველს გაასწრო, მასთან შესახვედრად დაძრული მეკარე მოატყუა და სტურუასაც რაღა დარჩენოდა, მოშხდური წააქცია... გორის „ცენტრალურის" საპატიო სტუმართა ლოჟიდან, სადაც ჟურნალისტებისთვისაც არის გამოყოფილი ადგილები, ყველაფერი ზუსტად ასე გამოჩნდა. საპრეტენზიოც არავის არაფერი ჰქონდა და შაბათს გორში მოედანზე ქუთაისელი დოგრაშვილი კი არა, იტალიელი კოლინაც რომ ყოფილიყო, უყოყმანოდ პენალტს დანიშნავდა, მაგრამ...

...მხოლოდ თამაშის შემდეგ, გასახდელში ჩაილაპარაკა მრავლისმნახველმა ვეტერანმა, სტურუა საერთოდ არ გამკარებიაო. ასეა, საფეხბურთო ეშმაკობასაც ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

ბევრისთვის მოულოდნელად, ახალჯვარდაწერილ რევაზიშვილს თამაში წაუვიდა, იგი მასპინძლებს მისთვის უჩვეულო მარცხენა ფრთაზე გაემწესებინათ. გეხსომებათ, უცხოეთიდან მობრუნებული გორელი კარგა ხანს ტრავმებმა გატანჯა, მერე დაოჯახდა და ამიტომაც იყო მოულოდნელი მისი კარგი თამაში, თორემ ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ და ეროვნულ გუნდში ნათამაშევ ფეხბურთელს გამოცდილება რომ არ აკლია, ფაქტია.

რევაზიშვილმა დაიწყო პირველი საგოლე შეტევა, რომელიც სასურველად დაგვირგვინდა. გიორგი ფლანგზე ორ მცველს გაუსწორდა, მერე ბურთი ბრძოლაში დაკარგა, მაგრამ მაინც მოახერხა და ბურთი ეჯოშვილს გაუგორა. გორელ თავდამსხმელს ბევრიც არ უფიქრია, საჯარიმოში ჩააწოდა. სტურუამ წამით დააგვიანა კარიდან გამოსვლა, ეს საკმარისი აღმოჩნდა ხორგუაშვილისთვის, რომელმაც თავით ცარიელ კარში გაიტანა.

მასპინძლებმა რომ პენალტი გამოიყენეს, უკვე მოგახსენეთ და, ჩვენი აზრით, თამაშის ბედიც მაშინ გადაწყდა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ერთხელაც გაიბრძოლეს და მოეშვნენ. მართალია, ეჯოშვილისა და ბოკერიას გოლები კარგად გათამაშებული კომბინაციებს მოჰყვა, მაგრამ იმ დროისთვის თსუ-ს მებრძოლი სული უკვე აღარ შერჩენოდა. არადა, ძალიან მონდომებულები კი იყვნენ სტუდენტები, თუმც შაბათს მათი დღე არ ყოფილა.

**იყიდება**
ოროთახიანი სუფთა ბინა
30 კვ.მ. მიშენებით,
დიღმის მასივში,
მე-4-ე კვარტალი,
მე-19-ე კორპუსი,
პირველი სართული.
ფასი შეთანხმებით
ტელ.: 95-90-32,
39-71-98,
877 42-82-83





ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

ბათუმელთა მეკარე გია ჭანტურიამ (№25) მომხვდურიც უსაქმოდ დატოვა და თანაგუნდელიც

# სამში ერთი და სამში ძნელი

რუსთავი
5 მაისი
18 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:1 ბათუმი**

0:1 ღლონტი (72), 1:1 ჯულელი (82პ)
გორდა: ბედიაშვილი, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, გელაძე (კიტეიშვილი 65), დ. ბერიძე, ლაშა სილაგაძე, მელაძე (მიშველიძე 74), ალადაშვილი, ჯულელი, ჯელაძე, გ. გ. მიქაძე
სათადარიგონი: გუგუნავა; ბექაური, ზ. ლაბაძე, პატარიძე, სოხაძე
ბათუმი: ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, ო. გველესიანი, მგალობლიშვილი? ...

ბათუმი: ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, ო. გველესიანი, მგავანაძე, ჩიჩუა, ღლონტი, ფულუჯიშვილი, მაჭუტაძე (ახვსაზავა 80), ქაცარავა, ბაბიძე
სათადარიგონი: ბალაძე; ბაჩილავა, დარჩიძე, კობიძე
გაფრთხილება: ჭანტურია (58)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. მიქელაძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

**ეროვნული** ჩემპიონატის პირველ ტურში „გორდამ“ „ფოლადზე“ სძლია „ბათუმს“. რუსთაველებმა ზღვისპირელები მეორე ეტაპზეც დაამარცხეს სტუმრად, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს შაბათს, მაშინ, როდესაც ჰაერივით სჭირდებოდათ სამი ქულა.

ფაქტია, 5 მაისს ასლან ბალაძის შეგირდებს ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი ჰქონდათ. „ბათუმს“, ფაქტობრივად, გადაჭრილი აქვს უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხი, „გორდას“ კი საამმატჩოდ მცირე მოდუნების უფლებაც არ ჰქონდა, რადგან პირველ ლიგაში ჩანაცვლების რეალური საშიშროების წინაშე იდგა. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ პირველივე წუთიდან უკანმოუხედავად შეუტიეს მასპინძლებმა. „ბათუმი“ მატჩის ამგვარი სცენარისთვის მზად აღმოჩნდა, დროულად აზღვევდნენ სტუმრები ერთმანეთს, საჭიროებისამებრ ბურთსაც იჭერდნენ და პირველი შესაძლებლობისთანავე მწვავე კონტრშეტევებით იხვლიტებოდნენ. გუშინდელმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხელაღებით გუნდის გაახალგაზრდავება ერთობ სარისკოა ჩვენში. ახალგაზრდა ბათუმელების მონდომება არასაკმარისი იქნებოდა რუსთაველთა წინააღმდეგ, სტუმრებს გამოცდილი პაატა მაჭუტაძე რომ არ ჰყოლოდათ. იგი გუნდის სული და გული იყო. აღსანიშნავია ავთანდილ ღლონტის გააზრებული და ეფექტური თამაშიც. სწორედ ღლონტი-მაჭუტაძის დუეტი უქმნიდა დიდ საფრთხეს რუსთაველებს და მოსვენებას არ აძლევდა „გორდას“ მცველებს. მხოლოდ ამ ორი ფეხბურთელის ანგარიშზეა ის ოთხი-ხუთი სახიფათო მომენტი, ბათუმელებმა რომ შექმნეს მასპინძელთა კართან მთელი მატჩის განმავლობაში. მასპინძელთაგან ჯელაძე და ალადაშვილი ყოჩაღობდნენ, ხშირად ერთვებოდა შეტევებში განაპირა მცველი ამირან კედელაშვილიც. სწორედ მისი პასით შეექმნა მე-17 წუთზე ჯელაძეს უაღრესად ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ თავდამსხმელს ბურთის კარში დარტყმისას წამით დაასწრო მინდაძემ. ორი წუთის შემდეგ ჯელაძემ ეფექტური მოძრაობით მეტოქის საჯარიმოში ორი ბათუმელი ჩამოიშორა და გაიტანდა კიდეც, ჭანტურიას სწრაფი რეაქცია რომ არ გამოევლინა. „ბათუმმა“ პირველ ტაიმში მეტად გალაღების საშუალება აღარ მისცა მეტოქეს. ორჯერ მაჭუტაძემ მეტად მოხერხებულ პოზიციაზე გაიყვანა ღლონტი, მაგრამ პირველ შემთხვევაში ზღვისპირელთა მეშვიდე ნომერს ბურთზე ფეხი აუცდა, მეორედ კი ბედიაშვილმა იხსნა გუნდი. ამ მომენტებმა მასპინძელთა ჟინი დააცხრო და ტაიმის დარჩენილ დროში „გორდა“ უფრო სტუმართა კონტრშეტევებს უფრთხოდა.

მეორე ტაიმიც რუსთაველთა შეტევებით დაიწყო. ჯერ ალადაშვილის ჯარიმიდან საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს ვერ მისწვდა თავით ჯულელი. მერე მელაძემ ააცილა მცირედ ჭანტურიას კარს. გულხელდაკრეფილნი არც სტუმრები ყოფილან. მაჭუტაძემ ოთხი წუთის ინტერვალში ორჯერ შეუქმნა ღლონტს საგოლე მომენტი, მაგრამ ბედიაშვილის კარი ორჯერვე მშრალად გადარჩა.

65-ე წუთზე კი გუგუჩაძემ შეტევა გააძლიერა და მცველ გელაძეს კიტეიშვილი შეუნაცვლა. ამან ხუთ წუთში სავალალო შედეგი მოუტანა „გორდას“. მაჭუტაძემ აუღელვებლად გაჭრა მეტოქის სამკაციანი დაცვა და კარის წინ დარჩენილ ღლონტს ფეხზე დაასვა ბურთი. მასაც არ გასჭირვებია გატანა და სტუმრები დაწინაურდნენ.

„გორდამ“ პენალტით გაათანაბრა. სანაიამ ბევრისთვის საეჭვოდ ჯელაძეზე საჯარიმოში წესების დარღვევა დააფიქსირა და ჯულელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა — 1:1. მერე კი კიტეიშვილს სამჯერ შეეძლო „ფოლადზე“ მისული ორი ათასამდე ქომაგის გახარება, მაგრამ ორჯერ ამის გაკეთება ჭანტურიამ არ დაანება, ერთხელაც რუსთაველის „მაკრატელა“ ბოლო წამს გველესიანმა კუთხურზე გადააგდო.

მატჩის შემდეგ შედეგით უკმაყოფილო „გორდას“ ხელმძღვანელობამ საგანგებო კრება მოაწყო. შეხვედრაზე მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ერთადერთი მოთხოვნა წაუყენეს — უმაღლეს ლიგაში დარჩენა. „მაქსიმუმს გავიღებთ, მჯერა, მიზანს მივაღწევთ“ — იქცევა თუ არა „გორდას“ თავკაცის, გია გეგუჩაძის იმედიანი სიტყვები საქმედ, დარჩენილი სამი ტური გვიჩვენებს.



☎ (231) 7 17 58

ქუთაისში

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე №.4 ლომბარდთან "სულიკოსთან"

# ძველი კაცის ახალი კაცობა

ბოლნისი
5 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:0 იბერია**

1:0 ამისულაშვილი (56ს.კ.)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ირემაშვილი, სიდამონიძე, სოლოლაშვილი, მინდიაშვილი, მოსეშვილი (ჩაგელიშვილი 88), მ. გოგოლაძე (ბ. ამზიძე 75), ბარნოვი, გაბისონია, ისიანი (კ. მეტრეველი 63)
სათადარიგო: დალაქიშვილი
იბერია: ცინაძე, თ. ყურაშვილი (სანიკიძე 63), შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, გ. ნოზაძე, ჩაჩუა, ლ. ხმალაძე, შ. ჩომახიძე, გულორდავა, იეჩიანი
სათადარიგონი: ვ. გაგუა; კაკაშვილი, ქიაბრიშვილი, ჟვანია, თარგამაძე
გაფრთხილება: ჩაჩუა (8), გოდერძიშვილი (13), ამისულაშვილი (60), გულორდავა (88)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

გიორგი ვაშაკიძე ბოლნისიდან

**ოქმს** თუ ჩახედავთ, ნუ გაიკვირვებთ, „იბერიის“ შემადგენლობაში ჩომახიძის გვარს რომ მოჰკრავთ თვალს. დიახ, ქართველ ფეხბურთელთა უკრაინულ ლეგიონს ერთი მოთამაშე გამოაკლდა: სიმფეროპოლის „ტავრიას“ აწ უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა შოთა ჩომახიძემ შაბათს ბოლნისში გააგორა ბურთი. მართალია, მშობლიური გუნდი მორიგი მარცხისგან ვერ იხსნა, მაგრამ იბერიელთა შორის გამორჩეული უდავოდ იგი გახლდათ. ნამატჩევს „იბერიის“ პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლაიშვილს სწორედ ჩომახიძეზე ვკითხეთ, სად იყავით აქამდე, უპრიანი იქნებოდა, შოთა ადრე ჩამოგეყვანათ, იქნებ არც გავარდნილიყავით-მეთქი. პრეზიდენტმაც კვერი დაგვიკრა, კარგი კი იქნებოდაო, მაგრამ...

სტუმართა თავკაცმა თამაზ ოდიკაძემ თამაშამდე ერთობ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — მცველი კობა ნინუა და თავდამსხმელი კახა კაჭარავა „თემურ სტეფანიაზე“ საერთოდ არ იყვნენ, ცხადია, ვერც თვრამეტკაციან ოქმში იქნებოდნენ, აკაკი კაკაშვილი და ირაკლი თარგამაძე კი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, აი, თავდამსხმელი ვალერი გაგუა მწვრთნელმა სულაც სათადარიგო მეკარედ გაამწესა.

ასეა თუ ისე, უმაღლეს ლიგას უკვე დამშვიდობებულმა „იბერიამ“ კვლავ წააგო. ბოლნისელებმა, მართალია, „სტუმართა ძალისხმევით“, მაგრამ მაინც მოიპოვეს სამი ქულა: ყოფილმა ტორპედოელმა ალექსანდრე ამისულაშვილმა გელა გაბისონიას არცთუ ძლიერი დარტყმული 56-ე წუთზე საკუთარ კარში ჩაჭრა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „სიონის“ კონკურენტთაგან მხოლოდ „დილამ“ მოიგო, ბოლნისელებს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ.

თამაში ჩაწყობილი არ იყო. ამაში, ალბათ, თავად ფედერაციის მიერ მივლენილი ჯაშუშიც დარწმუნდებოდა. იყო ერთი ავტოგოლი, რომელზეც ზემოთაც მოგახსენეთ და სამჯერაც ბოლნისელებმა ხარიხას მოარტყეს ბურთი. ორივე გუნდიდან გამთამაშებლად გამწესებულნი — დავით სოლოლაშვილი და შოთა ჩომახიძე გამოირჩნენ.

რაც შეეხება მსაჯობას, ვერ ვიტყვი, იდეალური იყო-მეთქი, მაგრამ ორდინიძესა და მის ამქარს ცილს ვერ დასწამებ, რომელიმე ეპიზოდში უხეშად შეცდნენო.

ჰო, რატომღაც შაბათს ვერ გაიგონებდით საქვეყნოდ ცნობილ ბოლნისელ ქომაგთა მხურვალე შეძახილებს. ან ალა არ იყო ხასიათზე, ანაც...

სპარტაკ არჩვაძე კი არც „იბერიასთან“ მატჩზე ყოფილა, თუმცა, როგორც გვითხრეს, იგი ახლა თავს კარგად გრძნობს. „სიონს“ კი უკვე ოფიციალურად ყოფილი მცველი გიორგი ყიფშიძე, „ყიფილო“ წვრთნის.



„სიონის“ ახალი თავკაცი
გიორგი ყიფშიძე

**VII–XII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:3 | 26 |
| სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 24 |
| დილა | 7 | 3 | 1 | 3 | 13:6 | 19 |
| გორდა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | 19 |
| თსუ | 7 | 3 | 0 | 4 | 7:14 | 19 |
| იბერია | 7 | 0 | 1 | 6 | 5:19 | 3 |

„გორდა“ — „სიონის“ მონაწილეობს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „გორდას“ სწორედ გარიგებულ მატჩში (3:2) მოპოვებული

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი

# 7 ტური

**I–VI ადგილები**

**მილანი 4:1 მეტალურგი**

**ცხინვალი 2:2 სამგურალი**

**გურია 2:0 შუქურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 35 |
| მილანი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:4 | 34 |
| სამგურალი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 32 |
| მეტალურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 29 |
| ცხინვალი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:10 | 26 |
| შუქურა | 7 | 0 | 3 | 4 | 2:10 | 23 |

**VII–XII ადგილები**

**თბილისი 0:2 ხობი**

**ოკეანე 1:0 თორი**

**ზუგდიდი 0:3 ივერია**

„ზუგდიდი“ მოხსნილია ჩემპიონატიდან, „ივერიას“ ჩაეთვალა მოგება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხობი | 7 | 5 | 1 | 1 | 14:3 | 29 |
| თორი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 25 |
| ოკეანე | 7 | 3 | 3 | 1 | 9:7 | 22 |
| თბილისი | 7 | 4 | 0 | 3 | 7:6 | 21 |
| ივერია | 7 | 3 | 1 | 3 | 12:7 | 18 |
| ზუგდიდი | 7 | 0 | 0 | 7 | 0:19 | 12 |

## ინგლისი

### XXXVII ტური

**მანჩესტერ იუნ. 0:1 დერბი ქაუნთი**

0:1 კრისტი (34)

მანჩესტერ იუნ: ბარტეზი (ვან დერ გოუ 87), ირვინი, უოლვორკი, იონსენი, ფ. ნევილი (სილვესტრი 76), ბექჰემი, მაიკლ სტიუარტი (გიგზი 64), ბათი, ჩედვიკი, ენდი კოული, შერინგემი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი, კარბონარი, ჰიგინბოთემი, მავენი, ბოერტიენი, დელაპი, ერანიო, ქინქლაძე (გუდიონსონი 77), ლ. მორისი, კრისტი (ბოლდერი 90)

მწვრთნელი: ჯიმ სმიტი

გაფრთხილება: ნევილი

67 526 მაყურებელი

**ჩელსი 2:1 ევერტონი**

0:1 კემპბელი (3), 1:1, 2:1 ჰასელბაინკი (32, 35)

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ლე სო, დესაი, ტერი, უაიზი, პოიეტი (ბაბაიარო 75), ჯ. მორისი, ჰასელბაინკი, ძოლა (იოკანოვიჩი 84), გუდიონსენი (გრონკიაერი 60)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ვეირი, ანსუორთი, ბოლი, პემბრიჯი (მაკლეოდი 82), კ. კემპბელი, ალექსანდერსონი (ნეისმიტი 46), ჯემილი, მური (ჯევონსი 70), ტალი

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

გაფრთხილება: ტერი, ჯემილი

35 196 მაყურებელი

**არსენალი 2:1 ლიდსი**

1:0 ლიუნგბერგი (17), 2:0 ვილტორდი (56), 2:1 ჰარტი (58)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, გრიმანდი, პირესი, ვილტორდი (პარლოუ 84), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბაკე (მაკფეილი 75), დაკური, კიუელი, რობი კინი (უილკოქსი 46), ვიდუკა

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ვიეირა, გრიმანდი, კოული, დაკური, კიუელი, ვიდუკა

38 142 მაყურებელი

**ასტონ ვილა 3:2 ქოვენთრი**

0:1, 0:2 ჰაჯი (18, 26), 1:2 ვასელი (61), 2:2 პაბლო ანხელი (81), 3:2 მერსონი (86)

ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი, ბოატენგი (ლ. ჰენდრი 46), ტეილორი, მერსონი, სტონტონი (გინოლა 40), დაბლინი, ვასელი (პაბლო ანხელი 63)

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

ქოვენთრი: კირკლენდი, პ. უილიამსი, ბრინი, ბ. ქუინი, ტელფერი (ედვორთი 37), ოსტიჩი, კარსლი, ჰაჯი, ჰალი (ზუნიგა 87), ბელამი, ჰართსონი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: პაბლო ანხელი, ოსტიჩი, ჰალი, ჰართსონი, კარსლი, ბელამი

39 761 მაყურებელი

**ბრედფორდი 1:1 მიდლსბრო**

1:0 ჯეკობსი (38), 1:1 კარამბუ (81)

ბრედფორდი: გ. უოლში, მიერსი, მოლენაარი (ნოლანი 46), ჰალე, ჯეკობსი, ჯოლი (ლოურენსი 16), ჯესი, მაკკოლი, რ. ბლეიქი, უორდი, კარბონე

მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი

მიდლსბრო: შვარცერი, გევინი (მარინელი 73), კუპერი, ეჰიოგუ, ვიკერსი, ოკონი, კარამბუ, ინსი, უინდასი, ბოკშიჩი (დინი 23), რიკარდი (მასტრო 85)

მწვრთნელი: ტერი ვენებლზი

გაფრთხილება: ლოურენსი, მაკკოლი, უორდი, მიერსი, რიკარდი, კარამბუ

20 921 მაყურებელი

**ლესტერი 4:2 ტოტენჰემი**

1:0 როუეტი (42), 1:1 დევისი (54), 2:1 სტარიჯი (56), 2:2 კარი (61), 3:2 გაპი (82), 4:2 სევიჯი (90პ)

ლესტერი: ფლაუერსი, იმპი, ფ. სინკლერი, როუეტი (დილანი 81), გაპი, დავიდსონი, ლუისი, სევიჯი, მარშალი, სტარიჯი, აკინბაი (ბენჯამინი 78)

მწვრთნელი: პიტერ ტეილორი

ტოტენჰემი: სალივანი, კარი, გარდნერი, იანგი, ტელველი, ლეონჰარდსენი, კლემენსი, კ. დევისი, შერვუდი, დოჰერტი, ლ. ფერდინანდი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

გაფრთხილება: სტარიჯი, სევიჯი, სინკლერი, ფერდინანდი, კარი

21 056 მაყურებელი

**ლივერპული 3:0 ნიუკასლი**

1:0, 2:0, 3:0 ოუენი (25, 72, 81)

ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ენრიკე, ჰიპია, კარაგერი, ჯერარდი (მერფი 64), მაკალისტერი, ჰამანი, შმიცერი (ბერგერი 69), ჰესკი (ფაულერი 76), ოუენი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ე. ქუინი, სპიდი, აკუნია (ბასედასი 73), სოლანო, კორტი (ამეობი 76), გალაჰერი (ლუა ლუა 73)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: აკუნია, დაბიზასი

44 363 მაყურებელი

**სანდერლენდი 3:2 ჩარლტონი**

1:0 კილბეინი (11), 1:1 სვენსონი (18), 2:1 ქუინი (20), 3:1 ფილიპსი (50), 3:2 იენსენი (60)

სანდერლენდი: სორენსენი, კარტერონი, ტომე, კრადოკი, გრეი, ჰატჩისონი, მაკკენი, შვარცი (დ. უილიამსი 76), კილბეინი, ფილიპსი, ნ. ქუინი (კილე 69)

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ჩარლტონი: ილიჩი, კ. პაუელი, უეინ ბრაუნი, ტოდი (კიშიშევი 85), ფიში, გ. სტიუარტი, კინსელა, იენსენი, ჯ. რობინსონი (ნიუტონი 68), სვენსონი, იოჰანსონი (ლისბი 76)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: შვარცი

47 671 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:0 საუთჰემპტონი**

1:0 კოული (59), 2:0 დი კანიო (70), 3:0 კანო (90)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფოქსი, სონგი, ს. პირსი, შტიმაცი (ბასილა 52), ლეილი, კარიკი, ჯ. კოული, დი კანიო, კანო, ტოდოროვი (შემელი 72)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, დოდი, მარსდენი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ოკლი, ს. დევისი, ბიტი, პახარსი (ლე ტისიე 78), ბრიჯი, კაჩლული (როსლერი 69; ტესემი 85)

მწვრთნელი: სტიუარტ გრეი

გაფრთხილება: პირსი, ფოქსი, დევისი

26 041 მაყურებელი

**იფსვიჩი — მანჩესტერ სიტი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

# ქოვენთრი წავიდა, დერბი დარჩა



REUTERS მანჩესტერიდან

ჩემპიონთა მწვრთნელი და კაპიტანი: სერ ალექს ფერგიუსონი და როი კინი

**„ოლდ ტრეფორდზე“** ზეიმი იყო და ზეიმობდა ორივე გუნდი: მასპინძელიცა და სტუმარიც — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ცხრა სეზონში მეშვიდე ჩემპიონობას, „დერბი ქაუნთი“ კი პრემიერლიგაში დარჩენას. „დერბიმ“ მალკოლმ კრისტის მოხდენილი გოლით აჯობა სანახევროდ რეზერვისტებით მოთამაშე და ტრავმირებული რონი იონსენითა და დენის ირვინით გამაგრებულ მასპინძლებს.

„მანჩესტერს“ თავი არ მოუკლავს, სტუმართა მეკარე მარტ პოომმა რამდენიმე რთული ბურთი აიღო, იმავ კრისტის კი დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ კარის წინიდან ვერ დაუმიზნა კარს. „დერბი ქაუნთის“ შეტევებს საზრიანად ხელმძღვანელობდა გიორგი ქინქლაძე, რომელმაც, ალბათ, სეზონში საუკეთესო თამაში ჩაატარა. მატჩის სასტვენისთანავე დერბელები სტუმართა ტრიბუნისკენ გაქანდნენ და თავიანთ ქომაგებთან ერთად იზეიმეს ჩემპიონის დამარცხება და ლიგაში დარჩენა. მანჩესტერელთა კაპიტანმა როი კინმა კი საჩემპიონო თასი ასწია. თავად კინს ამ შეხვედრაში არ უთამაშია, რახან მანჩესტერული დერბისას ალფ ინგე ჰაალანდის დაწიხვლისთვის წითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაციამ უწია.

სანამ „დერბი“ ზეიმობდა, „მიდლსბროს“ და „ბრედფორდს“ ფრედ ეთამაშათ, რამაც ასევე „დერბის“ წისქვილზე დაასხა წყალი. ბირმინგემში კი მეტად დრამატულ თამაშში დასრულდა კოხტა და არცთუ ურიგო გუნდის, „ქოვენთრის“ ოცდათოთხმეტწლიანი ყოფნა პრემიერლიგაში, „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ „ქოვენთრიმ“ ბრწყინვალედ ითამაშა პირველ ტაიმში და მუსტაფა ჰაჯის მახვილგონივრული დუბლით კარგი მარაგი შეიქმნა. მაგრამ, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო და „ქოვენთრისაც“ დაეწია: აქამდე არ გაეტანა ხუან პაბლო ანხელს და სწორედ გარდამტეხი შეაგდო. მისმა დარტყმულმა დარიო ვეესელის პირველ საპასუხოსთან ერთად სამი ქულის იმედი წაართვა „ქოვენთრის“, უბერებელ პოლ მერსონის შორეული დარტყმა კი ნამდვილ ქილერად იქცა.

„ჩვენ იმიტომ ვეშვებით პირველ დივიზიონში, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს და გამოცდილება არ ეყოთ. წლეულს გუნდი გადავახალისეთ და ვერაფრით დავაღწიეთ თავი გამოუცდელობის სინდრომს“ — თქვა „ქოვენთრის“ გულგატეხილმა მენეჯერმა გორდონ სტრაჩანმა.

გავარდნის საქმეები იქით და ცხრილის თავში დიდი ომი გაჩაღებულა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის.

ამ შაბათს გამოცდის წინაშე იდგა „ლიდსი“, რომელიც „არსენალს“ სტუმრობდა და თუკი სალიგო საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელება სურდა, „ჰაიბერიზე“ თავი უნდა დაედო. ამ თავდადებიდან ორი დღის თავზე კი „ლიდსს“ ჩემპიონთა ლიგის გასვლითი ნახევარფინალი აქვს ვალენსიაში. ორცეცხლშუა მოქცეულმა „ლიდსის“ მენეჯერმა დევიდ ოლირიმ თამაშის წინ განაცხადა, მთავარი ჩემთვის „ვალენსიასთან“ მატჩია და ძირითადი ფეხბურთელებს „არსენალთან“ თამაშს ნაკამიდან ვაყურებინებო. ეს კი თქვა, მაგრამ „ჰაიბერიზე“ „ლიდსს“ მხოლოდ ალან სმიტი, დენი მილსი და დისკვალიფიცირებული დევიდ ბეტი აკლდნენ. ამის მიუხედავად, „ლიდსი“ დიდად არ გაქაჩულა, ერთი ძელი და ერთიც იან ჰარტის საუცხოო ჯარიმა, რაც მეტად ცოტა იყო „არსენალის“ ორ გოლთან შედარებით.

„ლიდსის“ ამ ამოსუნთქვამ წამოქაჩა ის, ვინც ჩასაფრებული იყო: „ლივერპულმა“ 3:0 მოუგო „ნიუკასლს“ და მესამე ადგილზე მომაგრდა. სამივე გოლი მაიკლ ოუენმა გაიტანა. ამ ჰეთრიკით ოუენს 19 სეზონური გოლი მოუგროვდა, ჯამში კი, „ლივერპულში“ ნათამაშევ 157 შეხვედრაში — 78. 21 წლის ოუენს მშობლიურ გუნდში ახალ კონტრაქტს სთავაზობენ, რომელიც მიმდინარე კონტრაქტის დარჩენილ ორ წელიწადს ფინანსურად გააუმჯობესებს და რა თქმა უნდა, უფრო ხანგრძლივი იქნება.

**ირაკლი ბამყრელიძე**



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ლიდსი. ფრედერიკ ლიუნგბერგმა (№8) ლიდსელთა მეკარე ნაიჯელ მარტინი მცველივით ჩამოიტოვა და...

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 20 |
| მარკუს სტიუარტი (იფსვიჩი) | 19 |
| ანრი (არსენალი) | 17 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 16 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 15 |
| ჰესკი (ლივერპული) | 14 |

**გადადებული მატჩები**

დღეს

ლივერპული — ჩელსი

13 მაისი

ლიდსი — ბრედფორდი

საუთჰემპტონი — მანჩესტერ იუნ.

**XXXVIII ტური**

19 მაისი

ჩარლტონი — ლივერპული

ქოვენთრი — ბრედფორდი

დერბი ქაუნთი — იფსვიჩი

ევერტონი — სანდერლენდი

ლიდსი — ლესტერი

სიტი — ჩელსი

მიდლსბრო — ვესტ ჰემი

ნიუკასლი — ასტონ ვილა

საუთჰემპტონი — არსენალი

ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნ.

## პირველი დივიზიონი

### XLVI ტური

**ვულვერჰემპტონი 1:1 ქუინზ პარკი**

1:0 ლესკოტი (36), 1:1 ბრიუსი (62)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი (სტოუელი 75), დინინგი, ლესკოტი, კონელი, ნეილორი, ემბლენი, პრუდლოკი, ენდრიუსი, სინტონი (ლარკინი 46), ქიტამაია, ბრენჩი

მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი

17 447 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 შეფილდ იუნაიტედი**

0:1 ასაბა (52), 1:1 ჰოლდენი (90)

**ბარნლი 2:0 უოტფორდი**

1:0 პეიტონი (74), 2:0 მულინი (90)

**ჯილინგემი 1:1 ბლეკბერნი**

0:1 ბლეიქი (5), 1:1 კინგი (90პ)

**გრიმსბი 1:0 ფულემი**

1:0 გროვსი (27)

**ჰადერსფილდი 1:2 ბირმინგემი**

0:1, 0:2 ჰუდმაუზი (21, 45), 1:2 ბუთი (46)

**პორტსმუთი 3:0 ბარნსლი**

1:0 ბრედბერი (17), 2:0 ონილი (63), 3:0 ჰარპერი (75)

**პრესტონი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 გრიგენი (3), 1:1 კლემენტი (31), 2:1 ალექსანდერი (53პ)

**შეფილდ უენსდი 0:0 ქრიუ**

**სტოკპორტი 0:1 კრისტალ პალასი**

0:1 ფრიდმენი (87)

**ტრანმერი 2:2 ნოტინგემი**

1:0 რიდი (14), 1:1, 1:2 ჰერვუდი (66, 78), 2:2 მელონი (90)

**უიმბლდონი 0:0 ნორვიჩი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 46 | 30 | 11 | 5 | 90:32 | 101 |
| ბლეკბერნი | 46 | 26 | 13 | 7 | 76:39 | 91 |
| ბოლტონი | 46 | 24 | 15 | 7 | 76:45 | 87 |
| პრესტონი | 46 | 23 | 9 | 14 | 64:52 | 78 |
| ბირმინგემი | 46 | 23 | 9 | 14 | 59:48 | 78 |
| ვესტ ბრომვიჩი | 46 | 21 | 11 | 14 | 60:52 | 74 |
| ბარნლი | 46 | 21 | 9 | 16 | 50:54 | 72 |
| უიმბლდონი | 46 | 17 | 18 | 11 | 71:50 | 69 |
| უოტფორდი | 46 | 20 | 9 | 17 | 76:67 | 69 |
| შეფილდ იუნ. | 46 | 19 | 11 | 16 | 52:49 | 68 |
| ნოტინგემი | 46 | 20 | 8 | 18 | 55:53 | 68 |
| ვულვზი | 46 | 14 | 13 | 19 | 45:48 | 55 |
| ჯილინგემი | 46 | 13 | 16 | 17 | 61:66 | 55 |
| ქრიუ | 46 | 15 | 10 | 21 | 47:62 | 55 |
| ნორვიჩი | 46 | 14 | 12 | 20 | 46:58 | 54 |
| ბარნსლი | 46 | 15 | 9 | 22 | 49:62 | 54 |
| უენსდი | 46 | 15 | 8 | 23 | 52:71 | 53 |
| გრიმსბი | 46 | 14 | 10 | 22 | 43:62 | 52 |
| სტოკპორტი | 46 | 11 | 18 | 17 | 58:65 | 51 |
| პორტსმუთი | 46 | 10 | 19 | 17 | 47:59 | 49 |
| კრისტალ პალასი | 46 | 12 | 13 | 21 | 57:70 | 49 |
| ჰადერსფილდი | 46 | 11 | 15 | 20 | 48:57 | 48 |
| ქუინზ პარკი | 46 | 7 | 19 | 20 | 45:75 | 40 |
| ტრანმერი | 46 | 9 | 11 | 26 | 46:77 | 38 |

## მეორე დივიზიონი

46-ე ტური: ბრენტფორდი — ბერი 3:1; როვერსი — რექსჰემი 4:0; ლუთონი — პორტვეილი 1:1; მილუოლი — ოლდემი 5:0; ნორთჰემპტონი — უოლსოლი 0:3; ნოთსი — ოქსფორდი 2:1; პიტერბრო — როტერჰემი 1:1; რედინგი — ბორნმუთი 3:3; სტოკი — სუინდონი 4:1; სუონსი — კემბრიჯი 1:1; უიგანი — ბრისტოლი 0:0; უიკომბი — კოლჩესტერი 1:1

## მესამე დივიზიონი

46-ე ტური: ბარნეტი — ტორკი 2:3; კარლაილი — ჰალი 0:0; ჩელტენემი — საუთენდი 2:1; ჩესტერფილდი — ჰალიფაქსი 3:0; დარლინგტონი — ბლექპული 1:3; ექსეტერი — ლინკოლნი 0:0; ჰარტლპული — კარდიფი 3:1; მაკლსფილდი — ლეიტონი 0:2; მენსფილდი — სკანთორპი 1:0; პლიმუთი — როჩდეილი 0:0; შრიუსბერი — ბრაიტონი 3:0; იორკი — კიდერმინსტერი 1:0

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 36 | 24 | 8 | 4 | 77:26 | 51 | 80 | 19 | 15 | 2 | 2 | 49:12 | 37 | 47 | 17 | 9 | 6 | 2 | 28:14 | 14 | 33 |
| 2 არსენალი | 36 | 20 | 9 | 7 | 61:35 | 26 | 69 | 19 | 15 | 3 | 1 | 45:13 | 32 | 48 | 17 | 5 | 6 | 6 | 16:22 | -6 | 21 |
| 3 ლივერპული | 36 | 19 | 8 | 9 | 65:37 | 28 | 65 | 18 | 13 | 3 | 2 | 38:12 | 26 | 42 | 18 | 6 | 5 | 7 | 27:25 | 2 | 23 |
| 4 ლიდსი | 36 | 18 | 8 | 10 | 55:41 | 14 | 62 | 17 | 9 | 3 | 5 | 27:19 | 8 | 30 | 19 | 9 | 5 | 5 | 28:22 | 6 | 32 |
| 5 იფსვიჩი | 36 | 19 | 5 | 12 | 54:40 | 14 | 62 | 18 | 10 | 5 | 3 | 29:14 | 15 | 35 | 18 | 9 | 0 | 9 | 25:26 | -1 | 27 |
| 6 ჩელსი | 36 | 16 | 9 | 11 | 64:42 | 22 | 57 | 19 | 13 | 3 | 3 | 44:20 | 24 | 42 | 17 | 3 | 6 | 8 | 20:22 | -2 | 15 |
| 7 სანდერლენდი | 37 | 15 | 11 | 11 | 44:39 | 5 | 56 | 19 | 9 | 7 | 3 | 24:16 | 8 | 34 | 18 | 6 | 4 | 8 | 20:23 | -3 | 22 |
| 8 ასტონ ვილა | 37 | 13 | 15 | 9 | 46:40 | 6 | 54 | 19 | 8 | 8 | 3 | 27:20 | 7 | 32 | 18 | 5 | 7 | 6 | 19:20 | -1 | 22 |
| 9 ჩარლტონი | 37 | 14 | 10 | 13 | 50:53 | -3 | 52 | 18 | 11 | 5 | 2 | 31:15 | 16 | 36 | 19 | 3 | 5 | 11 | 19:38 | -19 | 14 |
| 10 ლესტერი | 37 | 14 | 6 | 17 | 38:48 | -10 | 48 | 19 | 10 | 4 | 5 | 28:23 | 5 | 34 | 18 | 4 | 2 | 12 | 10:25 | -15 | 14 |
| 11 ნიუკასლი | 36 | 13 | 8 | 15 | 41:50 | -9 | 47 | 17 | 9 | 3 | 5 | 23:17 | 6 | 30 | 19 | 4 | 5 | 10 | 18:33 | -15 | 17 |
| 12 ტოტენჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 44:53 | -9 | 46 | 18 | 10 | 6 | 2 | 28:15 | 13 | 36 | 19 | 2 | 4 | 13 | 16:38 | -22 | 10 |
| 13 საუთჰემპტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 35:45 | -10 | 46 | 17 | 9 | 2 | 6 | 22:19 | 3 | 29 | 19 | 3 | 8 | 8 | 13:26 | -13 | 17 |
| 14 ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 44:48 | -4 | 42 | 19 | 6 | 6 | 7 | 24:20 | 4 | 24 | 18 | 4 | 6 | 8 | 20:28 | -8 | 18 |
| 15 ევერტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43:57 | -14 | 41 | 18 | 6 | 7 | 5 | 27:25 | 2 | 25 | 19 | 5 | 1 | 13 | 16:32 | -16 | 16 |
| 16 დერბი ქაუნთი | 37 | 10 | 11 | 16 | 36:58 | -22 | 41 | 18 | 8 | 6 | 4 | 22:23 | -1 | 30 | 19 | 2 | 5 | 12 | 14:35 | -21 | 11 |
| 17 მიდლსბრო | 37 | 8 | 15 | 14 | 42:43 | -1 | 39 | 18 | 3 | 7 | 8 | 16:22 | -6 | 16 | 19 | 5 | 8 | 6 | 26:21 | 5 | 23 |
| 18 სიტი | 36 | 8 | 10 | 18 | 39:61 | -22 | 34 | 18 | 4 | 3 | 11 | 19:29 | -10 | 15 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:32 | -12 | 19 |
| 19 ქოვენთრი | 37 | 8 | 9 | 20 | 36:63 | -27 | 33 | 18 | 4 | 6 | 8 | 14:23 | -9 | 18 | 19 | 4 | 3 | 12 | 22:40 | -18 | 15 |
| 20 ბრედფორდი | 36 | 5 | 10 | 21 | 29:64 | -35 | 25 | 19 | 4 | 7 | 8 | 20:29 | -9 | 19 | 17 | 1 | 3 | 13 | 9:35 | -26 | 6 |

## გერმანია

### XXXII ტური

**ფრაიბურგი 1:0 ჰერტა**

1:0 რამდანე (80)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა, დრაიერი (ზანდი 66), ა. ცაიერი, ვილი, ვ. ბუტი (ვაისჰაუპტი 85), კულიბალი, კობიაშვილი, რამდანე, ტანკო (დორნი 79)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ჰერტა: კირალი, შმიდტი (დაეი 84), ვან ბურიკი, სვერისონი, კონსტანტინიდისი, რემერი (დარდაი 84), ტრეჩოკი, ჰარტმანი, დაისლერი, პრეეცი, ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ბუტი, ალვეში, სვერისონი, ტრეჩოკი
25 000 მაყურებელი

**მიუნხენი 3:1 კიოლნი**

0:1 ტიმი (11), 1:1 მაქსი (12), 2:1 აგოსტინო (82), 3:1 არველაძე (83ს.კ.)
მიუნხენი: იენჩი, ზელიჩი, კურცი (გრაილიხი 46), ტ. ჰოფმანი, მიუკლანდი, რისეტი, რიდლი, ტისი (ბიურკი 56), ჰესლერი, შროტი (აგოსტინო 78), მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
კიოლნი: პრიოლი, ბულაიჩი, ჩიკონი, ქივიორი, კელერი, ვოიგტი, კროიცი (შერცი 46), ლოტნერი, შპრინგერი (ა. არველაძე 83), ტიმი, კურტი (პივალიევიჩი 75)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ზელიჩი, მაქსი, კურტი, ჩიკონი
26 900 მაყურებელი

**ლევერკუზენი 0:1 ბაიერნი**

0:1 სანტა კრუზი (87)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ლუსიო, ნოვოტნი, რეები (ბრდარიჩი 61), რამელოვი, პლასენტე, ბალაკი, ზე რობერტო, კირსტენი, ნოივილი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
ბაიერნი: კანი, კუფური (სფორცა 61), ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, იერემისი, ლიზარაზუ, ეფენბერგი, პაულო სერჯიო (სანტა კრუზი 23), ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 61), იანკერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ბალაკი, იერემისი, ლინკე
22 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:0 შტუტგარტი**

დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, კოლერი, ევანილსონი, დედე, სტევიჩი, ჰაინრიხი, რიკენი (ადო 75), როსიცკი, ბობიჩი, რეინა (სორენსენი 83)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში, ბორდონი, ვენცელი, ტიამი (კაუფი 70), სოლდო, ტოდტი, ბალაკოვი, ადემარი (განეა 58; ტიფერტი 86)
მწვრთნელი: ფელიქს მაგატი
გაფრთხილება: ჰაინრიხი, ტოდტი, ტიამი
67 500 მაყურებელი

**შალკე 2:1 ვოლფსბურგი**

1:0 სანდი (31), 2:0 მპენზა (33), 2:1 იუსკოვიაკი (90)
შალკე: რეკი, ვან ჰუგდალემი, ვალდოხი, ნემეცი, კამფუისი, ბიუსკენსი, ბიომე (ნიკოლაიჩუკი 90), მიოლერი, ასამოა, სანდი, მპენზა (მულდერი 83)
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი, შნური, კრიგერი, ჰენგენი, ვაისერი, სებესკენი, კუჰბაუერი, მუნტიანუ (ს. მიულერი 73), იუსკოვიაკი, რიზე (ტ. მარიჩი 60)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: მპენზა, კუჰბაუერი, გრაინერი, მიულერი
58 370 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 პრეგერი (21), 1:1 აჯიჩი (84)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფუკალი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰოლერბახი, ტოფტინგი (მერჩი 52), იუფალუში, ჰაინცი, მაჰდავიკია (ფიშერი 89), პრეგერი (ილმაზი 81), ბარბარესი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, კომლიენოვიჩი, ცილი, შიონბერგი, გრამოცისი, ჰ. კოხი, ბუკი (აჯიჩი 60), ხრისტოვი (ბიელიცა 69), პეტერსონი, ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ჰოოგმა, ჰოლერბახი, ფუკალი, შიონბერგი, ხრისტოვი, ბუკი, გრამოცისი, ცილი
გაძევება: ბარბარესი (17)
52 124 მაყურებელი

# 180 წუთით ადრე



REUTERS

შალკე — ვოლფსბურგი. მასპინძელი ემილ მპენზა ჰორიზონტზე

**ვერდერი 0:0 უნტერჰახინგი**

ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი (სკრიპნიკი 46), კრსტაიჩი, ფრინგსი, სტალტერი, აილტსი, ბანოვიჩი (დაბროვსკი 77), ფ. ერნსტი (ტრარესი 77), ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო
მწვრთნელი: თომას შაფი
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ა. ჰერცოგი, ზაიფერტი, ჰაბერი, შვარცი, ჩიჟეკი (ობერლაიტნერი 64), ციმერმანი, შმიზაკი, ბრაიტენრაიტერი (აჰინფუსი 82), რაკლი (ბუგერა 89)
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოსტნერი
გაფრთხილება: ფრინგსი, დაბროვსკი, ბრაიტენრაიტერი
29 810 მაყურებელი

**აინტრახტი 3:0 ბოხუმი**

1:0 ბრანკო (53), 2:0 ჩენ იანგი (82), 3:0 პრეისი (84)
ჰელდტმა ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)
აინტრახტი: ჰაინენი, ვიმერი, კრახტი, ბინდევალდი, მუტცელი, გუიე მიენი, პრეისი, ბრანკო, ჰელდტი (სტრაიტი 66), რაიხენბერგერი (კრიცალოვიჩი 46), ჩენ იანგი (სობოტჩიკი 87)
მწვრთნელი: ფრიდელ რაუში
ბოხუმი: ვან დუინოვენი, ფარენჰორსტი, რაისი, შრიოდერი, მანდრეკო, კოლდინგი, ბემბენი (კოვაჩი 46), ლუსტი (მ. მარიჩი 54), ბასტურკი, ფრაიერი, კრისტიანსენი (ბალუშინსკი 46)
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
გაფრთხილება: კრახტი, რაისი, ვან დუინოვენი, შრიოდერი, ბასტურკი
გაძევება: ბრანკო (68), ბასტურკი (80)
20 600 მაყურებელი

**ჰანზა 1:0 კოტბუსი**

1:0 რიდლევიჩი (9)
პიპლიცამ ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი, ვიბრანი, ლანცი, რიდლევიჩი (ლანგე 89), მაიაკი, ბრანდი (ბაუმგარტი 68), სალუარვიდსონი (ცალმანი 80)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ჰუჯუროვიჩი, ვატა, აკრაპოვიჩი (ლაბაკი 79), ლატუნდი, ვაგრეჩუკი (კობილანსკი 79), მირიუტა, ჰელბიგი, ს. ილიე (რეზეკამპფი 74), ფრანკლინი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: მაიაკი, რიდლევიჩი, შებოკი
22 500 მაყურებელი

**32-ე ტურმა** ბუნდესლიგაში რამდენიმე საკითხს მოჰფინა ნათელი:

1. ჩემპიონობისთვის ბრძოლას ორი გუნდიღა შემორჩა —„შალკე“ და „ბაიერნი“.

2. გარკვეულია ამ გუნდების ვინაობაც, ვინც გაისად ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ ითამაშებს — „შალკესა“ და „ბაიერნს“ პირველ-მეორე ადგილებს ვერავინ შეეცილება.

3. მესამელიგელი ბერლინის „უნიონი“ მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს, რადგან ქვეყნის თასის ფინალში მის მეტოქე „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგა განაღდებული აქვს.

4. „ბოხუმი“ მინიმუმ ერთი წლით დაემშვიდობა პირველ ბუნდესლიგას, მის ადგილს „ნიურნბერგი“ დაიკავებს.

გასარკვევი კიდევ ბევრი დარჩა: ჩემპიონის ვინაობა, ევროტურნირებზე გამსვლელი გუნდები და იმ ორი უიღბლოს სახელი, რომლებიც „ბოხუმის“ კვალს გაჰყვებიან. ჩემპიონობისთვის ბრძოლამ კი კულმინაციას მიაღწია. „შალკე“ „ბაიერნს“ ხუთი ბურთით სჯობნის. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შარშანდელივით ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება, თუმცა ორი ადამიანი სხვაგვარად ფიქრობს.

„ბაიერნმა“ თუ ლევერკუზენში მოიგო, ნათელი იქნება, ჩვენ ვერაფერს გავხდებით“ — განაცხადა პარასკევს „შალკეს“ მენეჯერმა რუდი ასაუერმა. „მიუნხენელებს ჩემპიონობას ველარ შეეცილებით“ — თქვა მანვე შაბათს, ბავარიელთა ლევერკუზენში გამარჯვების მერე. მეორე კაცი, ვინც ჩემპიონის სახელი უკვე იცის, შტეფან ეფენბერგია, „ბაიერნის“ კაპიტანი — „პირველები ჩვენ ვიქნებით, მორჩა და გათავდა“...

ალბათ, ასეც იქნება, ყოველ შემთხვევაში, მიუნხენელთა გაჩემპიონება უფრო მოსალოდნელი, ვიდრე „შალკესი“, რატომ? იმიტომ რომ როცა საჭირო იყო, „ბაიერნმა“ ძალა მოიკრიბა და 87-ე წუთზე ლევერკუზენელებს სტუმრად გოლიც გაუტანა, „შალკე“ კი 89-ე წუთამდე შინ „ვოლფსბურგს“ 2:0-ს უგებდა, მერე ერთი ბურთი გაუშვა, ბოლო წამებზე კი კინაღამ უძვირფასესი ორი ქულა დაკარგა — მარიჩის დარტყმულის მერე გელზენკირხენელები ძელმა იხსნა. დარჩენილ ორ ტურში ანუ 180 წუთში ნერვების სიმტკიცეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საკითხავია, გაუძლებენ კი სტევენსის შეგირდები ასეთ გამოცდას?

თუმცა „შალკეს“ ერთი დიდი კოზირი აქვს — იქ ებე სანდი და ემილ მპენზა თამაშობენ, რომელთა შეჩერებაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. აი, მაგალითად, „ვოლფსბურგმა“ ეს ვერ შეძლო და წააგო კიდეც. მრისხანე დუეტმა ორ წუთში გადაწყვიტა მატჩის ბედი — 32-ე წუთზე მიოლერის ჩინებული პასის მერე სანდმა კრიგერი და გრაინერი ჩამოიშორა და რაიტმაიერს ისე გაუტანა. 120 წამის შემდეგ ბიომეს საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მპენზამ მანჯვენათი აიგდო და მარცხენათი მიწაზე დაუშვებლად კარში შეჭედა. ამის მერე თამაშის ბოლომდე მინდორზე სიმშვიდემ დაისადგურა, ბოლოს კი სანდსა და მპენზას კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაეყარათ.

„ახლა მთავარია, მომავალ ტურში შტუტგარტში არ დავკარგოთ ქულები“ — ჰოლანდიელი ჰუუბ სტევენსი უკვე შემდეგ თამაშზე ფიქრობს. „შალკეს“ შაბათს მართლაც ურთულესი შეხვედრა ელის დარჩენისთვის მებრძოლ „შტუტგარტთან“.

ლევერკუზენში თამაში კი სამი წუთის დაწყებული იყო, როცა ულფ კირსტენი ოლივერ კანს პირისპირ შეეყარა, აბა, კანი რის „მეკარეთა ღმერთი“ იქნებოდა, მეტოქეს ვერ გამკლავებოდა. 70-ე წუთზე ზე რობერტოც იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ სანტიმეტრებით ააცილა მიზანს. სამაგიეროდ, „ბაიერნის ჯოკერმა“, პარაგვაელმა როკე სანტა კრუზმა არ გაუშვა გატანის მცირე შანსი — 87-ე წუთზე რამელოზე, ნოვოტნსა და ბალაკზე მაღლა ახტა და ეფენბერგის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავით კარში მიუჩინა ადგილი, რითაც გუნდის თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი სიხარულისგან ლამის აცეკვა. „ბაიერნმა“ ზედიზედ მესამედ მოიგო 1:0. თანაც ამჯერად ელბერის, სალიჰამიჯიჩის და შოლის გარეშე. პირველი ორი ჰიცფელდმა „რეალთან“ სახვალიო მატჩისთვის დაასვენა, შოლს კი ტრავმა აქვს და მისი ბედი ჯერაც გაურკვეველია.

„დორტმუნდმა“ პარასკევს, ალბათ, ამ სეზონში ყველაზე სუსტად ითამაშა და ამიტომაც „შტუტგარტთან“ შინ მხოლოდ ქულას დასჯერდა.

ქართველთა „ფრაიბურგი“ ლიდერთა რისხვად იქცა. ბოლო ოთხ ტურში ფოლკერ ფინკეს გუნდი „ლევერკუზენს“, „კაიზერსლაუტერნს“, „ბაიერნსა“ და „ჰერტას“ დაუპირისპირდა და მიუნხენელთა გარდა ყველას მოუგო.

კვირას ჩვენებურთაგან მხოლოდ კობიაშვილმა ითამაშა და მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესოც იყო („კიკერმა“ 2,5 დაუწერა). იაშვილი თამაშისწინა ვარჯიშზე დაშავდა, კუნთი გაიწყვიტა და ალბათ, წლეულს ველარ ითამაშებს. მის არყოფნაში აბდელ რამდანემ ივარგა — 79-ე წუთზე ბერლინელთა დაცვა გაარღვია და გადამწყვეტი გოლი გაიტანა. მსაჯის მიერ წამატებული წუთები იწურებოდა, დაისლერმა რომ ჯარიმიდან მოჭრილი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია, მაგრამ მსაჯმა კონსტანტინიდისზე პასიური თამაშგარე დააფიქსირა და სამართლიანადაც. ბერძენი გოლცის წინ იდგა და მეკარეს ხელს უშლიდა. „ფრაიბურგი“ ახლა „კაიზერსლაუტერნს“ ერთი ქულით ჩამორჩება და თუ გადაუსწრო, უეფას თასზეც ითამაშებს. საამისოდ კი მართლაც კარგი შანსი აქვს — ბრემეს გუნდს ბოლო ორ ტურში ძნელი მატჩები [illegible] სტუმრად „ბაიერნს“ [illegible] შინ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელ ბერლინის „ჰერტას“ მასპინძლობს.

„კაიზერსლაუტერნი“ შაბათს „ჰამბურგს“ ეწვია და ქულა ძლივს წამოიღო, რაშიც მიხაელ შონბერგის სამსახიობო ნიჭიც დაეხმარა, იგი სერგეი ბარბარესს წაეკამათა, მერე თავიც ჩაარტყა, თუმცა ტყვიანაკრავივით თავად დაეცა. გამოცდილი ჰელმუტ კრუგი ანკესზე წამოეგო და მასპინძლები მე-16 წუთზე ათი კაცით დატოვა. საბოლოოდ პრეგერმა და აჯიჩმა გოლები გაცვალეს და თამაშიც ფრედ დასრულდა. არჩილ არველაძე მინდორზე რამდენიმე წამის შესული იყო, გოლი რომ გაიტანა, ოღონდ საკუთარ კარში. აგოსტინოს დარტყმული ქართველ ფორვარდს მოხვდა და რიკოშეტით კარში აღმოჩნდა. ეს 83-ე წუთზე მოხდა, როცა საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა — 3:1 „მიუნხენ 1860“-ის სასარგებლოდ. ისე ეს ანგარიში მინიმუმ პირველ ტაიმშივე უნდა ყოფილიყო, იმდენად დიდ უპირატესობას ფლობდნენ მასპინძლები

„აინტრახტი“ ბოლო დროს მკვდრებში ეწერა და ცოცხალი ყოფილა. [illegible] მცა „ბოხუმთან“ მატჩით ამ გუნდის სიცოცხლისუნარიანობაზე ლაპარაკი ძნელია. ერთი ფაქტია — ფრანკფურტელებმა ლიგის აუტსაიდერთან უპრობლემოდ მოიგეს და ელიტაში დარჩენის შანსი შეინარჩუნეს. მით უმეტეს, ბოლო ტურში უშუალო კონკურენტ „შტუტგარტს“ უმასპინძლობენ.

„ჰანზასთან“ „კოტბუსის“ საგარეო მარცხი ყველამ სტუმართა მეკარე ტომისლავ პიპლიცას დააბრალა, რომელმაც ჯერ ლამის ცენტრიდან დარტყმული ჯარიმა გაუშვა, მერე ბუტობა მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა — ჰამბურგელთა მეკარე იორგ ბუტი ბუნდესლიგის შტატიანი მეპენალტეა, პიპლიცამაც ალბათ იფიქრა, რით ვარ ნაკლებიო და... თერთმეტმეტრიანი გააფუჭა, პიკენჰაგენმა აუღო.

**ვანო ოქროპირიძე**
**ბერლინიდან**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 შალკე | 32 | 17 | 8 | 7 | 60:31 | 29 | 59 | 16 | 11 | 4 | 1 | 31:10 | 21 | 37 | 16 | 6 | 4 | 6 | 29:21 | 8 | 22 |
| 2 ბაიერნი | 32 | 18 | 5 | 9 | 59:35 | 24 | 59 | 16 | 11 | 1 | 4 | 35:19 | 16 | 34 | 16 | 7 | 4 | 5 | 24:16 | 8 | 25 |
| 3 დორტმუნდი | 32 | 15 | 9 | 8 | 55:38 | 17 | 54 | 16 | 9 | 3 | 4 | 31:17 | 14 | 30 | 16 | 6 | 6 | 4 | 25:20 | 5 | 24 |
| 4 ლევერკუზენი | 32 | 16 | 5 | 11 | 52:39 | 13 | 53 | 16 | 9 | 2 | 5 | 29:16 | 13 | 29 | 16 | 7 | 3 | 6 | 23:23 | 0 | 24 |
| 5 ჰერტა | 32 | 17 | 1 | 14 | 56:51 | 5 | 52 | 16 | 11 | 1 | 4 | 37:21 | 16 | 34 | 16 | 6 | 0 | 10 | 19:30 | -11 | 18 |
| 6 ლაუტერნი | 32 | 15 | 5 | 12 | 48:51 | -3 | 50 | 16 | 8 | 3 | 5 | 24:18 | 6 | 27 | 16 | 7 | 2 | 7 | 24:33 | -9 | 23 |
| 7 ფრაიბურგი | 32 | 13 | 10 | 9 | 47:35 | 12 | 49 | 16 | 8 | 5 | 3 | 32:14 | 18 | 29 | 16 | 5 | 5 | 6 | 15:21 | -6 | 20 |
| 8 ვერდერი | 32 | 13 | 8 | 11 | 47:47 | 0 | 47 | 16 | 9 | 4 | 3 | 30:18 | 12 | 31 | 16 | 4 | 4 | 8 | 17:29 | -12 | 16 |
| 9 კიოლნი | 32 | 12 | 9 | 11 | 55:46 | 9 | 45 | 16 | 8 | 5 | 3 | 32:15 | 17 | 29 | 16 | 4 | 4 | 8 | 23:31 | -8 | 16 |
| 10 ვოლფსბურგი | 32 | 11 | 11 | 10 | 56:41 | 15 | 44 | 16 | 7 | 6 | 3 | 35:18 | 17 | 27 | 16 | 4 | 5 | 7 | 21:23 | -2 | 17 |
| 11 მიუნხენი | 32 | 12 | 7 | 13 | 43:54 | -11 | 43 | 16 | 8 | 3 | 5 | 23:24 | -1 | 27 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:30 | -10 | 16 |
| 12 ჰანზა | 32 | 12 | 6 | 14 | 34:44 | -10 | 42 | 16 | 8 | 4 | 4 | 22:20 | 2 | 28 | 16 | 4 | 2 | 10 | 12:24 | -12 | 14 |
| 13 ჰამბურგი | 32 | 10 | 10 | 12 | 55:53 | 2 | 40 | 16 | 8 | 5 | 3 | 32:20 | 12 | 29 | 16 | 2 | 5 | 9 | 23:33 | -10 | 11 |
| 14 შტუტგარტი | 32 | 8 | 11 | 13 | 40:47 | -7 | 35 | 16 | 8 | 5 | 3 | 30:20 | 10 | 29 | 16 | 0 | 6 | 10 | 10:27 | -17 | 6 |
| 15 უნტერჰახინგი | 32 | 8 | 11 | 13 | 31:50 | -19 | 35 | 16 | 7 | 6 | 3 | 20:16 | 4 | 27 | 16 | 1 | 5 | 10 | 11:35 | -24 | 8 |
| 16 კოტბუსი | 32 | 10 | 3 | 19 | 33:50 | -17 | 33 | 16 | 9 | 1 | 6 | 23:18 | 5 | 28 | 16 | 1 | 2 | 13 | 10:32 | -22 | 5 |
| 17 აინტრახტი | 32 | 9 | 5 | 18 | 39:64 | -25 | 32 | 16 | 7 | 3 | 6 | 24:21 | 3 | 24 | 16 | 2 | 2 | 12 | 15:43 | -28 | 8 |
| 18 ბოხუმი | 32 | 7 | 6 | 19 | 29:63 | -34 | 27 | 16 | 5 | 4 | 7 | 19:25 | -6 | 19 | 16 | 2 | 2 | 12 | 10:38 | -28 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 21 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 19 |
| პიზარო (ვერდერი) | 18 |
| პრეეცი (ჰერტა) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 13 |
| მპენზა (შალკე) | 13 |

**XXXIII ტური**

12 მაისი

უნტერჰახინგი — დორტმუნდი
კიოლნი — ვერდერი
კოტბუსი — ჰამბურგი
ბოხუმი — ფრაიბურგი
ვოლფსბურგი — აინტრახტი
შტუტგარტი — შალკე
ჰანზა — მიუნხენი
ბაიერნი — ლაუტერნი
ჰერტა — ლევერკუზენი

## მეორე ბუნდესლიგა

### XXXII ტური

**როიტლინგენი 2:0 ოსნაბრუკი**

1:0 სუმიალა (29), 2:0 ადუბე (69)
როიტლინგენი: კურკო, ჰოფაკერი (ვილდმანი 30), მალხოვი, ლაბაჩინსკი, ტრაუბი, ადუბე, ლექსა, ბეკერი (აგუ 78), იანიჩი, სუმიალა (მ. საჯაია 87), დიაბა
მწვრთნელი: რალფ ზე
5 000 მაყურებელი

**არმინია 1:1 ფიურტი**

1:0 ვიშნიარეკი (13პ), 1:1 შკარაბელა (51)
ფიურტი: რაიხოლდი, რაიტერი, შკარაბელა, ბოი, სურმანი, რუმანი, ვალტერი, აზუზი (რაიხელი 46), ფელგენაუერი, კიოიო (მესენმუტლი 67), ტიური (ამანატიდისი 46)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
14 127 მაყურებელი

**დუისბურგი 1:1 ქემნიცი**

1:0 ვოლტერსი (29), 1:1 კუიატი (87)

**ნიურნბერგი 1:0 მაინცი**

1:0 ჰობში (84)

**ალემანია 0:1 ზანქტ პაული**

0:1 ბიურგერი (11)

**კიკერსი 0:1 ზაარბრიუკენი**

0:1 კრიგი (17)

**ჰანოვერი — მიონხენგლადბახი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**ალენი — ობერჰაუზენი**

**ვალდჰოფი — ულმი**

ხვალ გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 32 | 19 | 5 | 8 | 56:33 | 62 |
| გლადბახი | 31 | 16 | 9 | 6 | 57:29 | 57 |
| ფიურტი | 32 | 15 | 8 | 9 | 52:34 | 53 |
| ზანქტ პაული | 31 | 15 | 8 | 8 | 65:49 | 53 |
| ვალდჰოფი | 31 | 14 | 8 | 9 | 46:41 | 50 |
| ალენი | 30 | 13 | 8 | 9 | 52:47 | 47 |
| ზაარბრიუკენი | 31 | 13 | 8 | 10 | 44:53 | 47 |
| როიტლინგენი | 30 | 13 | 7 | 10 | 58:48 | 46 |
| დუისბურგი | 31 | 12 | 8 | 11 | 44:36 | 44 |
| ობერჰაუზენი | 31 | 13 | 5 | 13 | 42:43 | 44 |
| ჰანოვერი | 31 | 11 | 8 | 12 | 48:42 | 41 |
| ალემანია | 31 | 11 | 7 | 13 | 37:58 | 40 |
| არმინია | 32 | 9 | 11 | 12 | 49:43 | 38 |
| მაინცი | 31 | 9 | 9 | 13 | 34:39 | 36 |
| კიკერსი | 31 | 8 | 10 | 13 | 28:40 | 34 |
| ოსნაბრუკი | 32 | 8 | 9 | 15 | 34:49 | 33 |
| ულმი | 31 | 8 | 7 | 16 | 36:48 | 31 |
| ქემნიცი | 31 | 2 | 7 | 22 | 23:73 | 13 |

# ალალი რეალი არ გაყიდა, მუქთად მისცა

## ესპანეთი

### XXXIII ტური

**სოსიედადი 1:2 ვალენსია**

0:1 ზაჰოვიჩი (66), 1:1 არანსაბალი (74პ), 1:2 აიმარი (82)
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, ლორენი, ლოპეს რეკარტე (ალბერტო ალეხანდრო 86), ჟულიო სეზარი, ლუის ალბერტო, ტაიფური, ხოხლოვი, დე პაულა (გურუჩაგა 46), იდიაკესი (ხაბილონდო 72)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, აიალა, კარბონი, დეშამპი, ზაჰოვიჩი, ანგულო, ვისენტე (კილი გონსალესი 76), ბარახა (ილიე 60), აიმარი, დიეგო ალონსო (კარეუ 72)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ლუის ალბერტო, ტაიფური, ლოპეს რეკარტე, ბარახა
გაძევება: ლუის ალბერტო (38), ფუენტესი (45)
28 000 მაყურებელი

**სელტა 3:0 რეალი**

1:0 ხუანფრანი (8), 2:0 გუსტავო ლოპესი (25), 3:0 ხესული (94)
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ხუანფრანი, ჯოროვიჩი, ჯოვანელა, მოსტოვოი, ედუ (ხაიო 61), ვაგნერი, გუსტავო ლოპესი (ხესული 87), კატანია (პაბლო 79)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, კამპო, ელგერა (გუტი 62), სავიო, ფლავიო კონსეისაო (მუნიტისი 72), სელადესი, სოლარი, ფიგუ, რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, ელგერა, კამპო, ველასკო, ჯოვანელა
გაძევება: რობერტო კარლოსი (22), ჯოვანელა (68)
22 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:0 ბარსელონა**

ესპანიოლი: მორა, როტჩენი, დავიდი (არტეაგა 84), ლოპო, ველამაზანი, სერხიო, გალკა, ნაგასი, როსერი, მარტინ პოსე (ლარდინი 73), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი, ფ. დე ბური, პუიოლი, კოკუ, ხავი, ოვერმარსი, ზენდენი (სიმაო 66), ლუის ენრიკე (სერხი 91), რივალდო (პეტი 23), კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: სერხიო, დე ბური, ზენდენი, მარტინ პოსე
30 800 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:1 დეპორტივო**

1:0 ბოლო (56), 1:1 ვალერონი (69)
რაიო ვალეკანო: კელერი, მინგო, დე კინტანა, ალკასარი, ბალესტეროსი, მაური, ივან იგლესიასი, კვედო, ლუის ხემბრანოსი, პელეგრინი, ბოლო (ბოლიჩი 81)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, სესარი, ჰელდერი, მაურო სილვა, ფრანი, ემერსონი (პანდიანი 60), ვიქტორი (სკალონი 70), ვალერონი, მაკაი (დიეგო ტრისტანი 89)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ალკასარი, ჰელდერი, მაკაი, ემერსონი, სესარი, ივან იგლესიასი
8 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:0 მალიორკა**

1:0 არმენტანო (64)
ივან როსადომ ვერ გაიტანა პენალტი (53, მეკარე)
ოსასუნა: ნუნო, ხოსუე, იანგუასი, კრუჩაგა, ვიდაკოვიჩი, ხერარდო, ანხელ ლუისი (არმენტანო 62), ალექსი, ლეკუმბერი, განსედო (პალასიოსი 89), ივან როსადო (ალფონსო 79)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
მალიორკა: ბურგოსი (მიკო 59), ფერნანდო ნინო, არმანდო, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა (ნოვო 57), ნადალი, იბაგასა, ჩიჩო სოლერი (კარლოსი 66), მარკოსი, ეტო, ლუკე
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ბურგოსი, იანგუასი
18 864 მაყურებელი

**ალავესი 5:1 რასინგი**

1:0 კრუიფი (16), 2:0 ხავი მორენო (35), 3:0 ივან ალონსო (55), 3:1 მორანი (61), 4:1 განანი (66), 5:1 ხავი მორენო (73)
ალავესი: ერერა, იბონ ბეგონია, ეგენი, კარმონა, ჟელი, დესიო, ასტუდილიო, მაგნო (ივან ალონსო 46), ხავი მორენო (ვუჩკო 84), კრუიფი (განანი 62)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ მარდო
რასინგი: სებალიოსი, არსენო, მელბერგი, სიეტესი, ტაისი, რეგუერო (მაგალიანესი 46), ესპინია, ისმაელი, მაციონი, ამავისკა, მანხარინი (მორანი 46)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: ეგენი, მაგნო, კრუიფი, ჟელი, ისმაელი, არსენო, ესპინია
13 205 მაყურებელი

**სარაგოსა 3:1 ნუმანსია**

1:0, 2:0 იორდი (7, 24), 3:0 აგუადო (50), 3:1 ხოსე მანუელი (75)
სარაგოსა: ხუანმი, კუარტერო, აგუადო, პაბლო, პაკო ხემესი, მარტინ ველისკა, ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი, ხუანელე (არაგონი 74), იორდი (პეტერნაკი 87)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
ნუმანსია: რაული, ხაუმე, ანტია, მანელი, პაჩეტა (ობედა 54), ნაგორე, როსუ (გუსტავო 66), მარინი (პირი 46), ხოსე მანუელი, ინიაკი, რუბენ ნავარო
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: მარინი, ხაუმე, პაკო ხემესი, ჟამელი, პირი, ინიაკი, ხოსე იგნასიო
27 000 მაყურებელი

**ოვიედო 5:0 ბილბაო**

1:0 პაუნოვიჩი (10), 2:0 ოლი (21), 3:0 დანჟუ (26), 4:0 ოლი (49), 5:0 პაუნოვიჩი (53)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (ივო 78), ბორისი, ონოპკო, დანჟუ (რაული 78), ი. ტომიჩი (რუბენი 80), ხაიმე, ივან ანია, გასპარი, ოლი, პაუნოვიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ბილბაო: ლაფუენტე, ფელიპე, ლარასაბალი, ლაკრუსი, კარლოს გარსია, ლარაინსარი, ოსკარ ვალესი (კუელიარი 46), იესტე (ხავი გონსალესი 74), ორბაისი (კარლოს მერინო 74), ესკერო, ურსაისი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
გაფრთხილება: ფელიპე
28 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 0:0 მალაგა**

ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, პაინცე, გარსია კალვო, ტორეს გომესი, პენია, ჩირიჩი, ეუსებიო (აროლდ ლოზანო 46), კამინერო, ფერნანდო, ბენიტესი, პაჩონი (კაიედესი 46; ანტონიო ლოპესი 73)
მწვრთნელი: პეპე მორე
მალაგა: კონტრერასი, როხასი, ბრავო, ფერნანდო სანსი, ისნატა (მარტინ რივასი 78), მოვილა, რუფეტე, დე ლოს სანტოსი, სანდრო (ბასტი 73), დარიო სილვა (მუსამბა 60), კანაბალი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: კამინერო, დარიო სილვა, ტორეს გომესი, ბასტი, მუსამბა, პენია
გაძევება: კამინერო (77)
16 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:1 ლას პალმასი**

1:0 ვიქტორი (32), 2:0 ხორხე ლოპესი (48), 2:1 შურერი (50)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბერუე, კიკე ალვარესი, ხავი როკა, ბარის შელოტო (გალვანი 84), ხაიმე, ხორხე ლოპესი, ვიქტორი (კრაიოვეანუ 83), კალეხა (ცესკუდა 92), პალერმო
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, რამონი, პაკუ, ალვარო, შურერი (ოლიასი 57), იარნი, სემვისი, ხორხე (პაბლო ლაგო 64), ანხელი, ტურდო (ორლანდო 71), ელოი
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: სემვისი, კიკე ალვარესი, ხაიმე, იარნი
16 500 მაყურებელი



ესპანიოლი — ბარსელონა. ესპანიოლელი მარტინ პოსე ჰულეტაში მოჰყვა

**ისე დამკვიდრდა,** რომ „რეალისა“ და „ბარსელონას“ ვერმოგება მუდამ მოულოდნელობაა და „ბარსას“ ფრეც „ესპანიოლთან“ ერთ-ერთი ამ მოულოდნელობათაგანი იყო. რაც შეეხება „რეალს“, იმ უიშვიათეს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მადრიდელთა მარცხი წინასწარ დაგეგმილს ჰგავს. ცხადია, ჩაწყობა და აღებ-მიცემობა აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, შაბათს ვიგოს „ბალაიდოსზე“ დედაქალაქელები იმ შემართებით არ გასულან, რომ აუცილებლად უნდა მოეგოთ.

გავიხსენოთ, რომ ხვალ „რეალს“ მიუნხენში ევებ სეზონის უმთავრესი მატჩი ელის, რომ აქედან გამომდინარე, ვისენტე დელ ბოსკემ ნახევარი გუნდის დასვენება გადაწყვიტა, რომ „სელტა“ ის გუნდია, რომელსაც ნახევარი ძალით ვერ დაამარცხებ და ვიგოური 3:0 საავსებით კანონზომიერ შედეგად წარმოჩნდება. აქვე აღვნიშნოთ, რომ სამბურთიანი სხვაობით ამ სეზონში „რეალი“ არავის დაუმარცხებია.

სტუმრებს ტაიმნახევარი ათი კაცით მოუხდათ თამაში — რობერტო კარლოსი უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის გააძევეს და გუსტავო ლოპესმა დიდებულად შეასრულა საჯარიმო. თუმცა სათქმელია, რომ მადრიდელები არც თერთმეტნი ბრწყინავდნენ და ერთი გოლი ლოპესის საჯარიმომდეც გაუშვეს.

მოგვიანებით „რეალმა“ მაინც სცადა თამაშის გადარჩენა, თუმცა ევერტონ ჯოვანელას გაძევების გარდა ვერაფერს გამორჩა, თავად კი მესამეც გაუშვა.

კარლოს რექსაჩი ჯერაც უშედეგოდ ელის პირველ გამარჯვებას. ლორენს სერა ფერერის დაწყებული ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია რექსაჩმა შვიდამდე გაზარდა და პამპლონელებს უნდა უმადლოდეს, „ბარსას“ ლიგაში მოხვედრის შანსი რომ არ დაუკარგავს.

მარკ ოვერმარსს, ლუის ენრიკეს, პატრიკ კლუივერტსა და ფრანკ დე ბურს ბლომად მომენტები გაუფუჭდათ, თუმცა რიშარ დუტრუელსაც რამდენჯერმე მოუხდა თავისიანთა გადარჩენა. ისე, „ბარსელონას“ წინა ტურში „სელტასთანაც“ იმდენი მომენტი ჰქონდა, საოცარია, როგორ ვერ გააქვს.

როგორც ვთქვით, „ბარსას“ „ოსასუნამ“ გაუმართა ხელი, უფრო სწორად კი მარიანო არმენტანომ, რომელმაც ერთადერთი გოლი შეუგდო „მალიორკას“ და კუნძულელთა კატალონიელებთან სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. მთელ ამ ამბავში კი ყველაზე საინტერესო ისაა, რომ „ბარსელონასა“ და „მალიორკას“ დამმარცხებელი და „რეალთან“ ტოლ-სწორად მოთამაშე „ოსასუნა“ სადღაც ცხრილის ქვედა ნაწილში ბოგინობს.

„ვალენსიამ“ „სოსიედადის“ ძლევით ოთხეულში ადგილი, ფაქტობრივად, გაინაღდა და ევებ, მეორე ადგილსაც შესწვდეს, რაკი „დეპორტივოს“ ორი ქულითღა ჩამორჩება და მათი ურთიერთშეხვედრა, თან ვალენსიაში, ჯერ წინაა.

ალბათ, ექტორ რაულ კუპერი და მისი ფეხბურთელებიც „რეალის“ მსგავსად დღევანდელ სალიგო თამაშზე ფიქრობდნენ, ყოველ შემთხვევაში, სუსტი მეტოქის დამარცხება მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს, როცა ის ცხრა კაცით დარჩა და ესეც კი გაუჭირდათ. პაბლო აიმარმა გამარჯვებისა თამაშის მიწურულს შეაგდო და უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა „ვალენსია“ თამაშს ბოლო წუთებზე იგებს, ხოლო „სოსიედადი“ აგებს.

„ვალენსიას“ რა ენაღვლება, ბასკებმა იკითხონ, კვლავ გასავარდნთა ზონაში რომ დაბრუნდნენ და სავალალოდ აქვთ საქმე. დისკვალიფიკაციის გამო კიდევ სამ მატჩს გამოტოვებს ედგარას იანკაუსკასი, რომელიც სანსებასტიანელთა საუკეთესო მეგოლეა — ამათი გატანილი ყოველი მეოთხე გოლი ლიტველზე მოდის. ამას ლუის ალბერტოსა და მიგელ ფუენტესის წითელი ბარათებიც დაემატა და მძიმე კალენდარიც — „სოსიედადის“ დარჩენილი მეტოქეები „ვილიარეალი“, „მალაგა“, „სარაგოსა“, „ბილბაო“ და „ოსასუნა“ არიან. აბა, რომელია ამათგან, ტოშაკის ბიჭები იოლად რომ დაამარცხებენ?

ძმა ძმისთვისაო, ნათქვამია. „რაიო ვალეკანო“ „რეალის“ ძმა არაა, მაგრამ თანაქალაქელი ნაღდად არის და ხელი იმით გაუმართა, რომ „დეპორტივოს“ სამი ქულა არ გაატანა. ამ თამაშში ამჟამინდელი ჩემპიონი ოდენ ფრეს დასჯერდა, როცა ხუან კარლოს ვალერონმა ამერიკელ მეკარე კეისი კელერს ბურთი თავზე გადაუგდო და გაათანაბრა. მეტი „დეპორტივომ“ ველარ შეძლო.

„ოვიედომ“ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია ხუთი გოლის გატანით შეწყვიტა. სხვათა შორის, ერთი კვირით ადრე ოვიედოელთა თავკაცმა რადომირ ანტიჩმა კლუბის ქომაგებს ბოდიში მოუხადა ცუდი თამაშის გამო და ახლა სიტყვა საქმედ აქცია.

თუკი ბილბოელ ქომაგებს კვირას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ, ბასკთა დედაქალაქ ვიტორიაში ზეიმი იყო — უეფას თასის ფინალამდე ათი დღით ადრე „ალავესმა“ „რასინგი“ გაანადგურა. უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ვიტორიელთა მომჯობინებული ფორვარდის, ხავი მორენოს დაბრუნება. შეგახსენებთ, რომ მისი არყოფნით, რაც სრულ ერთ თვეს გაგრძელდა, რივალდომ და რაულმა ისარგებლეს და ბომბარდირთა დავაში გაუსწრეს. ხავი მორენოს კი პირველობის დაბრუნებაში ერთი თამაში და ორი გატანილი გოლი ეყო.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 33 | 21 | 6 | 6 | 70:36 | 34 | 69 | 16 | 13 | 2 | 1 | 44:12 | 32 | 41 | 17 | 8 | 4 | 5 | 26:24 | 2 | 28 |
| 2 | დეპორტივო | 33 | 18 | 7 | 8 | 62:39 | 23 | 61 | 16 | 13 | 3 | 0 | 37:10 | 27 | 42 | 17 | 5 | 4 | 8 | 25:29 | -4 | 19 |
| 3 | ვალენსია | 33 | 17 | 8 | 8 | 51:26 | 25 | 59 | 17 | 12 | 1 | 4 | 29:9 | 20 | 37 | 16 | 5 | 7 | 4 | 22:17 | 5 | 22 |
| 4 | მალიორკა | 33 | 15 | 11 | 7 | 46:39 | 7 | 56 | 16 | 11 | 4 | 1 | 28:17 | 11 | 37 | 17 | 4 | 7 | 6 | 18:22 | -4 | 19 |
| 5 | ბარსელონა | 33 | 14 | 11 | 8 | 69:51 | 18 | 53 | 16 | 10 | 4 | 2 | 43:20 | 23 | 34 | 17 | 4 | 7 | 6 | 26:31 | -5 | 19 |
| 6 | სელტა | 33 | 14 | 9 | 10 | 47:45 | 2 | 51 | 17 | 10 | 6 | 1 | 29:16 | 13 | 36 | 16 | 4 | 3 | 9 | 18:29 | -11 | 15 |
| 7 | ვილიარეალი | 33 | 14 | 8 | 11 | 51:48 | 3 | 50 | 16 | 7 | 6 | 3 | 26:22 | 4 | 27 | 17 | 7 | 2 | 8 | 25:26 | -1 | 23 |
| 8 | ალავესი | 33 | 14 | 7 | 12 | 54:45 | 9 | 49 | 17 | 10 | 2 | 5 | 32:19 | 13 | 32 | 16 | 4 | 5 | 7 | 22:26 | -4 | 17 |
| 9 | მალაგა | 33 | 13 | 8 | 12 | 52:51 | 1 | 47 | 17 | 8 | 5 | 4 | 29:23 | 6 | 29 | 16 | 5 | 3 | 8 | 23:28 | -5 | 18 |
| 10 | ესპანიოლი | 33 | 13 | 7 | 13 | 40:33 | 7 | 46 | 17 | 8 | 3 | 6 | 22:13 | 9 | 27 | 16 | 5 | 4 | 7 | 18:20 | -2 | 19 |
| 11 | ბილბაო | 33 | 11 | 9 | 13 | 41:49 | -8 | 42 | 16 | 9 | 3 | 4 | 29:18 | 11 | 30 | 17 | 2 | 6 | 9 | 12:31 | -19 | 12 |
| 12 | რაიო ვალეკანო | 33 | 9 | 13 | 11 | 53:56 | -3 | 40 | 17 | 6 | 6 | 5 | 28:23 | 5 | 24 | 16 | 3 | 7 | 6 | 25:33 | -8 | 16 |
| 13 | სარაგოსა | 33 | 9 | 12 | 12 | 51:52 | -1 | 39 | 16 | 8 | 6 | 2 | 38:21 | 17 | 30 | 17 | 1 | 6 | 10 | 13:31 | -18 | 9 |
| 14 | ლას პალმასი | 33 | 11 | 6 | 16 | 34:54 | -20 | 39 | 16 | 8 | 3 | 5 | 17:19 | -2 | 27 | 17 | 3 | 3 | 11 | 17:35 | -18 | 12 |
| 15 | ოვიედო | 33 | 10 | 7 | 16 | 45:57 | -12 | 37 | 17 | 9 | 5 | 3 | 39:23 | 16 | 32 | 16 | 1 | 2 | 13 | 6:34 | -28 | 5 |
| 16 | ვალიადოლიდი | 33 | 8 | 12 | 13 | 35:43 | -8 | 36 | 17 | 8 | 7 | 2 | 21:12 | 9 | 31 | 16 | 0 | 5 | 11 | 14:31 | -17 | 5 |
| 17 | ოსასუნა | 33 | 8 | 11 | 14 | 38:48 | -10 | 35 | 17 | 5 | 7 | 5 | 22:22 | 0 | 22 | 16 | 3 | 4 | 9 | 16:26 | -10 | 13 |
| 18 | სოსიედადი | 33 | 8 | 9 | 16 | 41:64 | -23 | 33 | 17 | 5 | 6 | 6 | 24:28 | -4 | 21 | 16 | 3 | 3 | 10 | 17:36 | -19 | 12 |
| 19 | რასინგი | 33 | 8 | 7 | 18 | 40:58 | -18 | 31 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:20 | 7 | 28 | 17 | 0 | 3 | 14 | 13:38 | -25 | 3 |
| 20 | ნუმანსია | 33 | 7 | 8 | 18 | 33:59 | -26 | 29 | 16 | 5 | 5 | 6 | 19:23 | -4 | 20 | 17 | 2 | 3 | 12 | 14:36 | -22 | 9 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 20 |
| რივალდო (ბარსელონა) | 19 |
| რაული (რეალი) | 19 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |
| კატანია (სელტა) | 15 |

**XXXIV ტური**

12-13 მაისი

მალაგა — ვალენსია
ბილბაო — ვალიადოლიდი
რასინგი — ოვიედო
დეპორტივო — ალავესი
ბარსელონა — რაიო ვალეკანო
რეალი — ესპანიოლი
მალიორკა — სელტა
ნუმანსია — ოსასუნა
ლას პალმასი — სარაგოსა
ვილიარეალი — სოსიედადი

## მეორე დივიზიონი

### XXXVI ტური

**ეიბარი 3:0 უნივერსიდადი**
1:0 ლესისი (5), 2:0 საბრეხო (61), 3:0 ლესისი (79)

**ლეიდა 0:1 ფეროლი**
0:1 ურისი (16)

**ხეტაფე 0:1 უელვა**
0:1 ხისკო (83პ)

**ლევანტე 3:3 ელჩე**
1:0 სალილიასი (35), 1:1 სერბანი (40), 1:2 ნანო (56), 2:2 დესკარგა (68), 3:2 სალილიასი (77), 3:3 ივან როჩა (81)

**ესტრემადურა 1:0 ტენერიფე**
1:0 ხესუსი (89)

**ლეგანესი 1:1 ბეტისი**
1:0 მუნიაღი (9), 1:1 კასასი (77)

**მურსია 0:0 კორდობა**

**სალამანკა 1:3 ატლეტიკო**
0:1 ლუკე (2), 0:2 სალვა (28), 1:2 ტორდბლი (64), 1:3 დანი (85)

**ალბასეტე 2:0 კომპოსტელა**
1:0 ხუანლუ (5), 2:0 ხესუსი (68)

**სპორტინგი 1:0 ხაენი**
1:0 მანელი (61)

**სევილია 5:2 ბადახოსი**
1:0 პოდესტა (35), 2:0 ფურდი (41), 3:0 ზალაიეტა (51), 4:0 გალიარდო (54), 5:0 ტევენეტი (68), 5:1 ბრაკამონტე (77), 5:2 ლეანდრო (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 36 | 19 | 10 | 7 | 57:34 | 67 |
| ტენერიფე | 36 | 18 | 9 | 9 | 52:28 | 63 |
| ბეტისი | 36 | 17 | 12 | 7 | 40:26 | 63 |
| უელვა | 36 | 14 | 18 | 4 | 40:22 | 60 |
| ატლეტიკო | 36 | 16 | 10 | 10 | 52:38 | 58 |
| ალბასეტე | 36 | 15 | 11 | 10 | 37:34 | 56 |
| სპორტინგი | 36 | 14 | 11 | 11 | 46:41 | 53 |
| სალამანკა | 36 | 15 | 6 | 15 | 40:41 | 51 |
| ლევანტე | 36 | 11 | 17 | 8 | 48:42 | 50 |
| ესტრემადურა | 36 | 14 | 8 | 14 | 34:38 | 50 |
| კორდობა | 36 | 12 | 13 | 11 | 32:30 | 49 |
| ეიბარი | 36 | 11 | 15 | 10 | 28:24 | 48 |
| ხაენი | 36 | 12 | 12 | 12 | 26:33 | 48 |
| მურსია | 36 | 11 | 13 | 12 | 49:47 | 46 |
| ბადახოსი | 36 | 9 | 18 | 9 | 30:33 | 45 |
| ლეგანესი | 36 | 8 | 19 | 9 | 40:36 | 43 |
| ფეროლი | 36 | 9 | 13 | 14 | 38:43 | 40 |
| კომპოსტელა | 36 | 10 | 9 | 17 | 34:58 | 39 |
| ელჩე | 36 | 7 | 15 | 14 | 36:49 | 36 |
| ხეტაფე | 36 | 8 | 10 | 18 | 38:53 | 34 |
| უნივერსიდადი | 36 | 4 | 16 | 16 | 23:48 | 28 |
| ლეიდა | 36 | 4 | 11 | 21 | 31:53 | 23 |

# ჩვენი და პარალელური სამყაროები




იუვენტუსი — რომა. ვინჩენცო მონტელას დამატებულმა „რომას“ ქულა შემატა

## იტალია

### XXIX ტური

**პერუჯა 2:1 მილანი**

1:0 ვრიზასი (4), 1:1 შევჩენკო (31პ), 2:1 ვრიზასი (50)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო (ლომბარდი 93), ლივერანი, ბაიოკო, ტარანა (პიერი 34), ვრიზასი, ანი (რობიატი 68)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
მილანი: ს. როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, მალდინი, კოკო, გატუზო, სერჯინიო (გულიელმინპიეტრო 84), ძალაძე, ჯუნტი (ლეონარდო 74), შევჩენკო, ბირჰოფი (კომანდინი 65)
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
გაფრთხილება: ტარანა, ტედესკო
12 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:2 რომა**

1:0 დელ პიერო (5), 2:0 ზიდანი (6), 2:1 ნაკატა (79), 2:2 მონტელა (91)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, იულიანო (ფერარა 89), მონტერო, პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი, დელ პიერო (კონტე 79), ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 84)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
რომა: ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ალდაირი, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი (ასუნსაო 59), კანდელა, ტოტი (ნაკატა 59), ბატისტუტა, დელვეკიო (მონტელა 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: დელვეკიო, ტაკინარდი, იულიანო, პესოტო, კოვაჩევიჩი, კანდელა, კაფუ
გაძევება: ტაკინარდი (92), ასუნსაო (92)
65 000 მაყურებელი

**ლაციო 2:0 ბარი**

1:0, 2:0 ვერონი (25, 40)
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, კასტრომანი (პობორსკი 52), სიმეონე, ხ. ვერონი, სტანკოვიჩი, კრესპო (რავანელი 61), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: დინო ძოფი
ბარი: ნარჩიზო, ინოჩენტი, ნექროიზი, მაცარელი, საიდი, ბელავისტა (მარკოლინი 78), ანდერსონი, პეროტა (ვალდესი 73), დელ გროსო, პოჯი, ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ლელო შანიმანიკო
გაფრთხილება: პეროტა, ნექროიზი
40 000 მაყურებელი

**პარმა 4:0 ნაპოლი**

1:0 მიკუ (32), 2:0 მილოშევიჩი (50), 3:0, 4:0 დი ვაიო (65, 75)
პარმა: ბუფონი, ბენარივო, ტურამი, ფ. კანავარო, სერჟიუ კონსეისაუ, სენსინი, ლამუში, ჟუნიორი, მიკუ (ფუზერი 68), მილოშევიჩი (მბომა 78), დი ვაიო (მონტანო 85)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ნაპოლი: მონდინი, საბერი, ფრეზი, ტროიზე (ბოკეტი 2), პინედა, ხუსაინი, მაგონი, ბაჩინი (ამაური 46), მატუზალემი (იანკულოვსკი 60), პეკია, ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ფრეზი, საბერი, ბენარივო, პეკია
18 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 ატალანტა**

1:0, 2:0 ვიერი (6, 9), 3:0 რეკობა (34)
ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, სიმიჩი, ხ. ძანეტი, ფარინოსი, დი ბიაჯო (კოუ 77), დალმა (ბროკი 82), გრეშკო (მაჩელარი 73), ვიერი, რეკობა
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
ატალანტა: პელიცოლი, კ. ძენონი, კარერა, ლორენცი, ქაპინალი, ბერეტა, დონი, დუნდიერსკი, მორფეო, ვენტოლა, როსინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
52 000 მაყურებელი

**ბოლონია 1:1 უდინეზე**

1:0 ოლივე (25), 1:1 ალბერტო (38)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, გამბერინი, ნერვო (ბინოტო 81), ოლივე, ლიმა, ტარანტინო (ვოლპე 70), ლოკატელი, სინიორი, ჩიპრიანი (ხულიო კრუზი 75)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
უდინეზე: დე სანტისი, გარგო, სოტილი, ძამბონი, ალბერტო, პინცი (ვალემი 60), ჯანიკედა, ფიორე, ბერტოტო, სოზა (იაკინტა 64), მუცი (ელგერა 74)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: პინცი, სოტილი, ბია, ალბერტო, ელგერა, ვომე
22 000 მაყურებელი

**ვერონა 2:1 ფიორენტინა**

1:0 სალვეტი (17), 2:0 იტალიანო (70), 2:1 კიეზა (90)
ვერონა: ფრარდო, ოდო, ლაურსენი, აპოლონი, სერინი, კამორანეზი, იტალიანო (ტეოდორანი 73), ჯ. კოლუჩი, სალვეტი, კასატო (მუტუ 68), ბონაცოლი (ადაილტონი 46)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, ადანი, რეპკა, მარკო როსი (ლეანდრო 76), როსიტო (კ. ამორუზო 51), კოისი (დი ლივიო 68), ვანოლი, რუი კოშტა, კიეზა, ნუნო გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ტორიჩელი, რუი კოშტა, მუტუ
17 677 მაყურებელი

**ლეჩე 0:3 ბრეშა**

0:1, 0:2, 0:3 ბაჯო (4, 59, 77პ)
ლეჩე: კიმენტი, დაინელი, ვიალი, სავინო, ბალერი (ოსორიო 55), ვაზარი, პიანჯერელი, ტონეტო, ჯორჯეტი, ვუგრინეცი, ლუკარელი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, დიანა (კოზმინსკი 79), ა. ფილიპინი, ბიზოლი, ე. ფილიპინი (გუანა 82), ბაკინი, რ. ბაჯო, ტარე (უბნერი 78)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: სავინო, ბალერი, ე. ფილიპინი, ბიზოლი, პიანჯერელი, ბაჯო, ოსორიო
18 708 მაყურებელი

**ვიჩენცა 2:1 რეჯინა**

0:1 მარაცინა (52), 1:1, 2:1 ძანკი (64, 86)
ვიჩენცა: სტერკელე, კარდონე, ძანკი, დიკარა, სომეზე (ტედა 80), დაბო, ბერნარდინი, ბეგეტო (მაურიციო როსი 75), ძაული (კომოტო 88), ტონი, კალონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
რეჯინა: ტაიბი, ჟირანეკი, ვარგასი, სტოვინი, ვიკარი, ბერნინი, რ. ვერონი (ძანკეტა 49), კოცა (მეცანო 76), მორაბიტო (კანეირა 72), მარაცინა, დიონიჯი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: კოცა, ტონი, მორაბიტო, ბერნინი, ვიკარი, ძაული, ძანკი
14 500 მაყურებელი

**დაივიწყოთ** იმით, რაც ყველაზე მთავარია: ლეჩეში ჩასულმა „ბრეშამ“ 3:0 მოიგო და 29-ე ტურის მერე მეთერთმეტე ადგილზეა — სამივე გოლი კი ლეჩელთა კარში რობერტო ბაჯომ გაიტანა! რა შეიძლება ეწოდოს კაცს, რომელსაც, სულ ოდნავი გადაჭარბებით თუ ვიტყვით, ფეხბურთს არ ათამაშებენ, ის კი საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ რჩება? დიახ, რობერტო ბაჯო სკუდეტოსთვის ნერვულ ბრძოლაში არ მონაწილეობს.

ის, არც ჩემპიონთა ლიგის თუ საერთაშორისო ფეხბურთის სხვა სუპერმდიდარი ადგილების გადაძაბულ-გაგიჟებული ვარსკვლავია. ბაჯო ისეთ გუნდში თამაშობს, რომლის სახელსაც, ფეხბურთის გადამეტებული სიყვარულის გამო ძალიან თუ არ მოინდომე, არ დაიმახსოვრებ. სამაგიეროდ, სოფელთან, მამისეულ სახლთან ახლოსაა და რა გინდა ბუდისტ კაცს მეტი? ვარჯიშობ შენთვის სიმშვიდეში, მშობლიურ გარემოში, მერე შემოახტები მანქანას, ჩახვალ სერია A-ში და ზედიზედ ექვს შეხვედრაში რვა გოლს გაიტან. როგორია? ჩვენ თუ გვკითხავთ, ეს რაღაც პარალელური სამყაროა, დიადი, წყნარი და ნაღდი.

ამრიგად, რობერტო ბაჯოს მიმდინარე სეზონში უკვე 10 გოლი აქვს შეგდებული, რომელთაგან ბოლო სამი „ლეჩეს“ გაუტანა. პირველი მეტოქის დაცვაში გადრიბლინგების შედეგად გავიდა, მეორე პირდაპირ კუთხურიდან ჩაახვია, ხოლო მესამე — პენალტით.

ეს გამარჯვება „ბრეშასთვის“ მესამე იყო ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში.

ახლა კი... იმაზე, თუ როგორ გავიდა შეხვედრის დასაწყისში „რომას“ კარში ორი გოლი და როგორ გაქვითა ეს ყველაფერი შესვენების შემდეგ თავად ფაბიო კაპელომ.

„ჩვენ დავისაჯეთ იმ რამდენიმე წამისთვის, რომელთა დროს ყურადღება გაგვეფანტა“ — თქვა მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — „ჩვენ თამაშის გაკონტროლება შევძელით, ამ დროს კი „რომამ“ ორჯერ მოიქნია და ორი გოლი გაგვიტანა. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ახლა, მთავარია სხვა მნიშვნელოვანი რაღაცეები არ გაგვეპაროს“.

შემდეგ ანჩელოტის ჰკითხეს, როგორ დაგამახსოვრდება ეს შეხვედრა. მან უპასუხა:

„დღეს მე დიდ „იუვეს“ ვუცქერდი, მაგრამ აუცილებლად გამყვება სინანულის გრძნობა“

„საოცარი სინანულის გრძნობა მეუფლება, რადგან დღეს დიდებულად ვითამაშეთ“ — იგივე აზრი თქვა „იუვენტუსის“ ვარსკვლავმა და პირველი გოლის ავტორმა ალესანდრო დელ პიერომ — „შეხვედრის სადავეები თავიდან ბოლომდე ჩვენ გვეპყრა ხელთ და ეპიზოდურად საუცხოო ფეხბურთიც შევთავაზეთ მაყურებელს. შედეგად კი ფრე გამოვიდა“.

დელ პიეროს არც მეტოქის შექება დაავიწყდა: „რომაელები ჩვენს წინაშე შეკრულ გუნდად წარმოჩნდნენ. თვალშისაცემი იყო მათი მობილიზება და თავმოყვარეობა. მინდა დავძინო, რომ მეტოქემ საგოლე შესაძლებლობათა ასი პროცენტი გამოიყენა“.

როგორც მოგახსენეთ, „იუვენტუსმა“ შეხვედრის დასაწყისშივე ერთი ამოსუნთქვით გაიტანა ორი გოლი და ორივე შემთხვევაში დიდი როლი ზინედინ ზიდანმა ითამაშა. პირველად, მეტოქის საჯარიმოს მარცხენა კიდიდან ოდნავ ირიბად, დიაგონალზე ჩააწოდა ბურთი და თან ისე, რომ არცთუ ტანმაღალი დელ პიერო რომაელ მეკარე ანტონიოლიზე გაცილებით მოხერხებულ პოზიციაში აღმოჩნდა — მისი თავურით ანგარიში გაიხსნა.

გავიდა სულ ცოტა ხანი და ფილიპო ინძაგისგან მიღებული პასი ისევ ზიდანმა შეირგო, სიღრმიდან საჯარიმოს მისადგომებისკენ მიიწია და მეკარისგან დაბალ მარცხენა კუთხეში დაუმიზნა — 2:0.

ახლა კი გავიხსენოთ ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ: მეორე ტაიმში ფაბიო კაპელომ გაათანაბრა. აქ, იმდენად იმას არ ვგულისხმობთ, რომ ორივე საპასუხო გოლი კაპელოს მიერ შეცვლაზე შეშვებულებმა, იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ და ვინჩენცო მონტელამ გაიტანეს. აქ, ძირითადად იმ მამაკაცურ საწყისზე გვაქვს ლაპარაკი, საზოგადოდ კაპელოს გუნდებს, ამ შემთხვევაში კი „რომას“ რომ ახასიათებს. კაპელო არსით ჩემპიონია, ეს ფაქტია და შესაბამისად ჩემპიონია ყველა ის, ვინც მის ხელქვეით მუშაობს, თორემ შეცვლების ამოცნობა-გამოცნობაზე დღემდე კამათია. ზოგი ამტკიცებს, რომ ეს შემთხვევითობაა, ზოგი კი საკითხს გაცილებით სერიოზულად უდგება.

და თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ნაკატამ 30 მეტრიდან დაარტყა, ხოლო ბოლო წუთზე იმავ იაპონელის მორიგი დარტყმული „იუვენტუსის“ მეკარემ, ედვინ ვან დერ სარმა მოიგერია, მაგრამ მონტელამ დაამატა და „რომამ“ ზედიზედ ორ ტურში მეორე კონკურენტთან ითამაშა 2:2.

„სრულიად ინსტინქტურად ვიმოქმედე“ — თქვა მერე მონტელამ — „ალბათ ეს გოლი ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო“.

„თამაშის მსვლელობისას დადგა მომენტი, როდესაც ვიგრძენი, რა უნდა შემეცვალა და მე ეს გავაკეთე. ხოლო რომ გამიმართლა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს „რომას“ სიძლიერეს.

მორალურად ჯანსაღ ფეხბურთელებთან ვმუშაობ, გუნდში ხელშეუხებელი არავინაა და ამიტომაც მიადვილდება შედეგის მიღწევა“ — ბრძანა მატჩისშემდგომ პრეს კონფერენციაზე კაპელომ, რომელმაც მორალურ სიჯანსაღეზე საუბრისას, ალბათ, ფრანჩესკო ტოტის უმტკივნეულო შეცვლა იგულისხმა.

და კიდევ: „ლაციომ“ „ბარის“ 2:0 მოუგო ანუ „იუვენტუსს“ გადაუსწრო.

**ბაჩუნა ბედია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რომა | 29 | 19 | 7 | 3 | 57:28 | 29 | 64 | 14 | 10 | 4 | 0 | 28:12 | 16 | 34 | 15 | 9 | 3 | 3 | 29:16 | 13 | 30 |
| 2 | ლაციო | 29 | 18 | 5 | 6 | 53:30 | 23 | 59 | 15 | 11 | 2 | 2 | 30:12 | 18 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 23:18 | 5 | 24 |
| 3 | იუვენტუსი | 29 | 16 | 10 | 3 | 48:24 | 24 | 58 | 15 | 9 | 5 | 1 | 29:12 | 17 | 32 | 14 | 7 | 5 | 2 | 19:12 | 7 | 26 |
| 4 | პარმა | 29 | 14 | 8 | 7 | 44:22 | 22 | 50 | 15 | 8 | 4 | 3 | 28:9 | 19 | 28 | 14 | 6 | 4 | 4 | 16:13 | 3 | 22 |
| 5 | მილანი | 29 | 11 | 11 | 7 | 46:40 | 6 | 44 | 15 | 9 | 5 | 1 | 33:17 | 16 | 32 | 14 | 2 | 6 | 6 | 13:23 | -10 | 12 |
| 6 | ინტერი | 29 | 12 | 8 | 9 | 41:35 | 6 | 44 | 14 | 8 | 5 | 1 | 24:11 | 13 | 29 | 15 | 4 | 3 | 8 | 17:24 | -7 | 15 |
| 7 | ატალანტა | 29 | 10 | 12 | 7 | 35:28 | 7 | 42 | 15 | 4 | 8 | 3 | 15:12 | 3 | 20 | 14 | 6 | 4 | 4 | 20:16 | 4 | 22 |
| 8 | ბოლონია | 29 | 11 | 8 | 10 | 41:40 | 1 | 41 | 15 | 9 | 3 | 3 | 23:16 | 7 | 30 | 14 | 2 | 5 | 7 | 18:24 | -6 | 11 |
| 9 | ფიორენტინა | 29 | 9 | 12 | 8 | 48:42 | 6 | 39 | 14 | 8 | 3 | 3 | 29:19 | 10 | 27 | 15 | 1 | 9 | 5 | 19:23 | -4 | 12 |
| 10 | პერუჯა | 29 | 10 | 9 | 10 | 42:44 | -2 | 39 | 15 | 6 | 5 | 4 | 23:18 | 5 | 23 | 14 | 4 | 4 | 6 | 19:26 | -7 | 16 |
| 11 | ბრეშა | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | -2 | 35 | 14 | 5 | 6 | 3 | 16:14 | 2 | 21 | 15 | 3 | 5 | 7 | 19:23 | -4 | 14 |
| 12 | უდინეზე | 29 | 10 | 3 | 16 | 42:50 | -8 | 33 | 14 | 7 | 0 | 7 | 27:24 | 3 | 21 | 15 | 3 | 3 | 9 | 15:26 | -11 | 12 |
| 13 | ვიჩენცა | 29 | 8 | 7 | 14 | 31:42 | -11 | 31 | 15 | 6 | 4 | 5 | 19:18 | 1 | 22 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:24 | -12 | 9 |
| 14 | ლეჩე | 29 | 7 | 10 | 12 | 35:49 | -14 | 31 | 15 | 5 | 5 | 5 | 22:27 | -5 | 20 | 14 | 2 | 5 | 7 | 13:22 | -9 | 11 |
| 15 | ნაპოლი | 29 | 6 | 10 | 13 | 27:44 | -17 | 28 | 14 | 4 | 6 | 4 | 16:16 | 0 | 18 | 15 | 2 | 4 | 9 | 11:28 | -17 | 10 |
| 16 | ვერონა | 29 | 7 | 6 | 16 | 31:51 | -20 | 27 | 14 | 7 | 3 | 4 | 19:20 | -1 | 24 | 15 | 0 | 3 | 12 | 12:31 | -19 | 3 |
| 17 | რეჯინა | 29 | 7 | 5 | 17 | 25:45 | -20 | 26 | 14 | 5 | 4 | 5 | 12:16 | -4 | 19 | 15 | 2 | 1 | 12 | 13:29 | -16 | 7 |
| 18 | ბარი | 29 | 5 | 4 | 20 | 26:56 | -30 | 19 | 14 | 5 | 1 | 8 | 18:23 | -5 | 16 | 15 | 0 | 3 | 12 | 8:33 | -25 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 21 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 20 |
| კრესპო (ლაციო) | 19 |
| ბატისტუტა (რომა) | 16 |
| ვიერი (ინტერი) | 16 |

**XXX ტური**

11 მაისი
ფიორენტინა — იუვენტუსი
ინტერი — მილანი

12 მაისი
რომა — ატალანტა
ბრეშა — ბოლონია
ნაპოლი — ლაციო
ვერონა — ლეჩე
რეჯინა — პარმა
უდინეზე — პერუჯა
ბარი — ვიჩენცა

**სერია C1/A**

33-ე ტური: ალბინოლეფე — ლუკეზე 1:0; ალესანდრია — კარარეზე 2:1; ალძანო — ლივორნო 0:0; ბრეშელო — მოდენა 0:1; ჩეზენა — სპალ 3:2; ლეკო — ვარეზე 1:1; ლუმეცანე — არეცო 3:3; პიზა — რეჯანა 1:1; სპეცია — კომო 1:2

**სერია C1/B**

33-ე ტური: ასკოლი — ტორესი 2:1; ატლეტიკო — ბენევენტო 1:1; დი სანგრო — აველინო 1:1; ფ. ანდრია — კატანია 0:0; ჯულიანოვა — აკილა 1:0; მესინა — სავოია 2:0; ნოჩერინა — პალერმო 1:2; პეზარო — ლოდიჯანი 0:0; ვიტერბეზე — ფერმანა 1:1

იტალიის ჩემპიონატი
ოცდამეცხრე ტურის მატჩი

## პერუჯა 2:1 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# ჩეზარე მალდინი: წაგებას მეკარეს ვერ დავაბრალებ

„მილანმა" პერუჯაში წააგო. თან ზუსტად იმ ანგარიშით, რა ანგარიშითაც იმავ „პერუჯასთან" დეკემბერში, „სან სიროზე" დამარცხდა. არადა, თამაშის წინ „შავ-წითელთა" რიხი და მუქარა მთელ იტალიას ედებოდა.

პერუჯა კი ერთი პროვინციული ქალაქია, რომლის გუნდს სათავეში დიპლომირებული მწვრთნელიც კი არ უდგას — სერსე კოზმი პერუჯელი გულშემატკივარია, რომელიც ბედმა ტრიბუნიდან დაბლა, გუნდის სკამზე გადასვა. მას სერია A-ს მწვრთნელებთან შედარებით სასაცილო ხელფასი აქვს, სამაგიეროდ, „პერუჯას" გაზეთები თუ ტელეარხები ასე მოიხსენიებენ: „კოზმის გუნდი".

და „კოზმის გუნდმა" თამაშის პირველივე წუთებიდან სახიფათოდ შეუტია. განსაკუთრებით ფრთებიდან, ხოლო მეოთხე წუთზე ანგარიში გახსნა კიდეც.

თანდათანობით „მილანი" გონს მოდიოდა — სერჟინიო, რომელიც ჩეზარე მალდინის ხელში მეტად და მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება, ფრთაზე ქროლვას აძლიერებდა, თუმცა ანგარიშის გათანაბრებაში ლომის წილი სხვამ, კახა კალაძემ დაიდო: 31-ე წუთზე დი ლორეტომ იგი საჯარიმოში წააქცია. მსაჯმა პენალტი დანიშნა და ანდრეი შევჩენკომ ჩვეულებისამებრ გაიტანა.

ტაიმი მილანელებმა კარგად დაასრულეს და შესვენების შემდეგ ყველას ეგონა, რომ თამაშის ბედს შეცვლიდნენ კიდეც, მაგრამ პირველი გოლის ავტორმა, პერუჯელმა ვრიზასმა სტუმრებს უეცრად ბზარი გამოუნახა, რაც მეორე გოლით დაასრულა.

ამრიგად, „შავ-წითლებს" ხელმეორედ მოუხდათ ყველაფრის თავიდან დაწყება, ოღონდ ამჯერად მხოლოდ ბურთის უპირატესი ფლობა შეძლეს, ანგარიშის გათანაბრება კი ვერა.

პრესკონფერენციაზე მალდინიმ თავისი ფეხბურთელების მარცხს ასეთი შეფასება მისცა: „ორი გოლის გაშვება ჩვენი უყურადღებობის ბრალი გახლდათ. პირველ გოლზე პასუხისმგებელი ყველაა, მთელი გუნდი, მეორე კი მეკარე სებასტიანო როსის შეცდომის გამო გავიდა. მიუხედავად ამისა, როსიზე აუგს ვერ ვიტყვი, სებასტიანომ ხომ ბევრჯერ გადაგვარჩინა".

მალდინის ჰკითხეს, ამ შეცდომის გამო შემდეგ ტურში, მილანურ დერბიში („ინტერი" — „მილანი") კარის დაცვას ვინმე სხვას ხომ არ ანდობთო. მწვრთნელმა უპასუხა:

„როსისთან დაკავშირებით ნდობაზე ლაპარაკი ზედმეტია".

შემდეგ მან განაგრძო: „რაც დრო გადის, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი მცირდება. ჩვენი კონკურენტი, „პარმა" ძლიერი გუნდია, რომელიც დაჟინებით მიიწევს წინ და, სამწუხაროდ, მეოთხე ადგილზე მოხვედრა მხოლოდ „მილანზე" არ არის დამოკიდებული.

ბოლოს კი ჩამოვწეროთ შეფასებები, რომლებიც „შავ-წითლებს" ტელეკომპანია „რაი უნომ" ჩამოურიგა:

*როსი 5; ჰელვეგი 5,5; კოსტაკურტა 5,5; მალდინი 6; კოკო 5,5; გატუზო 5,5; ჯუნტი 5,5 (ლეონარდო გვიან შევიდა და შეფასება არ მიუღია); კალაძე 6; სერჟინიო 5,5 (ჯულიელმინპიეტრო გვიან შევიდა და შეფასება არ მიუღია); ბირჰოფი 5 (კომანდინი გვიან შევიდა და შეფასება არ მიუღია); შევჩენკო 5,5. მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი 5,5.*

**ბაჩუნა ძიდია**

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

VII ჯგუფი. VI ტური

**კრუზ ასული (მექსიკა) 3:1 ოლმედო (ეკვადორი)**

**დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი) 0:1 სან კაეტანო (ბრაზილია)**

საგოლო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზ ასული | 6 | 4 | 1 | 1 | 12:7 | 13 |
| სან კაეტანო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| დეფენსორ სპორტინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| ოლმედო | 6 | 2 | 0 | 4 | 11:15 | 6 |

*მექსიკის „კრუზ ასული" და ბრაზილიის „სან კაეტანო" გავიდნენ მეორე ეტაპზე*

### მერვედფინალის წილისყრა

კობრელოა (ჩილე) — როსარიო სენტრალი (არგენტინა)
ამერიკა (კოლუმბია) — ნასიონალი (ურუგვაი)
ემელეკი (ეკვადორი) — რივერ პლეიტი (არგენტინა)
სერო პორტენო (პარაგვაი) — კრუზ ასული (მექსიკა)
სან კაეტანო (ბრაზილია) — პალმეირასი (ბრაზილია)
ელ ნასიონალი (ეკვადორი) — კრუზეირო (ბრაზილია)
დეპორტეს კონსეპსიონი (ჩილე) — ვასკუ და გამა (ბრაზილია)
ხუნიორ ბარანკილია (კოლუმბია) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

*პირველი მატჩები — 8-10 მაისი, საპასუხო მატჩები — 15-17 მაისი*

## საბერძნეთი

28-ე ტური: პანიონიოსი — ოლიმპიაკოსი 2:1; ირაკლისი — ათინაიკოსი 4:2; იანინა — არისი 2:1; ქსანტი — ეთნიკოსი 3:1; კალამატა — ოფი 1:4; პანაჰაიკი — პანილიაკოსი 3:0; პაოკ — იონიკოსი 1:2; პანათინაიკოსი — აეკ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 28 | 24 | 2 | 2 | 81:20 | 74 |
| პანათინაიკოსი | 28 | 18 | 6 | 4 | 53:18 | 60 |
| აეკ | 28 | 17 | 4 | 7 | 55:32 | 55 |
| პაოკ | 28 | 13 | 9 | 6 | 59:44 | 48 |
| ირაკლისი | 28 | 13 | 4 | 11 | 42:36 | 43 |
| იონიკოსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41:42 | 41 |
| არისი | 28 | 12 | 4 | 12 | 32:37 | 40 |
| ქსანტი | 28 | 11 | 5 | 12 | 23:33 | 38 |
| პანიონიოსი | 28 | 9 | 9 | 10 | 37:36 | 36 |
| პანაჰაიკი | 28 | 9 | 6 | 13 | 38:47 | 33 |
| ოფი | 28 | 7 | 8 | 13 | 36:48 | 29 |
| იანინა | 28 | 7 | 8 | 13 | 36:52 | 29 |
| ეთნიკოსი | 28 | 7 | 7 | 14 | 29:51 | 28 |
| პანილიაკოსი | 28 | 6 | 8 | 14 | 23:41 | 26 |
| კალამატა | 28 | 4 | 9 | 15 | 36:59 | 21 |
| ათინაიკოსი | 28 | 5 | 5 | 18 | 36:61 | 20 |

## ნორვეგია

მე-5 ტური: მოლდე — ბრინი 5:0; ვიკინგი — სტრომსგოდსეტი 1:1; ბრანი — სოგნდალი 2:1; სტაბეკი — ოდ გრენლანდი 1:0; ლილესტრიომი — ლინი 2:1; როსენბორგი — ტრომსო 3:0; ბოდო გლიმტი — მოსი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:6 | 13 |
| როსენბორგი | 5 | 4 | 0 | 1 | 15:6 | 12 |
| მოლდე | 5 | 3 | 1 | 1 | 13:4 | 10 |
| ოდ გრენლანდი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| ლილესტრიომი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 10 |
| ბრანი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:9 | 9 |
| სტაბეკი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 9 |
| ტრომსო | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 |
| სოგნდალი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:9 | 6 |
| ლინი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| მოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ბრინი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| სტრომსგოდსეტი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:15 | 2 |
| ბოდო გლიმტი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

## ჰოლანდია

XXXI ტური

**პსვ ეინდჰოვენი 3:0 ჰერენვენი**

1:0 ბრუგინკი (33), 2:0 ვან ბომელი (66), 3:0 კეჟმანი (70)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი (კუტინიუ 67), დირქსი, ფაბერი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ვან ბომელი, ფოგელი (ვან ნისტელროი 60), რომედალი, ბუმა, კეჟმანი, ბრუგინკი (დე იონგი 80)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
30 000 მაყურებელი

**ფეიენოორდი 2:3 სიტარდი**

0:1 ჰამინგი (17), 0:2 ვან დერ ჰოვენი (41), 1:2, 2:2 კორნეევი (77, 81), 2:3 ვოლმერი (83)

**გრონინგენი 1:1 სპარტა**

0:1 ელხატაბი (28პ), 1:1 ჩურლოვიჩი (77)

**გრააფსხაპი 2:1 ნაიმეგენი**

0:1 აქსი (16), 1:1 ბოტი (74), 2:1 პრომისი (77)

**ბრედა 0:0 უტრეხტი**

**ტვენტე 4:1 როზენდალი**

1:0 ჰუვინგი (4), 2:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (8), 3:0 ჰუვინგი (25), 3:1 კასი (36), 4:1 ჰუვინგი (71)

**ვიტესი 1:1 როდა**

1:0 ვ. სიკორა (51), 1:1 სოტერსი (61)

**ალკმარი 2:3 ტილბურგი**

0:1 აბდელაუი (26), 0:2 სესაი (30), 1:2 ნელისე (34), 2:2 ვიიკერი (60), 2:3 ბილი (81)



„ეინდჰოვენი" მეთექვსმეტედ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, გოგა გახოკიძე პირველად

REUTERS

**კვირას** პსვ „ეინდჰოვენმა" „ჰერენვენს" 3:0 მოუგო და ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნა. ეს ეინდჰოვენელთა მე-16 ტიტულია ისტორიაში. ამ მხრივ მათ მხოლოდ ამსტერდამის „აიაქსი" უსწრებს (27), „ფეიენოორდი" კი ქვეყნის საუკეთესო გუნდი 14-ჯერ გამხდარა. მოგეხსენებათ, სწორედ ესენი წარმოადგენენ ჰოლანდიური ფეხბურთის „დიდ სამეულს".

„ჰერენვენთან" ანგარიში 33-ე წუთზე არნოლდ ბრუგინკმა გახსნა. მეორე ტაიმში ჯერ კაპიტანი მარკ ვან ბომელი დატოვეს მარჯვენა ფრთაზე უმეთვალყურეოდ და ამანაც შორეულ ძელთან ძლიერი დარტყმით მეორე შეაგდო. ბოლოს კი ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლემ, იუგოსლაველმა მატეა კეჟმანმა იმავე ვან ბომელის პასით ისარგებლა და სეზონში თავისი 23-ე გოლი გაიტანა.

საინტერესოა, რომ თავის დროზე „ეინდჰოვენის" კაპიტნის, ახლა კი მთავარი მწვრთნელის, ბელგიელი ერიკ გერეტსის ხელში კლუბმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა ქვეყნის საუკეთესო გუნდის სახელი.

„ჰერენვენთან" არ უთამაშია საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ გოგა გახოკიძეს. ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ სამი ტური დარჩა, გახოკიძემ კი წლეულს სულ 4 მატჩი გამართა, თუმცა ბოლო დროს გერეტსი მას სულ უფრო ხშირად ენდობა.

„ეინდჰოვენს" ლიგისა და ჰოლანდიის თასების მოპოვების შანსიც აქვს. 24 მაისს ფილიპსელები ქვეყნის თასის ფინალში „ტვენტეს" შეხვდებიან.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 31 | 22 | 8 | 1 | 64:18 | 74 |
| ფეიენოორდი | 31 | 19 | 2 | 10 | 60:32 | 59 |
| როდა | 31 | 16 | 8 | 7 | 53:34 | 56 |
| აიაქსი | 29 | 16 | 6 | 7 | 71:33 | 54 |
| უტრეხტი | 31 | 15 | 7 | 9 | 47:41 | 52 |
| ვიტესი | 30 | 14 | 9 | 7 | 49:40 | 51 |
| ვალვაიკი | 30 | 13 | 10 | 7 | 40:31 | 49 |
| ტილბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 53:46 | 45 |
| ჰერენვენი | 31 | 11 | 11 | 9 | 48:39 | 44 |
| ბრედა | 30 | 11 | 8 | 11 | 36:39 | 41 |
| ნაიმეგენი | 31 | 9 | 13 | 9 | 39:43 | 40 |
| ტვენტე | 30 | 9 | 9 | 12 | 43:56 | 36 |
| გრონინგენი | 31 | 8 | 9 | 14 | 35:45 | 33 |
| ალკმარი | 31 | 8 | 7 | 16 | 39:56 | 31 |
| გრააფსხაპი | 31 | 9 | 3 | 19 | 41:61 | 30 |
| სიტარდი | 31 | 7 | 7 | 17 | 27:58 | 28 |
| სპარტა | 31 | 6 | 6 | 19 | 40:65 | 24 |
| როზენდალი | 31 | 4 | 2 | 25 | 36:84 | 14 |

# კიბოს გოლებით ებრძვიან

## შოტლანდია

XXXVI ტური

**დანდი 2:1 კილმარნოკი**

1:0 სარა (35), 2:0 კარანსა (80პ), 2:1 დარგო (88)
დანდი: ლენგფილდი, სმიტი, ხიზანიშვილი (ვარგიუ 82), კოინი, რომანო, არტერო (რობერტსონი 71), ნემსაძე, რაე, კარანსა, სარა, კაბალიერო (მილნი 83)
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
6 261 მაყურებელი

**დანდი იუნ. 1:0 დანფერმლაინი**

1:0 ტომპსონი (21)

**ჰიბერნიანი 2:5 სელტიკი**

0:1, 0:2 მაკნამარა (5, 18), 0:3 ლარსონი (62), 0:4 სტაბსი (68), 0:5 მორავჩიკი (80), 1:5, 2:5 ლიბრა (85, 88)

**ჰართსი 1:4 რეინჯერსი**

0:1 ალბერტცი (29), 1:1 ადამი (46), 1:2 ფლესი (50), 1:3 ალბერტცი (79), 1:4 ფლო (85)

**მოზერუელი 0:2 აბერდინი**

0:1 სტავრუმი (30), 0:2 ვინტერსი (67)

**სენტ ჯონსტონი 2:2 სენტ მირენი**

0:1 დოუსი (13პ.კ.), 0:2 იერდლი (22), 1:2 დოუსი (30), 2:2 ჰარტლი (67)



სელტიკელმა ალან სტაბსმა (№6) ტაში უგოლოდაც დაიმსახურა

**„დანდიმ"** გასული წლის 18 ნოემბერის მერე შინ პირველად იმარცხა და მშობლიურ „დენს პარკს" აგვისტომდე ანუ მომავალ სეზონამდე დაემშვიდობა. წლევანდელი ჩემპიონატის დარჩენილ ორ შეხვედრას ივანო ბონეტის გუნდი სტუმრად გამართავს.

წარმატებული სეზონის ბოლო საშინაო მატჩი „დანდის" 3-4 ბურთით მაინც უნდა მოეგო, მაგრამ კინაღამ ქულასაც გამორჩა: დამთავრებამდე ორი წუთით ადრე „კილმარნოკის" ერთადერთმა თავდამსხმელმა კრეიგ დარგომ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა და მასპინძელთა მცველები პანიკამ მოიცვა — დარჩენილ დროში დანდელები მოედნის ცენტრს აღარ გადასცილებიან და გამარჯვება რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნეს.

ამ დროს, ანუ დარგოს ერთადერთი საპასუხო გოლისას, ზურაბ ხიზანიშვილი მოედანზე აღარ იყო. „ყველაფერი რიგზეა. ტრავმა სეიოზული არ გამოდგა" — დაამშვიდა აღელვებული ფანობა ივანო ბონეტიმ. ეს თამაშის მეორე დღეს გაირკვა, შაბათს კი დაშავებული ქართველი მცველი მოედნიდან გასატანი შეიქნა, მის ნაცვლად შესული კიდევ ერთი იტალიელი დებიუტანტი ვარგიუ კი სტუმართა გააფთრებული შეტევების მოსაგერიებლად ვარგისი ვერ გამოდგა.

ტრავმის მიღებამდე კი ხიზანიშვილი მასპინძელთა გუნდში საუკეთესო გახლდათ. მისი წყალობით „დანდის" დაცვის ცენტრი გაუვალი შეიქნა და აირშირელ სტუმრებს ერთი შანსი რაა, ისიც არ მისცემიათ. ნახევარდაცვაში ნემსაძე და ბეტო კარანცა ბატონობდნენ, წინ კი ხუან სარა და კანიჯას ნაცვლად მოთამაშე ფაბიან კაბალიერო ტანჯავდნენ მეტოქის დაცვას. სიტყვამ მოიტანა და კანიჯას არყოფნამ წამსვე ჭორები ააგორა, ეგ კაცი ნაღდად „რეინჯერსში" გადადისო. „კლაუდიო ფორმაშია, მაგრამ გადავწყვიტე, შანსი კაბალიეროსთვის მიმეცა, სარა კი ჩვენი საუკეთესო მეგოლეა და მისი სკამზე დატოვება გაუმართლებელია. ეს არის და ეს. კანიჯას უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. ის ნამდვილი პროფესიონალია" — იყო ბონეტის პასუხი.

რახან საუკეთესოებზე ითქვა, აუცილებლად უნდა გამცნოთ, რომ გულშემატკივართა ტრადიციული გამოკითხვის შედეგად აპრილში „დანდის" საუკეთესო ფეხბურთელად გიორგი ნემსაძე დასახელდა. საერთოდაც, საქართველოს ნაკრების კაპიტანს დიდი შანსი აქვს სეზონის საუკეთესოობაც იგდოს ხელთ, თუ დანდელთა ფანობის კიდევ ერთმა კერპმა კანიჯამ არ გადაასწრო. აპრილის გამოკითხვაში კი მეორე ადგილზე დებიუტანტი ხიზანიშვილი გავიდა, რომელიც ამავდროულად „ჰიბერნიანთან" წინა თამაშის რჩეულადაც აღიარეს.

ისევ განვლილ ტურს დავუბრუნდეთ, რომელშიც ერთი ისეთი ამბავი მოხდა, სხვა ყველა დაჩრდილა: კვირას, დედაქალაქ ედინბურგში, სადაც იქაური „ჰიბერნიანი" ჩემპიონ „სელტიკს" მასპინძლობდა, თამაშის 46-ე წუთზე მოედანზე გლაზგოელთა ინგლისელი მცველი ალან სტაბსი გამოჩნდა და არათუ საკუთარი, მეტოქის გულშემატკივართა და მოედანზე მყოფთა ოვაციაც დაიმსახურა. „არავის ეგონა, თუ ის ამ სეზონში სათამაშოდ გამოვიდოდა, მაგრამ მოინდომა და უარი არც ჩვენ გვითქვამს. მართალია, სტაბსმა წლეულს სულ მეცხრედ ითამაშა, ვფიქრობ, ჩემპიონატის მედალს მაინც იმსახურებს" — თქვა „სელტიკის" მწვრთნელმა მარტინ ონილმა.

სტაბსი კი არა მარტო გამოვიდა, 68-ე წუთზე ზუსტადაც უთავა და გოლი მიითვალა. საოცარია — ამ კაცს 18 თვის წინ სიმსივნე აღმოუჩინეს და არათუ ფეხბურთელობა, მისი სიცოცხლეც ეჭვქვეშ დააყენეს, გასულ ნოემბერს კი ჰოსპიტალში მოათავსეს და მას მერე ქიმიოთერაპიის კურსებს გადის.

მებრძოლი ინგლისელის გოლამდე ექვსი წუთით ადრე ჰენრიკ ლარსონმა თავის 35-ე სალიგო გოლი (სულ სეზონის ყველა ტურნირში 51-ე) შეაგდო და 1987 წლის რეკორდი დაამხო — მაშინ სქოთთა პრემიერლიგაში 34 გოლის გატანა ასევე „სელტიკის" თავდამსხმელმა ბრაიან მაკლეირმა შეძლო.

„გადასარევი რეპეტიცია გამოდგა" — თქვა ონილმა. „ჰიბერნიანი" და „სელტიკი" ერთმანეთს 26 მაისს ქვეყნის თასის ფინალშიც ხვდებიან.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 36 | 31 | 4 | 1 | 90:26 | 97 |
| რეინჯერსი | 36 | 24 | 4 | 8 | 67:35 | 76 |
| ჰიბერნიანი | 36 | 18 | 11 | 7 | 57:31 | 65 |
| კილმარნოკი | 36 | 14 | 9 | 13 | 42:48 | 51 |
| ჰართსი | 36 | 13 | 9 | 14 | 54:50 | 48 |
| დანდი | 36 | 12 | 8 | 16 | 49:47 | 44 |
| ------------ | | | | | | |
| აბერდინი | 36 | 11 | 12 | 13 | 43:48 | 45 |
| დანფერმლაინი | 36 | 11 | 8 | 17 | 33:52 | 41 |
| სენტ ჯონსტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 38:53 | 39 |
| მოზერუელი | 36 | 11 | 6 | 19 | 37:52 | 39 |
| დანდი იუნ. | 36 | 7 | 8 | 21 | 33:60 | 29 |
| სენტ მირენი | 36 | 7 | 5 | 24 | 27:68 | 26 |



REUTERS

თასი ლიონელთა კაპიტანმა სონი ანდერსონმა „მოიტაცა“

# ლამაზი ფინალი? ვისთვის როგორ

## საფრანგეთი

### ლიგის თასის ფინალი

**ლიონი 2:1დ.დ. (1:1) მონაკო**

1:0 კასაპა (35), 1:1 ნონდა (64), 2:1 მიულერი (118)

ლიონი: კუპე, შანელე, ედმილსონი, კასაპა, ბრეშე, ვიოლო, ფოე (მიულერი 106), ლუგლი, დორასო (დელმოტი 118), ანდერსონი, მარლე (გოვუ 77)

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

მონაკო: პორატო, პანუჩი (ჟურიეტი 47), მარკეში, ჟ. როდრიგესი, ლეონარი (და კოშტა 78), ჟეტუ ფარნერუდი, ჟიული, გალიარდო (ბონალი 96), სიმონე, ნონდა

მწვრთნელი: კლოდ პუელი

გაფრთხილებები: ბრეშე, როდრიგესი, სიმონე, ჟიული, მარკეში

მსაჯი: ბრე

78 010 მაყურებელი

**„მთელი** კვირა ფსიქოლოგიურად ვემზადებოდით. ფინალი მხოლოდ მაშინაა ლამაზი, როცა მას იგებ. მეტს ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ „ლიონი“ ნამდვილად იმსახურებდა ამ ჯილდოს“ — მხოლოდ ეს განაცხადა „ლიონის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ ფინალის შემდეგ, როცა საპრესკონფერენციო დარბაზში ორიოდ წუთით შეირბინა.

მასთან შედარებით გაცილებით სიტყვაუხვი იყო მონაკოელთა დამრიგებელი კლოდ პუელი: „თასი ოლიმპიადა არ არის მარტო მონაწილეობით რომ დაკმაყოფილდე, იგი უნდა მოიგო. შესაბამისად, ძალიან იმედგაცრუებულები ვართ. არადა, საწყის 20 წუთში იმხელა უპირატესობას ვფლობდით, მაშინვე უნდა გადაგვეწყვიტა მატჩის ბედი. თუმცა ანგარიშის გახსნა მაინც „ლიონმა“ შეძლო. მეორე ტაიმში გათანაბრება კი მოვახერხეთ, მაგრამ ტრავმების გამო განხორციელებულმა იძულებითმა შეცვლებმა ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაყენა და წაგების ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა“.

ასეა თუ ისე, სათავადოს გუნდისთვის ფინალი ულამაზო გამოდგა და საფრანგეთის ლიგის თასსა და 15 მილიონ ფრანკს (დაახლოებით 2 მილიონ 143 ათასი აშშ დოლარი) ლიონელები დაეუფლნენ. ეს ტიტული ბოლო 28 წლის განმავლობაში პირველია ამ კლუბისთვის, რომელსაც 1973 წელს მოპოვებული ქვეყნის თასის შემდეგ აღარაფერი მოეგო.

„ლიონის“ გამარჯვებამ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ორ ტურს დაძაბულობა შემატა, რადგან ახლა მეხუთე ადგილი უეფას თასის საგზურს იძლევა. შესაბამისად, პირველი ოთხეულის დაშორებით მყოფი გუნდები გაათკეცებული ენერგიით ითამაშებენ და აღარაფერს დათმობენ.

თავიდან, როგორც პუელმაც აღნიშნა, „მონაკო“ ფლობდა ინიციატივას. საბანი ნონდას უკვე მე-9 წუთზე შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ გრეგორი კუპემ არ დაანება. ნონდას გარდა მარკო სიმონე, ლუდოვიკ ჟიული და მარსელო გალიარდო აწიოკებდნენ მეტოქის დაცვას. ამაში გარკვეულწილად ბრაზილიელი ლეგიონერი ედმილსონიც იყო დამნაშავე, რადგან საკმაოდ ხშირად ცდებოდა. ასე მაგალითად, მე-11 წუთზე მისი დაკარგული ბურთი სიმონემ სახიფათოდ დაარტყა და კუპემ გაჭირვებით გადააგდო კუთხურზე.

მერე ლიონელებმა ნელ-ნელა შეძლეს თამაშის გათანაბრება და იქითაც შეუტიეს. 35-ე წუთზე კი კასაპამ მშვენიერი გოლიც გაიტანა. მან ჯერ სიმონეს აართვა ტექნიკური ვარდნით ბურთი, შემდეგ სტივ მარლეს კედელი გაუთამაშა და 50-მეტრიანი რეიდი იმით დააგვირგვინა, რომ სტეფან პორატოს ბურთი თავზე გადაუგდო — 1:0.

მეორე ტაიმიც ჯუჯა-სახელმწიფოს გუნდის შეტევით დაიწყო. გოლის გატანის შანსი ჟიულისა და ფარნერუდს ჰქონდათ, მაგრამ კუპემ ივარგა. თუმცა 64-ე წუთზე ნონდამ მაინც შეძლო გათანაბრება. ძირითად დროში გოლი აღარ გასულა და დამატებითი დროც დაინიშნა.

118-ე წუთზე სონი ანდერსონის გარღვევა უკან გადაცემული პასით დასრულდა, რომელსაც შვეიცარიელი პატრიკ მიულერი ადგილზე დახვდა და „ლიონმა“ ფინალი გაილამაზა.

რაც შეეხება მონაკოელთა ტრავმებს, პანუჩიმ მსუბუქი ტვინის შერყევა მიიღო, ლეონარმა საზარდული იტკინა, გალიარდომ კი ტერფი დაიშავა.

**გაგი ბურდული**

### გადადებული მატჩი

**ლანსი 1:1 ტრუა**

1:0 კუედრუ (10), 1:1 ბუტალი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 32 | 19 | 5 | 8 | 53:35 | 62 |
| ლიონი | 32 | 15 | 13 | 4 | 48:27 | 58 |
| ბორდო | 32 | 15 | 11 | 6 | 46:29 | 56 |
| ლილი | 32 | 15 | 10 | 7 | 39:24 | 55 |
| სედანი | 32 | 13 | 9 | 10 | 44:38 | 48 |
| რენი | 32 | 13 | 6 | 13 | 42:35 | 45 |
| ტრუა | 32 | 11 | 11 | 10 | 43:45 | 44 |
| მონაკო | 32 | 12 | 6 | 14 | 52:48 | 42 |
| ბასტია | 32 | 12 | 6 | 14 | 39:38 | 42 |
| გენგამი | 32 | 11 | 9 | 12 | 37:45 | 42 |
| ოსერი | 32 | 11 | 8 | 13 | 31:39 | 41 |
| პარი სენ ჟერმენი | 32 | 11 | 7 | 14 | 40:42 | 40 |
| მეცი | 32 | 10 | 10 | 12 | 34:42 | 40 |
| ლანსი | 32 | 9 | 12 | 11 | 36:35 | 39 |
| მარსელი | 32 | 10 | 6 | 16 | 28:38 | 36 |
| ტულუზი | 32 | 7 | 10 | 15 | 31:44 | 31 |
| სენტ ეტიენი | 32 | 9 | 9 | 14 | 41:53 | 30 |
| სტრასბური | 32 | 7 | 8 | 17 | 27:54 | 29 |

# როდემდე, მსაჯებო, როდემდე?!

## იანოვსკის ლოკომოტივის მაგივრად შერცხვა

## რუსეთი

### VIII ტური

**ჩერნომორეცი 1:1 დინამო**

1:0 სნიტკო (25პ), 1:1 ხაზოვი (83)

**სპარტაკი 3:0 ფაკელი**

1:0 შირკო (62), 2:0 კრანოვსკი (66), 3:0 ტიტოვი (77)

**როტორი 1:0 სატურნი**

1:0 ოლენიკოვი (66)

**როსტსელმაში 1:0 ტორპედო ზილ**

1:0 კირიჩენკო (43)

**ლოკომოტივი 3:1 ალანია**

0:1 პაგაევი (41), 1:1 პიმენოვი (76), 2:1 ლოსკოვი (82პ), 3:1 ობიორა (89)

**ზენიტი 0:3 ტორპედო**

0:1 ლუხვიჩი (12), 0:2, 0:3 ვიაზმიკინი (38, 80)

**სოკოლი 1:0 კრილია სოვეტოვი**

1:0 ფედკოვი (70)

**ცსკა 1:0 ანჟი**

1:0 პომპეი (89)

**„აბა, ეს რას** ჰგავს — გაიკვირვა „კრილიას“ გუნდის უფროსმა ვალერი ზუბაკოვმა მატჩის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ — თამაში მორჩა თუ არა, განვაცხადეთ, რომ პროტესტს დავწერდით. სამსაჯოში რატომღაც დაყინებით გვირჩიეს, ჯერ საკამათო მომენტების ვიდეოფირი გვენახა და საჩივარი მერე დაგვეწერა.

ფირი ვნახეთ, მაგრამ ახალი და განსხვავებული ვერაფერი აღმოვაჩინეთ. მაგრამ როცა ეს „კინო“ დამთავრდა, აღმოჩნდა, რომ პროტესტის შეტანის დრო ამოწურულიყო... საინტერესოა, ვინ დაადგინა ასეთი ვადები?“

პეტერბურგელ არბიტრ ტარას ბეზუბიაკს სამარელები სამ ამბავს ედავებიან, მიაჩნიათ, რომ „სოკოლის“ თავდამსხმელმა ფედკოვმა გოლი წესის დარღვევით გაიტანა, კიდევ სტუმართათვის ორი პენალტი უნდა დაენიშნათ, ჯერ კარიაკას წაქცევისთვის, სულ ბოლოს კი ვინოგრადოვთან უხეშობისთვის.

ცხადია, მასპინძლები თავისას ამტკიცებენ, გოლის ავტორი ანდრეი ფედკოვი იფიცებს, რომ გატანისას წესი არ დაურღვევია: „გეფიცებით, ნაღდი გოლი იყო. მესმის მეტოქეთა გულისტკივილი, მაგრამ რა გაეწყობა: მაღალი გადაცემა მივიღე და თავით გავიტანე. მეკარე ლავრენცოვი მოგერიებას ცდილობდა, მაგრამ ბურთს ვერ შესწვდა“ — თქვა ფედკოვმა.

აი, ასეთი ამბები იყო სარატოვში, სადაც ადგილობრივმა „სოკოლმა“ ლიდერ „კრილიას“ 1:0 მოუგო და გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა. ფედკოვის თავურმა „კრილიას“ წლევანდელ სეზონში პირველად წააგებინა. დებიუტანტი „სოკოლი“ კი კვლავაც ერთადერთად რჩება, ვისაც დამარცხების სიმწარე ჯერ არ განუცდია.

მოკლედ, ვოლგისპირული დერბი ისე მორჩა, როგორც დერბის შეეფერება. ცუდ მოედანს გუნდებისთვის ხელი არ შეუშლია, სწრაფი ფეხბურთი ეთამაშათ. მერე იყო გაწევ-გამოწევაც, პროტესტებიც...

ახლახან „კრილიას“ ქომაგები კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდში ასეთ კითხვას პასუხობდნენ: რამ შეიძლება გუნდს წარმატებულ გამოსვლაში შეუშალოს ხელიო. საინტერესოა, რომ მსაჯობის პრობლემა სამარელებს თითქმის არ გახსენებიათ, ამ ფენომენზე მხოლოდ სამმა პროცენტმა გაამახვილა ყურადღება, დანარჩენებმა — მეტოქეები ნელ-ნელა ფორმაში შევლენო, წამყვანი ფეხბურთელები უცხოეთში გაიქცევიანო და ასე...

დღეს კი იქაურები ამბობენ, „კრილიას“ წინააღმდეგ მსაჯებმა შეთქმულება მოაწყვესო...

მესამე ადგილზე „სპარტაკი“ ალზევდა, რომელმაც შინ „ფაკელი“ გაანადგურა, აი, „ზენიტმა“ კი მოულოდნელად „ტორპედოსთან“ 0:3 წააგო და სეზონის დასაწყისში მორგებული ლიდერის ნიღაბი მალევე ჩამოიხსნა.

მსაჯებს დაემდურა ალანიელთა დროებითი მწვრთნელი ალექსანდრ იანოვსკიც: „ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს მოგებისთვის, მაგრამ გასახდელში შესულებს თვალებს ვერ ვუსწორებდი. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი საშინელი მსაჯობა? „ლოკომოტივის“ ადგილზე ასეთი მოგებისა შემრცხვებოდა“.

„ალანია“ მოსკოვში „ლოკომოტივს“ ებრძოდა და დამთავრებამდე 15 წუთით ადრე 1:0 იგებდა, მაგრამ ბოლო წუთებში სამი გოლი გაუშვა...

ჯერ ჯანაშიას პასით პიმენოვმა გაათანაბრა — ქართველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო რკინიგზელთა გუნდში — მერე მოწინააღმდეგის საჯარიმოში სარქისიანი წააქციეს და როგორც ამბობენ, რამენსკოელმა მსაჯმა ფროლოვმა ტყუილი პენალტი დანიშნა. თუმცა მასპინძელთა მწვრთნელი სიომინი ეპიზოდს ასე აფასებს: „რა უკვირთ, ვერ გამიგია, სარქისიანი არ უნდა წაექციათ და მორჩა“.

ბოლოს „ლოკომოტივმა“ მესამეც შეაგდო და ვლადიკავკაზელებს ერთი უსიამოვნო ტრადიცია გაუგრძელა — „ალანიას“ რვა წელიწადია მოსკოვში „ლოკომოტივისთვის“ არ მოუგია.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოკოლი | 8 | 6 | 2 | 0 | 10:4 | 20 |
| კრილია | 8 | 6 | 1 | 1 | 11:2 | 19 |
| სპარტაკი | 8 | 5 | 2 | 1 | 9:5 | 17 |
| ზენიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:8 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 15 |
| ტორპედო | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 12 |
| სატურნი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:6 | 11 |
| როტორი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:6 | 11 |
| ცსკა | 8 | 3 | 1 | 4 | 6:8 | 10 |
| ანჟი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:6 | 9 |
| ტორპედო ზილ | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 8 |
| ჩერნომორეცი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:12 | 8 |
| დინამო | 8 | 1 | 3 | 4 | 7:9 | 6 |
| ალანია | 8 | 2 | 0 | 6 | 4:12 | 6 |
| როსტსელმაში | 8 | 1 | 2 | 5 | 4:9 | 5 |
| ფაკელი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:12 | 4 |



REUTERS

ფენერბაჰჩე — გალათასარაი. ამათი თამაში ჩხუბის და პოლიციის გარეშე არ დამთავრდებოდა

## თურქეთი

### XXXI ტური

**ფენერბაჰჩე 2:1 გალათასარაი**

1:0 ალი გიუნეში (12), 2:0 იუსუფი (52), 2:1 სუათ კაია (75)

ანკარაგიუჯიუ — ტრაბზონი 2:4; იოზგათი — ქოჯაელი 4:2; ანთალია — სამსუნი 2:2; ადანა — ერზერუმი 3:3; ბეშიქთაში — ისთანბული 2:0; იეთფა — გენჩლერბირლიგი 3:0; დენიზლი — გაზიანთეფი 2:3; რიზე — ბურსა 3:1

**ვისაც** სტამბოლური დერბი ცოცხლად უნახავს, დაგვეთანხმება, იქ განსაკუთრებული და ძალიან ხმაურიანი ამბები ხდება. ასე იყო ამ კვირასაც. ოდინდელი მტრები შეხვდნენ ერთმანეთს. აქეთ მასპინძელი — ლურჯ-ყვითელი „ფენერბაჰჩე“ და იქით სტუმარი — წითელ-ყვითელი „გალათასარაი“.

ფერად-ფერადი ტრიბუნები, დროშები და მაშხალები. მუხტი ჰაერში, ნერვოზი მინდორზე და წვიმა... წვიმა, რომელმაც გამშველებლის როლიც კი შეასრულა. მოწინააღმდეგე ბანაკის ქომაგები ერთმანეთს დაერივნენ, პოლიციამაც ვერაფერი მოახერხა. აი, წვიმამ კი მოქიშპენი გააგრილა და დააოკა.

არადა, დერბიც არის და დერბიც. „გალათასარაი“ პირველ ადგილზე იყო, მხოლოდ სამი ქულით უსწრებდა „ფენერბაჰჩეს“. კვირის ბრძოლამ კი ეს სხვაობა ნულამდე დაიყვანა. მეოთხედი საათიც არ გასულიყო, მასპინძელმა ალი გუნეშმა „ფენერი“ რომ დააწინაურა. შესვენების შემდეგ იუზეფ სიმსეკმა მეორე გაიტანა. სუათის ერთ საპასუხოს აღარაფერი შეუცვლია — 2:1 და „ფენერბაჰჩე“ ცხრილს სათავეში მოექცა. მართალია, „გალათასარაის“ ქულებით გაუტოლდა, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს და პირველი საფეხურიც ამიტომ უჭირავს.

ახლა თურქ ჟურნალისტებს „ფენერბაჰჩეს“ ჩემპიონობისა უფრო სჯერათ, რადგან „გალათასარაის“ გაცილებით მძიმე კალენდარი აქვს, კერძოდ, „გაზიანთეფთან“ და „ტრაბზონთან“ ურთულესი მატჩები ელის. „ფენერი“ კი დღითიდღე უმატებს, რაც მათი ახალი მწვრთნელის, მუსტაფა დენიზლის დამსახურებაა. დენიზლი, გეხსომებათ, ევრო 2000-ზე თურქთა ეროვნულ გუნდს თავკაცობდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 31 | 21 | 4 | 6 | 75:37 | 67 |
| გალათასარაი | 31 | 21 | 4 | 6 | 69:33 | 67 |
| გაზიანთეფი | 31 | 19 | 7 | 5 | 64:37 | 64 |
| ბეშიქთაში | 31 | 18 | 6 | 7 | 60:43 | 60 |
| ტრაბზონი | 31 | 16 | 6 | 9 | 67:46 | 54 |
| ანკარაგიუჯიუ | 31 | 13 | 8 | 10 | 55:54 | 47 |
| სამსუნი | 31 | 12 | 8 | 11 | 48:45 | 44 |
| დენიზლი | 31 | 12 | 8 | 11 | 50:51 | 44 |
| იოზგათი | 31 | 11 | 9 | 11 | 47:43 | 42 |
| რიზე | 31 | 12 | 6 | 13 | 42:40 | 42 |
| ისთანბული | 31 | 11 | 7 | 13 | 44:52 | 40 |
| გენჩლერბირ. | 31 | 12 | 3 | 16 | 39:50 | 39 |
| ბურსა | 31 | 10 | 7 | 14 | 50:54 | 37 |
| ქოჯაელი | 31 | 8 | 11 | 12 | 46:55 | 35 |
| ანთალია | 31 | 9 | 8 | 14 | 42:55 | 35 |
| იეთფა | 31 | 5 | 6 | 20 | 43:72 | 21 |
| ერზერუმი | 31 | 5 | 6 | 20 | 33:71 | 21 |
| ადანა | 31 | 2 | 10 | 19 | 44:80 | 16 |

## პორტუგალია

### XXXI ტური

**კამპომაიორენსე 1:0 ფარენსე**

1:0 ლაელსონი (69)

**ფერეირა 0:1 გიმარაეში**

0:1 აბელ ფერეირა (40)

**ამადორა 1:0 სალგეიროში**

1:0 პაულუ ფერეირა (26)

**ლეირია 1:1 ავეში**

1:0 დერლეი სილვა (53), 1:1 რუი ლიმა (62)

**ბელენენსეში 1:1 სპორტინგი**

1:0 გუგა სანტუში (4), 1:1 შეხარი (90)

**ბეირა მარი 0:3 პორტუ**

0:1, 0:2 პენა (47, 76), 0:3 კანდიდუ კოშტა (90)

**ბოავიშტა 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ჟორჟე კოუტუ (17), 2:0 ნუნუ (90)

**ბენფიკა 0:2 ალვერკა**

0:1 დუდიჩი (19ა.კ.), 0:2 ბორგესი (69)

**ბრაგა 2:1 მარიტიმუ**

1:0 ჟოზე ბაროსო (67), 1:1 ფერაზი (73), 2:1 არტურ ჟორჟე (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 31 | 21 | 8 | 2 | 55:17 | 71 |
| პორტუ | 31 | 21 | 4 | 6 | 63:25 | 67 |
| სპორტინგი | 31 | 18 | 5 | 8 | 54:33 | 59 |
| ბრაგა | 31 | 16 | 9 | 6 | 55:39 | 57 |
| ბენფიკა | 31 | 15 | 7 | 9 | 49:36 | 52 |
| ლეირია | 31 | 13 | 11 | 7 | 40:35 | 50 |
| ბელენენსეში | 31 | 13 | 10 | 8 | 39:31 | 49 |
| ბეირა მარი | 31 | 13 | 6 | 12 | 39:45 | 45 |
| ფერეირა | 31 | 11 | 11 | 9 | 41:33 | 44 |
| ალვერკა | 31 | 11 | 6 | 14 | 41:46 | 39 |
| სალგეიროში | 31 | 12 | 3 | 16 | 36:48 | 39 |
| მარიტიმუ | 31 | 10 | 7 | 14 | 31:35 | 37 |
| ფარენსე | 31 | 9 | 9 | 13 | 34:43 | 36 |
| გიმარაეში | 31 | 7 | 9 | 15 | 37:48 | 30 |
| კამპომაიორენსე | 31 | 6 | 11 | 14 | 27:53 | 29 |
| ჟილ ვისენტე | 31 | 7 | 7 | 17 | 25:39 | 28 |
| ამადორა | 31 | 4 | 6 | 21 | 23:48 | 18 |
| ავეში | 31 | 3 | 9 | 19 | 24:59 | 18 |

## ჩრდ. ირლანდია

### თასის ფინალი

**გლენტორანი 1:0დ.დ. (0:0) ლინფილდი**

1:0 პოლიდეი (99)

## შვეიცარია

### A ჯგუფი

### მეორე ეტაპი. X ტური

**ბაზელი 2:1 ციურიხი**

1:0 ჰუგელი (6), 2:0 იაკინი (65), 2:1 ჩიხაბა (71)

ციურიხი: პასკოლო, ჟანინი (მალსა 83), ქუნერ, ფიშერი, კვენტინი, ბელინგა, ჯამარაულო, ჩიხაბა, ბიულმანი (შახი 78), დუშ სანტუში, ჩადლაშვილი (ბალუ 69)

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

31 041 მაყურებელი

**გრასჰოპერი 1:1 ლუგანო**

0:1 მანინი (55), 1:1 კაბანასი (76)

**სერვეტი 3:1 ლოზანა**

1:0 ფრეი (15), 1:1 ბაუდრი (42), 2:1 ფრეი (70), 3:1 მ. პეტროვი (78)

**სენტ გალენი 4:1 სიონი**

0:1 ბუბონე (15), 1:1 განე (27), 2:1 ზელვეგერი (29), 3:1 გვიდო (36), 4:1 კონტინი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:16 | 39 |
| გრასჰოპერი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:9 | 36 |
| ლუგანო | 10 | 3 | 4 | 3 | 16:14 | 34 |
| ბაზელი | 10 | 4 | 4 | 2 | 12:10 | 33 |
| სერვეტი | 10 | 4 | 2 | 4 | 19:14 | 31 |
| ციურიხი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:8 | 28 |
| ლოზანა | 10 | 2 | 2 | 6 | 10:24 | 26 |
| სიონი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:16 | 25 |

მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია

### A/B ჯგუფი

### X ტური

**არაუ 2:0 ვინტერტური**

1:0, 2:0 დე ნაპოლი (6, 71)

არაუ: ბენიტო, პეგი (ოდიშე 68), ეგიმენი, ბადერი, ბაუდრი, ვიდერკერი, პრევიტალი, სკრეპიჩაკი, ბალდასარი, დე ნაპოლი (პაველიჩევიჩი 90), პერეირა (ხომერიკი 68)

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

ვინტერტური: პიურზელერი, ჰუბერი, ბრუნოლი, გიგაქსი, მონტანდონი (დისერი 51), კასტილიო, ბაუმანი, ზამთარაძე (ცარბა 46), გერსტენმაიერი, ვილდი, ობაფემი

3 300 მაყურებელი

ბელინცონა — ლუცერნი 0:1; ქსამაქსი — ვილი 1:0; ივერდონი — იანგ ბოიზი 4:2

### B ჯგუფი

მე-10 ტური: კრიენსი — ლოკარნო 2:0; სოლოტურნი — კარუჟი 1:1; ვანგენი — ბადენი 1:2; დელემონი — ტუნი 1:2

# დღეს ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. მეორე მატჩი

## ვალენსია — ლიდს იუნაიტედი (0:0)

ვალენსია. «მესტალია». 23.45 ჩვენი დროით

### სავარაუდო შემადგენლობები

კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, აურელიო, ვისენტე, მენდიეტა, კილი გონსალესი, აიმარი, კარეუ, ხუან სანჩესი

მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური, ბეტი, უილკოქსი, კიუელი, ვიდუკა, სმიტი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

# 7:1 ვალენსიამ ლიდსს საჩვილეები მოუგო

**საფეხბურთო** მატჩის ანგარიში კი არა, ბევრად უფრო მარტივი რამეები არ იცის ადამიანმა წინასწარ, თუმცა ერთი რამ ახლავე შეგვიძლია ვთქვათ — დღევანდელი შერკინება უგოლოდ არ დასრულდება. 90 წუთში, 120 წუთში თუ პენალტების სერიაში, აბა, რა ვიცით, მაგრამ გოლი ან გოლები აუცილებლად იქნება.

ფინალამდე ერთი გოლი გვაშორებსო, დაუანგარიშებია პაბლო აიმარს, რომელმაც ამ უქმეებზე „სოსიედადს" გამარჯვებისა შეუგდო. მაგრამ იგივეს თქმა ხომ ლიდსელებსაც შეუძლიათ. და ამბობენ კიდეც: „ჩვენ უკვე გავიტანეთ „სტადიო ოლიმპიკოზე" და „სანტიაგო ბერნაბეუზე". ვფიქრობ, არც „მესტალიაზე" გატანაა წარმოუდგენელი" — განაცხადა ინგლისელთა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ, რომელსაც რიო ფერდინანდიც ეთანხმება: „ნებისმიერ სტადიონზე შეგვიძლია გატანა".

გავიხსენოთ, რომ „ლიდსმა" დეკემბერში „ლაციოს" რომში 1:0 მოუგო, ხოლო მარტში „რეალს" მისსავე სარბიელზე ორი გოლი გაუტანა და ოღენ რაულის ხელმა წააგებინა.

თუმცა ერთი გოლი რაა, ექტორ რაულ კუპერმა თქვა, თუ საშუალება მოგვეცა, შვიდი უნდა გავიტანოთ, ამის შემდეგღა ვიგრძნობ თავს მშვიდადო.

„ყველა ფაქტორი ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს — ეს მიგელ ანხელ ანგულოს სიტყვებია, რომელმაც „ელანდ როუდზე" დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა. ამ ფაქტორებიდან ერთი გამოვარჩიოთ — „ვალენსია" ხუთჯერ გავიდა ევროთასების ნახევარფინალში და ხუთჯერვე გაიმარჯვა" (1962, 63, 64 წლებში ბაზრობათა თასზე, 1980 წელს თასების მფლობელთა თასზე და წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაში).

ძველ ამბებს თავი დავანებოთ და გასული სეზონის მერე „ვალენსია" შეიცვალა. იქ აღარ არიან ხერარდი, ფრანსისკო ფარინოსი და კლაუდიო ლოპესი. იმ სეზონში კლაუდიომ ხუთი გოლი გაიტანა და ხუთიც მისი პასით გავიდა. გავიხსენოთ მაშინდელი მეოთხედფინალის 5:2 „ლაციოსთან" და ნახევარფინალის 4:1 „ბარსელონასთან" — ახლა „ვალენსიას" ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვებები აღარ ჰქონია.

თუმცა ბევრი გაიტანა თუ ცოტა, „ვალენსია" კვლავ ნახევარფინალშია და გაყიდულ ფეხბურთელთა შემცვლელებიც იპოვა — პაბლო აიმარი, იონ კარეუ, ზლატკო ზაჰოვიჩი. აქვეა კლუბის აღზრდილი ვისენტეც, რომელიც ასაკისა და პირველი სეზონის კვალობაზე ძალიან კარგად თამაშობს.


REUTERS ფოტოსურათი

ნოყოფიერი მისტერ დევიდ ოლირი

„ვალენსიაზე" ფრთხილად ლაპარაკობს დევიდ ოლირიც: „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" დიდი გუნდებია, მაგრამ მათ „ვალენსიას" დამარცხება ვერ შეძლეს და ესეც გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძლიერი მეტოქე გვერგო.

თავის მხრივ ესპანელებიც პატივისცემით იხსენიებენ „ლიდსს". „მათი კონტრშეტევები ყოველთვის უაღრესად სახიფათოა და ყურადღების საოცარი დაძაბვა დაგვჭირდება, რომ შეცდომა არ დავუშვათ" — თქვა აიმარმა და წინა მატჩისგან განსხვავებით, სასტარტო შემადგენლობაში სათამაშოდ ემზადება. ის რუბენ ბარახას შეცვლის, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

ბარახას ბედს იზიარებს ამადეო კარბონი, რომელიც თავის ზედმეტად აღელვებას ემსხვერპლა — ლიდსში საბედისწერო ყვითელი ბარათი უკმაყოფილების გამოხატვისთვის მიიღო. მის შემცვლელად ექტორ რაულ კუპერს ბრაზილიელი ფაბიო აურელიო ეგულება, თუმცა არც იოაკიმ ბიორკლუნდის გამოჩენა იქნება მოულოდნელი. სხვა მხრივ გუნდში ყველაფერი წესრიგშია.

წესრიგში იყო „ლიდსის" საქმეებიც, მაგრამ წუხელ ვალენსიაში ჩასულმა დევიდ ოლირიმ ისეთი ამბავი შეიტყო, სააგენტოების გადმოცემით, მოულოდნელობისგან კრიჭა შეეკრა. საქმე ისაა, რომ ესპანეთში ნასტუმრებ ინგლისელებს უეფას გადაწყვეტილება დაახვედრეს: „ლიდსის" ნახევარმცველი ლი ბოიერი ევროთასებისგან სამი მატჩით დისკვალიფიცირებულია, მათ შორის დღეს გასამართი ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრის გამოტოვებაც მოუწევსო. უეფას ჩინოსნებს ლიდსი — ვალენსიას პირველი მატჩის ვიდეოფირი ყურადღებით უნახავთ და შეუმჩნევიათ ბოიერის ულირსი საქციელი — ინგლისელებმა წაქცეულ ხუან სანჩესს ფეხი შეგნებულად დააბიჯაო.

ერთი სიტყვით, დევიდ ოლირის გეგმები გვარიანად აერია, მაგრამ თადარიგი აქედანვე დაიჭირა, უეფას ვალენსიიდან შეუთვალა, ვინძლო ფინალში გავიდეთ, ეგებ, ბოიერს მაშინ დართოთ თამაშის ნებაო.

**გიორგი დარჯანია**


REUTERS ფოტოსურათი

ლი ბოიერმა უეფას განაჩენი „მესტალიაზე" შეიტყო

## 16-წლამდელთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი, ინგლისი 2001

**1/2 ფინალი**

ესპანეთი 3:0 ხორვატია

ინგლისი 0:4 საფრანგეთი

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

ხორვატია 4:1 ინგლისი

**ფინალი**

ესპანეთი 1:0 საფრანგეთი

**ყმაწვილთა** ევროპის საყმაწვილო ჩემპიონატის ფინალში თავიდანვე ფავორიტად მიჩნეული საფრანგეთი ესპანეთთან დამარცხდა, თუმცა მორალურ ჩემპიონად საკუთარ თავს მიიჩნევს.

არადა, თამაში ისე წარიმართა, რომ ესპანელები მეტოქეზე მეტად სახიფათოდ უტევდნენ და ფრანგთა კარში გოლი ოღენ უიღბლობით ვერ გაჰქონდათ. მაგრამ ბოლოს ბედმა მათაც გაუღიმათ და 76-ე წუთზე ფრანგმა ჟულიო კოლომბომ საჯარიმოში ხელით ითამაშა. ამ დარღვევისთვის დანიშნული პენალტი ფერნანდო ტორესმა გოლად და ჩემპიონის ტიტულად აქცია.

მთავარი ამბავი მერე მოხდა. უკვე წამატებულ დროში, ფრანგთა ბოლო იერიშისას ბურთმა ერთი ესპანელის ხელიც მოძებნა, მაგრამ რაც ფრანგებმა დაინახეს, ინგლისელი არბიტრ ენდი დურსოსთვის შეუმჩნეველი დარჩა. ფრანგებს უკანასკნელი იმედი არ ეთმობოდათ და საქმის გარჩევა დაიწყეს, რაც საფინალო სასტვენის მერეც გაგრძელდა და გამარჯვებულებს კარგა ხანს მოუხდათ ლოდინი, სანამ ფრანგი თანატოლებისგან მილოცვას მიიღებდნენ.


ესპანელთა კაპიტანი კარლოს გარსია

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### აფრიკა

VI ტური

**A ჯგუფი**

ტოგო — ზამბია 3:2; ანგოლა — კამერუნი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 6 | 5 | 0 | 1 | 10:2 | 15 |
| ანგოლა | 6 | 3 | 2 | 1 | 9:7 | 11 |
| ზამბია | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 7 |
| ტოგო | 5 | 1 | 2 | 2 | 7:10 | 5 |
| ლიბია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

**B ჯგუფი**

სიერა ლეონე — განა 1:1; ნიგერია — ლიბერია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| ნიგერია | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 10 |
| სუდანი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:5 | 9 |
| განა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:5 | 5 |
| სიერა ლეონე | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | 4 |

**C ჯგუფი**

ალჟირი — მაროკო 1:2; ეგვიპტე — სენეგალი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| სენეგალი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:2 | 9 |
| ეგვიპტე | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| ალჟირი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 |
| ნამიბია | 5 | 0 | 2 | 3 | 1:9 | 2 |

**D ჯგუფი**

მადაგასკარი — ტუნისი 0:2; კონგო — კონგოს დრ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 13 |
| კოტ დივუარი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| კონგოს დრ | 6 | 2 | 1 | 3 | 5:12 | 7 |
| კონგო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| მადაგასკარი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:9 | 3 |

**E ჯგუფი**

სამხრეთ აფრიკა — ზიმბაბვე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 4 | 4 | 0 | 0 | 7:2 | 12 |
| ზიმბაბვე | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ბურკინა ფასო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| მალავი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

ჯგუფებში გამარჯვებულნი გადიან ფინალურ ეტაპზე

### აზია

**I ჯგუფი. II ტური**

ომანი — ლაოსი 7:0; სირია — ფილიპინები 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ომანი | 2 | 2 | 0 | 0 | 19:0 | 6 |
| სირია | 2 | 2 | 0 | 0 | 17:1 | 6 |
| ფილიპინები | 2 | 0 | 0 | 2 | 1:17 | 0 |
| ლაოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:19 | 0 |

სირია — ლაოსი და ომანი — ფილიპინები წუხელ გვიან გაიმართა

**VII ჯგუფი. V ტური**

**იორდანია 1:2 თურქმენეთი**

1:0 აბუ ტუქი (7), 1:1 გოგოლაძე (25), 1:2 ყურბანგელდი (85)

თურქმენეთი: ნაბოიჩენკო, გოჩკულიევი, იგნატოვი, მერედოვი, დურგიევი, მინგაზოვი, ბაირამოვი (აგაბაიევი 60), ბერდიევი, მაგდიევი, კულიევი (ბორდოლიმოვი 72), ძ. გოგოლაძე (ანადურდიევი 90)

5 000 მაყურებელი

**ტაივანი 0:4 უზბეკეთი**

0:1 ირისმეტოვი (14), 0:2, 0:3 კასიმოვი (56, 58), 0:4 ირისმეტოვი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზბეკეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 19:4 | 13 |
| თურქმენეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:7 | 9 |
| იორდანია | 5 | 2 | 1 | 2 | 13:6 | 7 |
| ტაივანი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:24 | 0 |

თურქმენეთი — ტაივანი

იორდანია — უზბეკეთი

წუხელ გვიან გაიმართა

უზბეკეთის ნაკრები გავიდა მეორე ეტაპზე

**VIII ჯგუფი. IV ტური**

საამიროები — ბრუნეი 4:0; იემენი — ინდოეთი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საამიროები | 4 | 3 | 0 | 1 | 17:1 | 9 |
| იემენი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 8 |
| ინდოეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ბრუნეი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:22 | 0 |

11 მაისი: იემენი — საამიროები

12 მაისი: ბრუნეი — ინდოეთი

## ბელგია

XXXII ტური

**აალსტი 4:0 შარლერუა**

1:0 დე ვილდე (10), 2:0 როჟერიო (11), 3:0 ვან დენ ბოში (34), 4:0 ვან ჰაუვეგენი (35)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, არტსი, მიკელი, ფილიპოვიჩი, ტემერმანი, ვან დენ ბოში, როჟერიო, ალბრეხტი, დე ვილდე, მრავლიევიჩი

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

4 000 მაყურებელი

**ბეერსხოტი 6:0 ლიერსი**

1:0 სევერინსი (35), 2:0 პააგდოროენი (47), 3:0 სევერინსი (61), 4:0 პააგდოროენი (60), 5:0 სევერინსი (63პ), 6:0 პოუსმანსი (90)

ლიერსი: დემანი, სმეეტსი (მარდულიე 70), პოფკენსი, ვან მეირი, დაემსი, შიშილაძე, პოორტერსი, სომერსი, სნოექსი, პოუსგემსი (იანსენსი 77), ვერლინდენი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

გაძევება: შიშილაძე (16), დემანი (72)

10 000 მაყურებელი

**ვესტერლო 1:0 ჰარელბეკე**

1:0 დე კონინკი (73)

**ლუვიე 2:1 გენკი**

1:0 ტანსი (12პ), 1:1 სონკი (59), 2:1 ბიულინქსი (83)

**ლოკერენი 2:1 მუსკრონი**

1:0 ვონასეკი (4), 2:0 ვანიჩი (18პ), 2:1 დუგარდენი (83)

**სენტ ტრუიდენი 1:0 ბევერენი**

1:0 ვან ოკელენი (20)

**სტანდარდი 1:0 გენტი**

1:0 აარსტი (53)

**ბრიუგე 0:1 ანდერლეხტი**

0:1 კრასონი (8)

**მეხელენი 0:3 ანტვერპენი**

0:1 გოოტსი (16პ), 0:2 სუოლი (76), 0:3 ორმანი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 32 | 23 | 8 | 1 | 82:24 | 77 |
| ბრიუგე | 32 | 21 | 9 | 2 | 75:24 | 72 |
| სტანდარდი | 32 | 16 | 11 | 5 | 70:38 | 59 |
| ბეერსხოტი | 32 | 17 | 3 | 12 | 61:47 | 54 |
| გენტი | 32 | 15 | 8 | 9 | 54:46 | 53 |
| ლოკერენი | 32 | 14 | 9 | 9 | 49:41 | 51 |
| ვესტერლო | 32 | 14 | 8 | 10 | 57:51 | 50 |
| მუსკრონი | 32 | 14 | 7 | 11 | 59:47 | 49 |
| შარლერუა | 32 | 13 | 5 | 14 | 49:57 | 44 |
| ლიერსი | 32 | 12 | 6 | 14 | 43:48 | 42 |
| გენკი | 32 | 10 | 9 | 13 | 43:45 | 39 |
| ანტვერპენი | 32 | 11 | 5 | 16 | 37:44 | 38 |
| ბევერენი | 32 | 9 | 8 | 15 | 27:55 | 35 |
| სენტ ტრუიდენი | 32 | 8 | 7 | 17 | 36:52 | 31 |
| ლუვიე | 32 | 6 | 11 | 15 | 29:51 | 29 |
| აალსტი | 32 | 7 | 7 | 18 | 32:60 | 28 |
| ჰარელბეკე | 32 | 7 | 4 | 21 | 33:74 | 25 |
| მეხელენი | 32 | 4 | 9 | 19 | 38:70 | 21 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
# კროკო

**გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები**
**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | ვალდჰოფი-ულმი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 22.00 | 002 | ალენი-ობერჰაუზენი | 1,6 | 3,5 | 4,7 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 003 | ლივერპული-ჩელსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 004 | საუთენდი-მენსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**იტალია. სერია B. 34-ე ტური**
**10 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | ტორინო-კალიარი | 1,5 | 3,1 | 7,0 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 006 | იგლსი-ზვოლე | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**პოლონეთი. 25-ე ტური**
**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 007 | გროცლინი-ოდრა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 008 | რაძიონკოვი-პოლონია | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 20.00 | 009 | ვისლა-შლიონსკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 010 | ზაგლებე-სტომილი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 20.30 | 011 | პლოცკი-რუხი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 012 | ვიძევი-პოგონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 013 | ლეგია-კატოვიცე | 1,4 | 3,3 | 8,0 |

**ავსტრია. გადადებული მატჩი**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 014 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**დანია. 27-ე ტური**
**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 015 | ლიუნგბიუ-ჰერფიოლგე | 1,75 | 3,3 | 3,8 |

**შვედეთი. მე-5 ტური**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 016 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**10 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 017 | იურგორდენი-ტრელებორგი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**ავსტრია. თასის 1/2 ფინალი**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 018 | ადმირა-კარნტენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 019 | რაპიდი-ტიროლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**დანია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები**
**10 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.45 | 020 | ვიბორგი-აკადემისკი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 23.45 | 021 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**შვედეთი. თასის 1/2 ფინალი**
**10 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 022 | მალმიო-აიკ | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | ვალენსია-ლიდსი | 1,85 | 3,0 | 4,0 |

**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 502 | ბაიერნი-რეალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ლიბერტადორესის თასი**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 503 | ელ ნასიონალი-კრუზეირო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 06.30 | 504 | კობრელოა-როსარიო სენტრალი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 505 | სერო პორტენო-კრუზ ასული | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 05.40 | 506 | სან კაეტანო-პალმეირასი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 05.40 | 507 | დეპორტეს კონსეპსიონი-ვასკუ და გამა | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 06.00 | 508 | ამერიკა-ნასიონალი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 06.00 | 509 | ემელეკი-რივერ პლეიტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 06.00 | 510 | ხუნიორ ბარანკილია -ბოკა ხუნიორსი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 601 | ვალენსია-ლიდსი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| **9 მაისი** | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 602 | ბაიერნი-რეალი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

**ჩემპიონთა თასი. ფინალში გასვლა**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 701 | ვალენსია | -1,45 | ლიდსი | -2,0 |

**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 702 | ბაიერნი | -1,3 | რეალი | -2,5 |

**თასის აღება**
**8 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.45 | 751 | რეალი | 4,0 |
| 23.45 | 752 | ბაიერნი | 2,1 |
| 23.45 | 753 | ლიდსი | 4,0 |
| 23.45 | 754 | ვალენსია | 3,0 |

**კალათბურთი. 1/4 ფინალი**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 801 | მილუოკი-შარლოტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.30 | 802 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |

**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 803 | ფილადელფია-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 06.30 | 804 | დალასი-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |

**10 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 805 | შარლოტი-მილუოკი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

**კალათბურთი. ევროლიგა. ფინალი. V მატჩი**
**10 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 806 | კინდერი-ტაუ | 1,35 | 12,0 | 2,5 |

**ჰოკეი. 1/4 ფინალი**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,5 |

**9 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 902 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 07.00 | 903 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,45 | 4,0 | 3,4 |

**10 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 904 | ბუფალო-პიტსბურგი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანია)**
**8 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 905 | გერმანია-რუსეთი | 3,4 | 4,0 | 1,45 |
| 19.00 | 906 | სლოვაკეთი-აშშ | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 23.00 | 907 | ჩეხეთი-კანადა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.00 | 908 | ფინეთი-შვედეთი | 2,2 | 4,0 | 2,0 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## მძლეოსნობა

### რიო დეჟანეიროს გრან პრი

# იანკებს ნირი წაუხდათ



დენის მიტჩელი მობერებულა

**„რიო დე ჟანეიროს** გრან პრიმ" მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) წლევანდელ „გრან პრის" სერიას ჩაუყარა საფუძველი, ოღონდ ქომაგები პლაჟებისა და სამბას ქალაქში უხვ ვარსკვლავცვენას ელოდნენ და ცოტა იმედი გაუცრუვდათ. 1990 წლიდან მოყოლებული, როცა „რიოს გრან პრი" სერიაში ჩართეს, რიოში ელიტა ასეთი მცირე რაოდენობით არ წარდგენილა. ზედ ლონისძიების წინა დღეებში ტურნირში მონაწილეობა იუარეს კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ივან პედროსომ, ანიერ გარსიამ და საერთოდ, ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ბრაზილიაში კუბელების ჭაჭანება არ იქნებაო. რა გაეწყობოდა, ორგანიზატორები შერჩენილი ვარსკვლავების იმედად დარჩნენ, ეგებ ამათ უჩვენონ კლასი და მაყურებელი გვიმრავლონო, მაგრამ აქაც დანა გამოესვათ ყელში, ორი ოლიმპიური ჩემპიონიდან პირველი ადგილი ვერცერთმა აიღო.

ცალკე საკითხია, რამდენად ეწყინა ეს ამბავი ქებული „მარაკანას" ჩრდილში, „სელიო ბაროს სტადიუმზე" შეკრებილ მცირერიცხოვან მაყურებელს, რადგან ორივეგან ამერიკელ ოლიმპიურ ჩემპიონებს ბრაზილიელებმა აჯობეს: კლაუდიო რობერტო სოუზამ 100 მეტრზე სირბილში დენის მიტჩელი დაჩაგრა, ხოლო 200 მეტრის მოწინავე ანდრე დომინგუშ და სილვა გახდა, როცა ბრაიან ლუისმა მხოლოდ მეხუთემ გადაირბინა ფინიშზე. მეორე ამბავი უფრო გასაკვირია და ახსნა სჭირდება, ამიტომ ლუისი გვიხსნის: „სტარტის წინ ბლოკი გამიცურდა, რაც, მგონი, მარტო მე მემართება. ეს მესამე შემთხვევა იყო და ანდრე (დომინგუშ და სილვა) მერე ისე გაქანებული ვიხილე, იმის დამწევი არ ვიყავი". სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატსა და სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკელთაგან 4X100 ესტაფეტის მოგების მონაწილე ლუისმა მართლა ამაოდ სცადა და სილვას დასწეოდა, ვერც სხვებს მოუხერხა რამე და დარჩა ისე.

მიტჩელი კი მთლად ისე არ დარჩენილა, 100 მეტრი 10,44 წამში გაირბინა და მხოლოდ ფოტოფინიშით ჩამორჩა სოუზას, მაგრამ ვეტერანი ცუდ ხასიათზე დადგა, მეგონა, პირველი ვიყავიო. მიტჩელი ბარსელონას ოლიმპიადაზე იყო ესტაფეტის ჩემპიონი, მაგრამ იმის შემდეგ დრო გასულა და დაკუნთულ სპრინტერსაც სიბერე შეპპარვია, რადგან უსახელონი უგებენ. ასე არ იყო რიოშიც? 100 მეტრის წაგება წაგებად და მიტჩელმა ვერც 4X100 ესტაფეტაზე ივარგა, სადაც ოლიმპიურ ჩემპიონებს თითქოს სეირნობით უნდა მოეგოთ, მაგრამ ფინალურ ეტაპზე სირბილი მიტჩელს დაეკისრა და მან ამოცანა ვერ შეასრულა, ბრაზილიელმა გაუსწრო. ამერიკელებს მეორე ადგილი დარჩათ და თავმოყვარეობა შეელახათ, რადგან მასპინძლები აშკარად სჯობდნენ.

მძლეოსნობის მოდის კანონმდებელთა ღირსების აღდგენა მეორე რიგის ვარსკვლავებმა იკისრეს. 400 მეტრზე თარჯრბენში სტარტზე პირქუშად შედგნენ იანკები: უილიამ პორტერი და კელვინ დევისი. პორტერს მხარზე გრძლად სვირინგი ეხატა. ოსტატს ათლეტის კანზე მარჯვედ ამოეტვიფრა სიტყვა „დემონი" და პორტერმაც მართლაც დემონივით ირბინა და იხტუნავა. როცა ბოლო თარჯი უკან დარჩა, ცხადი გახდა, რომ პორტერს ვერავინ დაეწეოდა. აქ კი ველარ გამოჩნდნენ მასპინძლები: მეორე ადგილი დევისს დარჩა და მესამეზე იამაიკელი დინსდეილ მორგანი გავიდა.

მორგანი არ ყოფილა ერთადერთი იამაიკელი, რომელმაც რიოში რაღაცას მიაღწია. 200 მეტრზე ირბინეს სახელოვანი მერლინ ოტის კოლეგებმა და პირველის გარდა ორივე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ბევერლი მაკდონალდი მეორე იყო, მერლინ ფრეზერი — მესამე. არც ერთს აწყენდა პირველობაც, მაგრამ მათზე მონდომებულად ირბინა ცნობილმა ბაჰამელმა დები ფერგიუსონმა და ყარიბული დაპირისპირება 0,12 წამით მოიგო.

ლონიერმა ამერიკელმა ქალებმა ამერიკის პრესტიჟი არცთუ რიგიანად დაიცვეს. ორი იანკი მანდილოსანი იდგა ბირთვის კვრის პოდიუმზე, მაგრამ მათ მხოლოდ ქვედა საფეხურები დაამშვენეს, იქ კი, მაღლა, ბელარუსმა ნადეჟდა ოსტაპჩუკმა შედგა ფეხი. სრული უფლება ჰქონდა: მეტალის სფერო ტერი ტიუნკსზე ნახევარი მეტრით შორს გატყორცნა და კონი პრაის-სმიტს ხომ სულაც მეტრი მოუგო. სამაგიეროდ, არც ევროპელი, აზიელი თუ აფრიკელი გაჭაჭანებულა ვაჟთა ჭოკით ხტომის პირველ სამეულში, სულ ამერიკა და ამერიკა. გაიმარჯვა ტიმოთი მეკმა, მეორე ადგილზე ტაი ჰარვი გავიდა და მესამეზე — ერთი წლის წინ ძალიან მაგარი ჯეფ ჰარტვიგი, სიდნეის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად რომ ვერ მოხვდა იმის გამო, რომ ამერიკის ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი უაზროდ წააგო და მას შემდეგ წელში ვერა და ვერ გაიმართა.

**დავით გულუა**

#### ვაჟები

1500 მ: 1. ჯულიუს აჩონი (უგანდა) 3:37,60; 2. ბენსონ კოეჩი (კენია) 3:37,81; 3. ჰადსონ სანტოს დე სოუზა (ბრაზილია) 3:38,05

ჭოკით ხტომა: 1. ტიმოთი მეკი (აშშ) 5,85; 2. ტაი ჰარვი (აშშ) 5,70; 3. ჯეფ ჰარტვიგი (აშშ) 5,70

400 მ. თარჯრბენი: 1. უილიამ პორტერი (აშშ) 49,34; 2. კელვინ დევისი (აშშ) 49,61; 3. დინსდეილ მორგანი (იამაიკა) 50,50

ბადრო: 1. ჯეისონ ტიუნკსი (კანადა) 64,40; 2. ალექსანდერ ტამერტი (ესტონეთი) 62,90; 3. ადამ სეტლიფი (აშშ) 62,73

200 მ: 1. ანდრე დომინგუშ და სილვა (ბრაზილია) 20,42; 2. კრისტოფერ უილიამსი (იამაიკა) 20,43; 3. ებერ ვიერა (ურუგვაი) 20,67

100 მ: 1. კლაუდიო რობერტო სოუზა (ბრაზილია) 10,43; 2. დენის მიტჩელი (აშშ) 10,44; 3. ლეველინ ბრედფუდი (იამაიკა) 10,44

400 მ: 1. მაიკლ მაკდონალდი (იამაიკა) 44,71; 2. სანდერლეი პარელა (ბრაზილია) 45,17; 3. ლეონარდ ბირდი (აშშ) 45,18

800 მ: 1. გლობი დუბა (ბოტსვანა) 1:45,09; 2. ვილფრიდ ბუნგეი (კენია) 1:45,75; 3. უილიამ იამპოი (კენია) 1:45,89

4X100 მ. ესტაფეტა: 1. ბრაზილია 39,11; 2. აშშ 39,45; 3. იამაიკა 39,69

100 მ. თარჯრბენი: 1. მარკ კრირი (აშშ) 13,48; 2. დუეინ უოლესი (აშშ) 13,49; 3. მარსიო სიმაო დე სოუზა (ბრაზილია) 13,63

სიგრძეზე ხტომა: 1. კევინ დილვორთი (კანადა) 8,06; 2. იუნეს მურიკი (მაროკო) 7,84; 3. ჰუსენ ალ საბე (საუდის არაბეთი) 7,74

#### ქალები

სამხტომი: 1. კრისტინა ნიკოლაუ (რუმინეთი) 13,70; 2. ნატალია კაიუკოვა (რუსეთი) 13,65; 3. ტიომბე ჰარდი (აშშ) 13,64

400 მ. თარჯრბენი: 1. დები-ენ პარისი (იამაიკა) 55,19; 2. ნატალია ტორშინა (ყაზახეთი) 55,86; 3. კატრინ სკოტი (იამაიკა) 56,40

200 მ: 1. დები ფერგიუსონი (ბაჰამები) 22,88; 2. ბევერლი მაკდონალდი (იამაიკა) 23,00; 3. მერლინ ფრეზერი (იამაიკა) 23,38

ბირთვი: 1. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) 18,94; 2. ტერი ტიუნკსი (აშშ) 18,32; 3. კონი პრაის-სმიტი (აშშ) 17,91

100 მ: 1. ლუსიმარ დე მურა (ბრაზილია) 11,49; 2. კატია დე ჟეზუს სანტუში (ბრაზილია) 11,55; 3. ტატიანა ინასიო (ბრაზილია) 11,59

800 მ: 1. ფაბიანე დოს სანტოსი (ბრაზილია) 2:00,56; 2. იოლანდა ჩეპლაკი (სლოვენია) 2:00,85; 3. ლუსიანა დე პაულა მენდესი (ბრაზილია) 2:01,43

## ჩოგბურთი

#### ჰიუსტონი. აშშ-ის თიხნარის პირველობა ვაჟებში. საპრიზო 350 $

წყვილების ნახევარფინალი: **ქევინ კიმი და ჯონ ტომასი** (აშშ) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) და გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:3, 6:7 (4:7), 6:3

მეოთხედფინალი: **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (8, კორეა) — ენდრიუ ილი (2, ავსტრალია) 6:4, 2:6, 6:2; **ჟერომ გოლმარი** (3, საფრანგეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:2; **მიხალ ტაბარა** (4, ჩეხეთი) — ოლივიე როშუ (6, ბელგია) 6:4, 6:2; **ენდი როდიკი** (აშშ) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 6:1

ნახევარფინალი: **როდიკი** — გოლმარი 7:6 (7:3), 6:4; **ლი** — ტაბარა 4:6, 6:2, 6:1

ფინალი: **როდიკი** — ლი 7:5, 6:3

#### მიუნხენი (გერმანია). BMW-ს ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

მეოთხედფინალი: **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — ფრანკო სკილარი (3, არგენტინა) 6:4, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:1; **იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:2, 6:4; **ანტონი დიუპუი** (საფრანგეთი) — ფლავიო ზარეტა (ბრაზილია) 3:6, 7:6 (8:6), 6:2

ნახევარფინალი: **ნოვაკი** — ულირახი 6:4, 6:4; **დიუპუი** — ელ აინაუი 5:7, 6:1, 6:2

ფინალი: **ნოვაკი** — დიუპუი 6:4, 7:5

#### მალიორკას (ესპანეთი) ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 500 ათასი $

მეოთხედფინალი: **კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — ნიკოლას კიფერი (6, გერმანია) 6:4, 6:2; **გილერმო კორია** (4, არგენტინა) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 3:6, 7:6 (7:2), 6:1; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:2, 6:4; **ხუან ბალსელსი** (ესპანეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:4

ნახევარფინალი: **მარტინი** — მოია 6:3, 6:3; **კორეა** — ბალსელსი 4:6, 6:3, 7:5

ფინალი: **მარტინი** — კორეა 6:3, 3:6, 6:2

#### ჰამბურგი (გერმანია). „ბეტი ბარკლის თასი" თიხნარი. საპრიზო 565 ათასი $

მეოთხედფინალი: **ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — სილვია ფარინა (იტალია) 6:1, 6:1; **ელენა დოკიჩი** (იუგოსლავია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:2; **ამანდა კუტცერი** (2, სამხრეთ აფრიკა) — ჟიუსტინ ენენი (6, ბელგია) 7:5, 4:6, 6:2; **მეგან შონესი** (7, აშშ) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:4, 6:4

ნახევარფინალი: **უილიამსი** — დოკიჩი 6:3, 6:1; **შონესი** — კუტცერი 6:3, 6:4

ფინალი: **უილიამსი** — შონესი 6:3, 6:0

#### ბოლის (ხორვატია) ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $

ნახევარფინალი: **მარიანა დიას-ოლივა** (არგენტინა) — კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) 0:6, 6:2, 6:3; **ანხელეს მონტოლიო** (3, ესპანეთი) — სანდრინ ტესტიუ (2, საფრანგეთი) 6:1, 7:5

ფინალი: **მონტოლიო** — დიას-ოლივა 3:6, 6:2, 6:4

## ჰოკეი

### NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ნაპინგვინარით

#### აღმოსავლეთი

5 მაისი

| | |
|---|---|
| **ნიუ ჯერსი** | **2** |
| **ტორონტო** | **3** |

**ნიუ ჯერსი 2:3 ტორონტო (0:1 2:1 0:1)**
0:1 მაკეიბი 10 (2), 0:2 კროსი 25 (2), 1:2 სიკორა 33 (3), 2:2 არნოტი 37 (2), 2:3 კაბერლე 60 (1)

მატჩის პირველი 30 წუთი წინა შეხვედრის მსგავსად წარიმართა. ნიუ ჯერსი ისევ ამაოდ ცდილობდა პრესინგის დაძლევას, სტუმრები კი კონტრშეტევებში ხეირობდნენ. სკოტ სტივენსი და მისი პარტნიორებიც, რომლებიც ტაი დომის საქციელისთვის ტორონტოელთათვის სამაგიეროს გადახდას ლამობდნენ, უფრო აზარალებდნენ თავიანთ გუნდს, რადგან უმცირესობაში ტოვებდნენ. მასპინძლები მხოლოდ მაშინ ათამაშდნენ, როცა მსაჯებმა ჯეისონ არნოტის გოლი რატომღაც არ ჩათვალეს და გაცხარებულებმა ორშაიბიანი სხვაობა გაქვითეს. მათ კიდევ შეეძლოთ გოლების გატანა, მაგრამ მატჩის ბოლო წამებზე სტუმართა იშვიათმა კონტრშეტევამ ფავორიტი გავარდნის საფრთხის წინაშე დააყენა.

| | |
|---|---|
| **ბუფალო** | **3** |
| **პიტსბურგი** | **2** |

**ბუფალო 3:2 პიტსბურგი (0:1 1:1 1:0 1:0)**
0:1 იაგრი 15 (2), 0:2 მოროზოვი 23 (1), 1:2 გრეტონი 30 (6), 2:2 კ. ბრაუნი 52 (5), 3:2 ბარნსი 69 (4)

როგორც იქნა, ამ სერიაში მასპინძელმაც მოიგო. მას შემდეგ, რაც მარიო ლემიემ საჯაროდ გააკრიტიკა იარომირ იაგრი ნაკლები შედეგიანობის, ხოლო მწვრთნელი ივან ჰლინკა ზედმეტად ფხიზელი ტაქტიკის გამო, პიტსბურგი ერთობ გააქტიურდა და მატჩის პირველ ნახევარში სჯობდა კიდეც მეტოქეს. გაიტანა იაგრმაც, მაგრამ მეორე პერიოდის შუაწელში ზედიზედ სამი გაძევება ძვირად დაუჯდა გუნდს. ბუფალომ პიტსბურგს ერთი გოლით უპასუხა და ინიციატივაც ხელთ იგდო, ხოლო როდესაც კერტის ბრაუნმა უმცირესობაში მეოთხე მატჩის ანტიგმირს, მარტინ სტრაკას შაიბა წაართვა და მეკარესთან პირისპირ გასვლით ისარგებლა, თამაში ოვერტაიმში გადავიდა. იქ კი მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ და ყოფილი „პინგვინის", სტიუ ბარნსის დარტყმის შემდეგ მოგებაც მოიპოვეს.

#### დასავლეთი

| | |
|---|---|
| **ლოს ანჯელესი** | **3** |
| **კოლორადო** | **3** |

4 მაისი

**კოლორადო 0:1 ლოს ანჯელესი (0:0 0:0 0:1)**
0:1 რობიტაილი 51 (4)

6 მაისი

**ლოს ანჯელესი 1:0 კოლორადო (0:0 0:0 0:0 0:0 1:0)**
1:0 მიურეი 83 (4)

როგორც ჩანს, ამ სერიაში „მეფეები" ნაადრევად ჩამოწერეს. ფელიქს პოტვინმა (7 შათაუტი კარიერაში) და მისმა პარტნიორებმა ზედიზედ ორჯერ გააუვნებლეს ლიგაში საუკეთესო შეტევა და სერიის ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. კოლორადოს მეექვსე მატჩში ჯო საკიკის დაბრუნებამაც კი ვერ უშველა. ამ შეხვედრის მეორე ოვერტაიმში გლენ მიურეის ყუმბარისებური დარტყმა საბედისწერო გამოდგა „ეველანშისთვის". საერთოდ, ეს ჰოკეისტი ნამდვილ კოშმარად იქცა კოლორადოსთვის — ეს ხომ მისი მეოთხე გოლია ამ სერიაში.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS

ლოს ანჯელესი — კოლორადო. ადამი ადამს გადაენაცვლა: კოლორადოელი ფუტი (მარცხნივ) და ლოსანჯელესელი დედმარში

### მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანია)

#### E ჯგუფი

4 მაისი

**გერმანია 1:3 იტალია (0:1 0:1 1:1)**

**კანადა 6:2 შვეიცარია (2:1 2:0 2:1)**

5 მაისი

**რუსეთი 3:4 ჩეხეთი (0:0 2:2 1:2)**

**კანადა 3:3 გერმანია (0:1 0:1 3:1)**

6 მაისი

**შვეიცარია 1:2 რუსეთი (1:0 0:2 0:0)**

**იტალია 0:11 ჩეხეთი (0:3 0:7 0:1)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი* | 3 | 1 | 0 | 20:6 | 7 |
| კანადა* | 2 | 0 | 2 | 13:10 | 4 |
| რუსეთი* | 2 | 0 | 2 | 13:10 | 4 |
| გერმანია | 1 | 2 | 1 | 9:9 | 4 |
| იტალია | 1 | 0 | 3 | 4:22 | 2 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 4 | 5:14 | 0 |

#### F ჯგუფი

4 მაისი

**შვედეთი 11:0 ავსტრია (2:0 3:0 6:0)**

**უკრაინა 1:3 სლოვაკეთი (0:2 0:1 1:0)**

5 მაისი

**ფინეთი 1:4 აშშ (03 0:0 1:1)**

**შვედეთი 3:1 სლოვაკეთი (1:0 1:1 1:0)**

6 მაისი

**აშშ 0:3 ავსტრია (0:0 0:0 0:3)**

**ფინეთი 7:1 უკრაინა (3:0 3:0 1:1)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი* | 3 | 1 | 0 | 21:3 | 7 |
| ფინეთი* | 3 | 0 | 1 | 18:8 | 6 |
| აშშ* | 2 | 1 | 1 | 12:9 | 5 |
| სლოვაკეთი* | 2 | 0 | 2 | 11:9 | 4 |
| ავსტრია | 1 | 0 | 3 | 4:21 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 4 | 5:21 | 0 |

* გავიდა პლეი ოფში

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი (ორ მოგებამდე)

# 18:0 რომელმაც, ალბათ, ჩემპიონი გაარკვია


ბასკოელ ვახტანგ ნაცვლიშვილს ზურაბ ჩუბინიძე უფარებს

| | |
|---|---|
| ბასკო | 1 |
| სტუ-ჯეოსელი | 0 |

7 მაისი. ვერის ბაღი

**სტუ-ჯეოსელი 74:104 ბასკო**

25:23, 20:26, 12:36, 17:19

სტუ: ხოშტარია (9), ბ. ბერიშვილი (7), ლოსაბერიძე (12), ოთიურიძე (12), მდივანი (4); კორძაძე (7), კეიდია (9), სულაძე (2), მინაშვილი (2), დავითულიანი (6), მიქაძე, ჩუბინიძე (4)

ბასკო: როჯერსი (18), ორმოცაძე (1), ბეჟანიშვილი (15), ვ. ნაცვლიშვილი (26), კილაძე (18); მ. მარკოიშვილი (7), ნიკოლაძე (1), უსტიაშვილი, გ. ნაცვლიშვილი (6), კუშელავა (7), საყვარელიძე (2), დროზდანოვი (3)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

გიორგი ბიკაშვილი

ფინალური სერიის პირველ თბილისურ მატჩში ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ“ ულაპარაკოდ მოუგო „აზოტის“ დამარცხებით შეგულიანებულ „სტუ-ჯეოსელს“. ფინალში გასვლით მაღაალძრული სტუდენტური კლუბი ზღვისპირულს კარგა ხანს ტოლ-სწორად კი ეჯაჯგურა, მაგრამ მეტოქის დასამარცხებლად არც ჯანი ეყო და არც ოსტატობა. „ბასკომ“ კი კიდევ ერთხელ და ჯეროვნად დაამტკიცა, რომ ქვეყნის მასშტაბით ნამდვილი კონკურენტი არა ჰყავს და ზედიზედ მეორე ტიტულისკენაც საფუძვლიანად მიიწევს.

ყოველივეს, ცხადია, ამ გუნდების ბათუმური შეხვედრა გადაწყვეტს, მაგრამ სტუდენტთაგან მიყოლებით მეორე სენსაციას ნაკლებად უნდა ველოდოთ. ისედაც ფავორიტად მიჩნეული „ბასკოს“ ძლევის შანსი გუშინდელს აქეთ თბილისელებს მიზერულად ექცათ.

სტუ-მ წლეულს თავისი საქმე უკვე გააკეთა. ფინალის გზაზე ტრადიციულ ფინალისტს, „აზოტს“ გადაელობა, რაც თავისთავად დიდი მიღწევაა კლუბისთვის. აქედან გამომდინარე, სავარაუდო იყო, რომ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი საფინალოდ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლისგან განთავისუფლდებოდა, რადგან მძლავრ „ბასკოსთან“ წაგებისთვის არავინ გაასამართლებდა. ასე რომ, სტუ-ს ლაღად, დაუძაბავად თამაშის უფლება ჰქონდა და ვინძლო გამარჯვებისთვისაც გამოეკრა ხელი. ერთი რამ ცხადი გახლდათ: თუ სტუ-ს ჩემპიონობის პრეტენზია მართლაც გააჩნდა, თბილისში აუცილებლად უნდა მოეგო „ბასკოსთვის“.

თავის მხრივ „ბასკო“ ფინალში „აზოტთან“ სათამაშოდ ემზადებოდა და რაკი მეტოქედ უფრო სასურველი გუნდი, სტუ ერგო, ბათუმელთა მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძისთვის უმთავრესი შეგირდების სათანადოდ განწყობა გახლდათ. ტომარაძეს დარიგებების უფლება არ უნდა მიეცა კალათბურთელთათვის, რადგან „აზოტის“ მაგალითიც იქვე ჰქონდა. ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწვრთნელმა იცოდა, ნაადრევად მოდუნებას თუ რა ზიანის მიყენება შეეძლო გუნდისთვის.

ვერ გეტყვით, „ბასკომ“ ჩემპიონურად ითამაშო. ითამაშა ისე, როგორც აწყობდა და რაც მეტად მომგებიანი იქნებოდა მისთვის. ზღვისპირელთათვის მთავარი შედეგი იყო და სხვა არაფერი.

მატჩის ბედი ჩემპიონმა არც მეტი, არც ნაკლები ოთხ წუთში გადაწყვიტა, რამიც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ამ გუნდის უპირატესობა მეტოქეზე. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ ბათუმელები ბევრად უფრო მობილიზებულები გამოვიდნენ მოედანზე და სწორედ ოთხწუთიან მონაკვეთში მოუთავეს ხელი მოწინააღმდეგეს. ეს ეპიზოდი 18:0 მოიგეს და სხვაობა 19-ქულიანი გახადეს, რაც შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა — რისხვადატეხილმა სტუდენტებმა ბრძოლა შეწყვიტეს.

არადა, პირველი ტაიმის შემხედვარე, მოვლენათა მსგავს განვითარებას არავინ ელოდა. ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა მეტოქეს ხისტი დაცვა შეაგება და ოთიურიძის სიზუსტის წყალობით ანგარიშიც თავად გახსნა. ბასკოელმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა მეტოქეს მალევე გაუთანაბრა, თუმც ბუბა ბერიშვილის სამქულიანით სტუ-მ ლიდერობა დაიბრუნა. საერთოდ, დებიუტში ბერიშვილი აშკარად გამოირჩეოდა თანაგუნდელთაგან. მოგვიანებით, ხუთი ქულით ჩამორჩენილმა სტუ-მ, სწორედ მისი ძალისხმევით გაუთანაბრა „ბასკოს“ ანგარიში.

ზოგადად, ქაოსურად მიმდინარეობდა თამაში. „ბასკო“ ძირითადად სწრაფი პირველი შეტევით გადიოდა ფონს, პოზიციური თამაშით კი ვერ ხეირობდა. თავის მხრივ სტუ-საც არ უჭირდა მეტოქის დაცვაში ნაპრალების გამონახვა და ზღვისპირულ კლუბს ფეხდაფეხ მისდევდა.


ბასკოელ ჯეფ როჯერსი ირაკლი ხოშტარიას წინაღმდეგ

„ბასკო“ შიგადაშიგ ზონურ დაცვასაც მიმართავდა, მაგრამ ეს სტუ-ს არ აბნევდა. ტექნიკოსები გონივრული ქმედებით ანაწევრებდნენ ბათუმელთა დაცვას, თუმც დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ.

მოკლედ, პირველი ათწუთეული ქულა-ქულაში გაილია და სულ ბოლოს „ბასკოს“ შეტევაში უნებლიე შეცდომები რომ არ დაეშვა, მეოთხედს თავის სასარგებლოდ დაასრულებდა. სტუდენტ ლაშა ლოსაბერიძის ზედიზედ ორმა გარღვევამ კი სტუ-სკენ გადმოხარა სასწორი.

შეგირდების თამაშით უკმაყოფილო ზურაბ ტომარაძემ გამთამაშებელი ჯეფ როჯერსი სათადარიგოებში გაიხმო და მისი მოვალეობის შესრულება ახლა გიორგი ნიკოლაძეს დააკისრა. თანაგუნდელთა აყოლიება ვახტანგ ნაცვლიშვილმა ითავა და სამქულიანებით სცადა მიზნის მიღწევა, მაგრამ ხელი მოეცარა. მოგვიანებით ვატო ჩვეულ ამპლუას, ფარქვეშ თამაშს დაუბრუნდა და მისი პასით დროჟანოვმა ანგარიშის გათანაბრებაც შეძლო — 32:32.

ამას მოჰყვა ირაკლი ხოშტარიას ზუსტი სამქულიანი, მერე სტუ ოთხი ქულითაც გაექცა „ბასკოს“, მაგრამ დაცვაში შეცდომებს უხშირა, რაც ხშირი დაჯარიმების ფასად უჯდებოდა — ძმებმა ნაცვლიშვილებმა და ვაკო ბეჟანიშვილმა 5 ქულა საჯარიმოებით მოიპოვეს და „ბასკო“ კვლავ დაწინაურდა — 37:35.

სტუ ინიციატივის დათმობას ცოცხალი თავით არ აპირებდა, მაგრამ ამ გუნდის თამაშში ნამდვილად არ ჩანდა ის რეზერვი, რითაც „ბასკოს“ დამარცხებას შეძლებდა. მის შემდეგ, რაც მოედანზე როჯერსი დაბრუნდა, თბილისელთა საქმე უკან-უკან წავიდა. „ბასკო“ ფარზე გაბატონდა, დაცვა გამოასწორა და სწრაფ პირველ შეტევას მიეძალა, რასაც სტუ-მ ვერაფერი დაუპირისპირა და ტაიმი 4 ქულით დათმო.

მესამე მეოთხედი სტუ-მ რიხით დაიწყო და ლოსაბერიძის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ მინიმალურადღა ჩამორჩებოდა მეტოქეს. ერთი შეხედვით, იმავე სცენარით უნდა გაგრძელებულიყო თამაში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს „ბასკომაც“ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და საოცარი შედეგი მიიღო. აქედან მიყოლებული მოედანზე ერთი გუნდი, „ბასკო“ ბატონობდა, რომლის თითოეულ კალათბურთელს ყველაფერი გამოსდიოდა — როჯერსი, კილაძე, ბეჟანიშვილი და ვახტანგ ნაცვლიშვილი დაუნდობლად აწიოკებდნენ მეტოქეს, რომელმაც ეპიზოდის 0:18 წაგების შემდეგ საკუთარი თავის რწმენა დაკარგა, შეხვედრამ კი — აზრი.

## მატჩის შემდეგ

**ნუგზარ ჭეიშვილი, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი:**

— თამაში კარგად დავიწყეთ, თითქმის ყველაფერი გამოგვდიოდა. სისწრაფის ხარჯზე ერთხანს უპირატესობასაც კი მივაღწიეთ, მაგრამ მეორე ნახევარში „ბასკო“ ჩინებულად ათამაშდა და ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა.

**— რა იყო მეორე ტაიმის ჩაგდების მიზეზი?**

— შესვენების შემდეგ „ბასკო“ უფრო მობილიზებული გამოვიდა სათამაშოდ. მათ სწრაფ პირველ შეტევებს ჩვენ ვერაფერი დავუპირისპირეთ. იღბალმაც ზურგი გვაქცია და შედეგად დიდი სხვაობით ჩამოვრჩით. მოპოვებული უპირატესობა კი მეტოქემ ხელიდან აღარ გაუშვა.

**— სამ დღეში ბათუმში თამაშობთ...**

— ურთულესი მატჩი გველის. მოწინააღმდეგე ყველანაირად ეცდება, საქმე მესამე თამაშამდე არ მიიყვანოს. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ არა მგონია, „ბასკოს“ ჩემპიონობა გადაწყვეტილი იყოს. დავსხდებით და ჩვენს შეცდომებს საფუძვლიანად გავაანალიზებთ. წაგების მიუხედავად, ბათუმურ შეხვედრას ოპტიმისტურად ვუყურებ.

**ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი:**

— ერთი შეხედვით იოლად გავიმარჯვეთ, მაგრამ მიუხედავად საბოლოო ანგარიშისა, თავიდან ცოტა გაგვიჭირდა. სტუ სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდა და წინ გასვლის საშუალებას არ გვაძლევდა. ბიჭები ოდნავ ნერვიულობდნენ, რის გამოც ხშირად ცდებოდნენ, მაგრამ შემდეგ დამშვიდდნენ და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. მესამე მეოთხედი უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ, ჩვენს გუნდს ყველაფერი გამოსდიოდა და თამაშის ბედიც გადაწყვიტა.

**— ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა დაგრჩათ...**

— მიუხედავად სტუმრად გამარჯვებისა, თავს მოდუნების უფლებას არ მივცემთ. პირიქით, შევეცდებით, უკეთესად ვითამაშოთ. სტუ-მ თავის ძალა ნახევარფინალში დაამტკიცა. ყველანაირად შევეცდებით, მესამე თამაში აღარ დაგვჭირდეს.

ირაკლი ბერტაია

NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# დინოზავრის ნაკვალევი



REUTERS ფილადელფიიდან

ფილადელფია — ტორონტო. ელვინ ვილიამსმა ფილადელფიელთა ლიდერი ალენ აივერსონი დააზოჯა

## აღმოსავლეთი

6 მაისი

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 0 |
| ტორონტო | 1 |

**ფილადელფია 93:96 ტორონტო**

**ფილადელფია: აივერსონი (36 ქულა, 8 მოხსნა, 7 ჩაჭრა), მუტომბო (17 ქულა, 12 მოხსნა), მაკი (14)**

**ტორონტო: კარტერი (35), კარი (20), ე. ვილიამსი (15), ოკლი (13)**

პლეი ოფს შემორჩენილ აღმოსავლელთაგან „ტორონტო რეპტორზი" ერთადერთია, რომელსაც „ფილადელფიასთან" რეგულარულ სეზონში დადებითი ბალანსი აქვს, მასთან ოთხი თამაშიდან სამი მოიგო და ეს რომ შემთხვევითი არ არის, 6 მაისს დამტკიცდა.

„ნიუ იორკის" დამარცხების შემდეგ, რაც ისედაც მიღწევაა ტორონტოელთათვის, მათმა ლიდერმა ვინს კარტერმა თქვა, ამაზე არ გავჩერდებითო და მათ, ვინც ეს მოგებით გადიდგულებულის ტრაბახად ჩათვალეს, მალევე იკბინეს ენაზე. 6 მაისს „რეპტორზმა" ფილადელფიაში იქაური „სიქსერზი", აღმოსავლეთში უძლიერესი გუნდი დაამარცხა და სერია გამარჯვებით გახსნა, თავად კარტერმა კი ამ მოგებაში 35 ქულით დაიდო წილი.

ეს მატჩი გახლდათ ახალთაობის ორი სუპერვარსკვლავის — კარტერისა და აივერსონის დუელი. ორივე დიდებულ ტექნიკას ფლობს და ორივე მოწადინებულია, რაც შეიძლება მეტი ქულა მოიხვეჭოს. თავი არც ერთს შეურცხვენია, ოღონდ თუ კარტერი სტაბილურად ირჯებოდა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით აივერსონზე. ლიგის პირველმა მექულემ თავის პირველი ოთხი სროლიდან სამი ჩააგდო, მომდევნო ცამეტიდან კი თერთმეტი ააცილა. ამის გამო „ფილადელფია" მალევე ჩამორჩა მეტოქეს და მესამე მეოთხედში ერთხანს 17 ქულითაც აგებდა, ბოლო მეოთხედში კი 12-ქულიანი დეფიციტით შეაბიჯა. აქ ტორონტოელთ ზუსტად იგივე დაემართათ, რაც „ნიუ იორკთან" ბოლო შეხვედრაში, ოდნავ მოდუნდნენ და ფაქტობრივად მოგებული თამაში ლამის წააგეს. „ფილადელფიამ" მძლავრად გაიბრძოლა და შეხვედრის ბოლო წუთზე ორი ქულითღა ჩამორჩებოდა მეტოქეს. აქ ივარგა კარტერმა, სირენამდე 12,8 წამით ადრე თავისივე აცილებულს დაამატა და „ტორონტო" 94:90 დააწინაურა. მას აივერსონმა ზუსტად ხუთი წამის შემდეგ სამქულიანით უპასუხა და სხვაობა ქულამდე დაიყვანა. იქვე აივერსონი დროის მოგების მიზნით კარტერზე დაჯარიმდა დაამანაც ორივე საჯარიმოთი 96:93 გახადა. „ფილადელფიას" მატჩის სახსნელად კიდევ ექვსი წამი რჩებოდა და ვინაიდან აივერსონი საიმედოდ დაეკეტათ სტუმრებს, ბოლო სროლა აარონ მაკიმ შეასრულა. როგორც ხედავთ, უხეიროდ.

| | |
|---|---|
| მილუოკი | 1 |
| შარლოტი | 0 |

**მილუოკი 104:92 შარლოტი**

**მილუოკი: ალენი (26), კასელი (20), რობინსონი (15 ქულა, 11 პასი), ჰანტერი (14)**

**შარლოტი: მაშბურნი (23), დევისი (18), კემბელი (17 ქულა, 13 მოხსნა), ვესლი (14)**

„მაიამი ჰითის" სასტიკად მგვემელმა „შარლოტ ჰორნეთსმა" მილუოკიში იქაურ „ბაქსს" ვერაფერი მოუხერხა და წლეულს პლეი ოფში თავდახრილმა პირველად დატოვა მოედანი. 1989 წლის შემდეგ მეორე წრეში პირველად გასული „მილუოკი" ერთობ მონდომებული გახლდათ, თან გარდა ერთი ეტაპის დაძლევით გამოწვეული სიხარულისა, მასპინძელბს ისიც ახალისებდათ, რომ მათი თამაშის ტელერეპორტაჟს მძლავრი ტელეარხი NBC გადასცემდა, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად მოხდა. ამიტომ პირველ ნახევარში მასპინძლებმა პირდაპირ წალეკეს სტუმრები.

„მილუოკიმ" მეტოქეს თავიდანვე სასურველი თამაში მოახვია თავს და თანდათან მოსწყდა „ჰორნეთსს". სტუმრებს უჭირდათ მასპინძელთა სწრაფი ტემპის აყოლა და „ბაქსის" საფირმო, პირველი სწრაფი შეტევების „წყალობით" ბევრი ქულა მიიღეს საკუთარ კალათში. ტაიმთა გასაყარზე მილუოკი 55:40 იგებდა. თამაშის განახლებიდან ორიოდ წუთის შემდეგ კი მასპინძლები 22 ქულითაც დაწინაურდნენ. „შარლოტისთვის" მდგომარეობა უიმედო ჩანდა, თუმც „ჰორნეთსს" მათმავე მეტოქემ უშველა. ფაქტობრივად თამაშის ადრევე მოგებამ გაყოყოჩებულმა მასპინძლებმა ლაზღანდარობას მიჰყვეს ხელი და ამისათვის ლამის დაისაჯნენ. სტუმართაგან პირველად გამთამაშებელი ბაირონ დევისი გამოერკვა, გუნდის პირველი მექულე ჯამალ მაშბურნიც აიყოლია, მათი მეცადინეობით მეოთხედის დარჩენილი დრო „შარლოტმა" 27:10 მოიგო და ბოლო მეოთხედის წინ სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა.

თავისდა საბედნიეროდ, მილუოკელები დროულად მოვიდნენ გონს, ბოლო მეოთხედში საფუძვლიანად მოჰკიდეს საქმეს ხელი და კვლავ მოსწყდნენ მეტოქეს. პლეი ოფში „ბაქსის" პირველმა მექულემ რეი ალენმა ამ მეოთხედში ცხრა ქულა მიითვალა და არც ერთი მნიშვნელოვანი ბურთი არ აუცილებია. მისმა თანამებრძოლმა გლენ რობინსონმა კი ჯამალ მაშბურნს ქულა არ ჩააგდებინა.

## დასავლეთი

5 მაისი

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 1 |
| დალასი | 0 |

**სან ანტონიო 94:78 დალასი**

**სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 13 მოხსნა), დანიელსი (13), რობინსონი (11 ქულა, 11 მოხსნა)**

**დალასი: ფინლი (17), ესლი (16), ბრედლი (8 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება)**

თანაშტატელ „დალასთან" სერია „სან ანტონიო სპურზმა" გამარჯვებით კი გახსნა, მაგრამ როდესაც საფინალო სირენა გაისმა, არავის უხეიმია მოგება, არც ჩვეულებრივი მილოცვები ჩანდა. მასპინძელთა ძლევამოსილი გამარჯვება მათი მსროლელის, დერიკ ანდერსონის ტრავმამ დაჩრდილა. ანდერსონი „სპურზის" ერთადერთი უკანახაზელია, რომელსაც ქულათა დიდი ოდენობით დაგროვება შეუძლია, ამასთანავე დაცვაშიც ძლიერია და „სან ანტონიოსთვის" დიდი სარგებელი მოაქვს. ხუთ მაისს კი ცხადი შეიქნა, რომ იგი სამიდან ექვს კვირამდე ვერ შეძლებს თამაშს, ფინალი კი იქნებ ორ კვირაშიც დაიწყოს, თუ, რა თქმა უნდა, უმისოდ „სან ანტონიომ" იქამდე მიაღწია.

ანდერსონმა ტრავმა პირველი ნახევრის დამთავრებამდე ორნახევარი წამით ადრე მიიღო, როცა ბურთის ჩასატენად ახტა, დალასელმა ჯუონ ჰოვარდმა კი ისე უხეშად დაუფარა, რომ იგი იატაკზე დაეცა და მხარი ამოიგდო. ჰოვარდს მეორე კატეგორიის განზრახ ჯარიმა მისცეს, რაც დაუყოვნებლივ გაძევებას ითვალისწინებს და თამაშიდან მიაბრძანეს, ანდერსონი კი მოედნიდან გაიტანეს. „მხოლოდ ბურთზე დაფარებას ვცდილობდი. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. მე არა ვარ ბინძური მოთამაშე და ეს ძალით არ გამიკეთებია, მხოლოდ ბურთზე ვთამაშობდი" — ამბობდა ჰოვარდი ნამატჩევს. „ეს წმინდა სათამაშო ეპიზოდი იყო და ასეთი რამ შესაძლოა ნებისმიერს დაემართოს. ვფიქრობ, ჯუონმა ეს განზრახ არ გააკეთა" — არ გაამტყუნა ჰოვარდი „სან ანტონიოს" მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა. ამასთან დალასელი გასახდელში ჩავიდა და ანდერსონს ბოდიში მოუხადა, თუმც ეს სულაც არაა ამოგდებული მხრის უებარი წამალი.

ამ ეპიზოდამდე „სან ანტონიო" 19 ქულით იგებდა და მეორე ტაიმში ერთხანს ლამის გააორმაგა სხვაობა, ამდენად მასპინძლებს უანდერსონოდ არ გასჭირვებიათ მოგება. მათ მომავალი უფრო ანაღვლებთ. სერიის მომავალ თამაშებში ალბათ გაილაღებს დალასელი მსროლელი მაიკლ ფინლი და მისმა გუნდმა იქნებ ორი-სამი თამაშიც მოუგოს მრისხანე მეტოქეს. ამასთან, თუ „სპურზი" მომდევნო ეტაპზე „ლეიკერსს" გადაეყარა, არავინ ეყოლება ისეთი, ვინც კობი ბრაიანტს ტოლ-სწორად შეეტოქება.

6 მაისი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1 |
| საკრამენტო | 0 |

**ლეიკერსი 108:105 საკრამენტო**

**ლეიკერსი: ონილი (44 ქულა, 21 მოხსნა, 7 დაფარება), ბრაიანტი (29)**

**საკრამენტო: ვებერი (34), სტოიაკოვიჩი (20), ვილიამსი (14), თურქოღლუ (12)**

შტატებში ბევრს საუბრობენ ჩემპიონ „ლეიკერსის" პრობლემაზე — თითქოს შაკილ ონილს და კობი ბრაიანტს გუნდის ლიდერობა ვერ გაუყვიათ და ამისთვის ამ ორიოდ თვის წინ სერიოზულად იჩხუბეს კიდეც. ამ ორ ვარსკვლავს შორის იქნებ არსებობდეს კიდეც უთანხმოება, მაგრამ „ლეიკერსისთვის" ეს სულაც არ გახლავთ პრობლემა. ყოველ შემთხვევაში, ეს გუნდს ხელს არ უშლის თამაშების მოგებაში. ჩემპიონმა დაუმარცხებელი სვლა გააგრძელა და პლეი ოფში ზედიზედ მეოთხე, რეგულარული სეზონის ჩათვლით კი მეთორმეტე გამარჯვება იზეიმა, რაშიც ძირითადად შაკილ ონილს, მერე კი ბრაიანტს უნდა უმადლოდეს. შაკს არათუ წლევანდელ პლეი ოფში, მთელ სეზონში არ ჩაუტარებია თამაში ასე ბრწყინვალედ, ხოლო როგორ ითამაშა მან, ამაზე მისი მაჩვენებლებიც მეტყველებს: 44 ქულა, 21 მოხსნა და შვიდი დაფარება.

ისევე როგორც „პორტლენდთან" ყველა თამაშის შემდეგ, ამ მატჩის დამთავრებისთანავე გაისმა შაკის მეტოქეთა ჩივილი. განსაკუთრებით „საკრამენტოს" ცენტრი, ვლადე დივაცი აქტიურობდა, რომელიც ონილის მისვლამდე „ლეიკერსის" ძირითადი ცენტრი გახლდათ. ასე რომ, ამ ორის დუელს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. როდესაც შაკი ტრიალში კაუჭს ესვრის, მეორე ხელის იდაყვით ან მეტოქეს ურტყამს, ან ეყრდნობა და მისი ყოველი სროლა ჯარიმააო, ჩიოდა იუგოსლაველი. ნბა მომავალი სეზონიდან ზოგიერთ წესს ცვლის და დაცვაში ზონის დაშვებას აპირებს, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეგ ამ პლეი ოფისთვის გაეკეთებინაო — იქვე დასძინა დივაცმა. მისი უიმედო წუწუნი ადვილი გასაგებია. შაკმა მას 26 წუთში ექვსი პერსონალური აჰკიდა და თან შვიდ ქულაზე მეტი არ გააკეთებინა. უდივაცოდ დარჩენილ „საკრამენტოს" კი გოლიათმა ლოსანჯელესელმა ბოლო მეოთხედში 13 ქულა ჩაუგდო, ცხრა ბურთიც მოუხსნა და საბოლოოდ სტუმრებს წყალში გადაუყარა გარჯა.

**ირაკლი ფირუაშვილი**

## პირველი წრე (სამ მოგებამდე)

### აღმოსავლეთი

4 მაისი

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი | 2 |
| ტორონტო | 3 |

**ნიუ იორკი 89:93 ტორონტო**

**ნიუ იორკი: სპრიუელი (29), ჰიუსტონი (16), ტომასი (15 ქულა, 12 მოხსნა)**

**ტორონტო: კარტერი (27), ა. ვილიამსი (18), დევისი (14 ქულა, 12 მოხსნა)**

„მაიმუნობა და ლაზღანდარობა წარსულში დავტოვეთ, ჩვენ ახლა სერიოზული გუნდი ვართ, რომელიც თავს არავის დაუხრის და მუდამ გამარჯვებისთვის იბრძოლებს" — ამაყად განაცხადა „ტორონტო რეპტორზის" ახალგაზრდა ლიდერმა ვინს კარტერმა მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა „მედისონ სკვერ გარდენში" ოცი ათასი ნიუიორკელის თვალწინ მასპინძელი „ნიქსი" უდაძაბულეს ბრძოლაში დასცა და კლუბის ისტორიაში პირველად გადალახა პირველი პლეიოფური ბარიერი. თავად კარტერმა მისი მოკრიტიკენი 27 ქულით ჩააჩუმა.

საზოგადოდ ჩვენს ოკეანგაღმელ კოლეგებს მოსწონთ „ტორონტოს" ერთი კაცის (ცხადია, კარტერის) გუნდად მოხსენიება და ძირითადად, ეს ასეცაა, „დინოზავრთა" მოგება-არმოგება დიდადაა დამოკიდებული ამ ჯეელის ხასიათზე. „ნიუ იორკი" კი გუნდური თამაშის მიმდევარი გახლავთ, თუმც სერიის გადამწყვეტ შეხვედრაში ყველაფერი პირიქით ხდებოდა. სწრაფ გარღვევებთან ერთად ტორონტოელები დალაგებულ კომბინაციურ თამაშშიც სოლიდურად გამოიყურებოდნენ და მასპინძელთა ქებულ დაცვას ბევრ პრობლემას უჩენდნენ. ამასთან ისინი არც საკუთარ ნახევარზე ირჯებოდნენ ურიგოდ. სტუმრებმა მოახერხეს და ასე თუ ისე საიმედოდ ამოკეტეს „ნიქსის" გამთამაშებელი, ყოფილი თავისიანი, მარკ ჯექსონი. შედეგად მასპინძლებს პასების წყარო შეუწყდათ, „ნიქსის" ოლსტარელმა მსროლელმა ალან ჰიუსტონმა კი ამის გამო უხეირო თამაში ჩაატარა და 16 ქულას დასჯერდა. აქედან მან ბოლო მეოთხედში მხოლოდ ორი მოიპოვა.

„ტორონტო" მეოთხე მეოთხედის წინ 11 ქულით დაწინაურდა. „ნიუ იორკს" ჩაეძინა, მხოლოდ მუდამ მშფოთვარე ლატრელ სპრიუელი არ ურიგდებოდა ბედს და იმდენი იბორგა, სანამ თანაგუნდელები არ გამოაღვიძა. მან თავის წილად ბოლო თორმეტწუთეულში 12 ქულა გააკეთა და როცა დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე თანაგუნდელ კურტ ტომასს ჩააგდებინა, „ნიუ იორკი" ერთ ქულამდე დაუახლოვდა მეტოქეს 81:80. ამან სტუმრები როდი დააბნია, მათ კვლავ გაიბრძოლეს ბოლო წუთისთვის ექვსქულიანი უპირატესობა შეიქმნეს, რაც ფაქტობრივად გამარჯვებას ნიშნავდა.

ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ „ტორონტომ" მოიგო და პირველად გავიდა პლეი ოფის მეორე წრეში. ამასთან „დინოზავრებმა" შარშანდელი დამარცხების რევანშიც აიღეს. „ნიუ იორკი" კი ბოლო ათ წელიწადში პირველად გამოეთიშა ბრძოლას პირველივე წრიდან.



ევროპის ქალთა ჩემპიონატი (ვარშავა)

# არახამია ევროპაში მესამეა

## ბუღოლცის მადლით ჩემპიონი მოლდოველი დიდოსტატი გახდა

**სისტემა** კარგია, მაგრამ ცუდად ამუშავესო, დაასკვნეს ექსპერტებმა, როცა ევროპის ქალთა ჩემპიონატის პლეი ოფში სუსტი სქესის ტანჯვას უცქირეს. ზოგ მათგანს ერთ დღეში 8 საათს მოუწია თამაშმა. კაი გაძლება სჭირდება ამას და ალბათ ამიტომ, ბოლოსკენ გამოფიტული მოჭადრაკეები გასაკვირად უაზრო სვლებს აკეთებდნენ. გაიმარჯვა დასვენებამ ანუ მან, ვინც დაფასთან ყველაზე ნაკლები დრო გაატარა. მოლდოველ ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიეზე მოგახსენებთ, რომელიც ამიერიდან არამარტო იმით იქნება ცნობილი, რომ ფრანგი დიდოსტატისა და ვლადიმირ კრამნიკის სეკუნდანტ ჟოელ ლოტიეს ცოლია.

შვიდნი გავიდნენ ჩემპიონის გამოსავლენ პლეი ოფში: სკრიპჩენკო, რუსები — ალისა გალიამოვა-ივანჩუკი, ეკატერინა კოვალევსკაია და ტატიანა სტეპოვაია-დიანჩენკო, რუმინელი კრისტინა ადელა ფოიშორი, იუგოსლაველი ნატაშა ბოიკოვიჩი და ქართველი ქეთევან არახამია-გრანტი. შვიდი ორზე არ იყოფა, ამიტომ ერთი ბედნიერი უბრძოლველად გადიოდა ნახევარფინალში. მისი ვინაობა ტურნირის რეგლამენტით ბუღოლცის კოეფიციენტს უნდა დაედგინა და ამ პარამეტრით უშრომელი ქულები სკრიპჩენკომ მიიღო. ექვსმა დანარჩენმა ამაო პროტესტი გამოთქვა და თამაშს შეუდგა.

რუსებს რუსული ფინალი ელანდებოდათ, რახან 7-დან 3 მოჭადრაკე მათი იყო, მაგრამ მეზობლის გეგმებს ჯვარი პირველად არახამიამ დაუსვა, როცა სტეპოვაიას ორი პარტია მოუგო. იქით კოვალევსკაიამაც ორ პარტიაში აუგო წესი ბოიკოვიჩს და გალიამოვას ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ფოიშორის გაგდება შეძლო. მერე ნახევარფინალში გალიამოვა დაეჯახა დასვენებულ სკრიპჩენკოს, თეთრებით შეუტია, შეცდა და წააგო. მეორე პარტიას არაფერი შეუცვლია და რუსული დერბის იდეამაც ჩაილურის წყალი დალია. მეორე ნახევარფინალში კოვალევსკაიამ მოახერხა არახამიას დამარცხება და გადაქანცული ფინალში ბრძოლის მულამზე მოსულ სკრიპჩენკოს შეხვდა. რუსის თამაში ულონო იყო. პირველ პარტიაში კოვალევსკაიამ ხარისხი აჩუქა მოლდოველს, მეორეში — ცენტრალური პაიკი ანუ თავის მთავარი იმედი და სკრიპჩენკო ევროპის ჩემპიონია, ხოლო საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი ჰყავს: არახამიამ გალიამოვას, იგივე მსოფლიოს პირველობის ექსპრეტენდენტს მოუგო.

ნინო ხურციძე მე-13 ადგილზე გავიდა. ვარშავაში მოთამაშეთაგან იგი მეორე და ბოლო ქართველია, ვინც ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. ნანა ძაგნიძემ ვერ შეძლო 29 საუკეთესოში მოხვედრა, 34-ე ადგილზე გავიდა, ხოლო დანარჩენმა ქართველებმა ჩემპიონატი შემდეგ პოზიციებზე დაასრულეს: 55. ანა მათნაძე; 64. სოფო ხუხაშვილი; 66. სოფო ტერელაძე; 74. სოფო გვეტაძე; 85. მაია ლომინეიშვილი; 97. ლელა ჯავახიშვილი; 105. თამარ ხმიადაშვილი; 115. ნონა გაფრინდაშვილი.

მხოლოდ 50-ე იყო ევროპის პირველი ჩემპიონი, უკრაინელი ნატალია ჟუკოვა, ანუ ახალი საუკუნის ჩემპიონები სხვანი არიან, ისინი წამში მიდი-მოდიან.

**დავით ბულია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გია ახალაძე წარმოგიდგენთ

# ფარჩოობა თელავში













**ყოველ** ვეტერანს, მით უფრო, დამსახურებულსა და სახელოვანს, ცხადია, მოფერება სჭირდება. თელავის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ ამის ჩინებული მაგალითი გვიჩვენა. ცნობილი ქართველი ხელბურთელის თამაზ ანთაძის წვლილი და დამსახურება იქაურებმა უთბილესი ღონისძიებით აღნიშნეს.

თბილისის „ბურევესტნიკის" „ოქროს გუნდის" პირველმა კაპიტანმა თამაზ ანთაძემ, იგივე „ფარჩომ", თამაშს თავი რომ დაანება, სპორტს არ განუდგა. მიუხედავად იმისა, რომ „ალაზანმშენში" წლების მანძილზე სამმართველოს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობდა, ბავშვების მწვრთნელობასაც ასწრებდა და სხვა სახეობებისთვის ყურადღების მიქცევასაც. კერძოდ, მისი აქტიური მონაწილეობით შესაძლებელი გახდა თელავში ჩოგბურთის კორტების მოწყობა, აგრეთვე ცივის მთაზე სამთოთხილამურობის მოყვარულთათვის საბაგირო გზის დამონტაჟება. ბატონი თამაზის უმთავრესი დამსახურება კი, რა თქმა უნდა, სპორტთამაშების სკოლის აგებაა. ანთაძისეული შესაშური მონდომება რომ არა, თელავში ეს შესანიშნავი კომპლექსი არ იარსებებდა. მან სკოლას ოთხი წელი უხელმძღვანელა, 1985 წელს კი სამუშაოდ თბილისში გადავიდა და ოლიმპიური რეზერვის ხელბურთის სკოლა ჩააბარეს.

ახლა უშუალოდ ღონისძიებაზე. „ფარჩოობამ" თელაველთა დიდი ინტერესი გამოიწვია — სპორტსკოლის დარბაზში ტევა არ იყო. მობრძანდნენ კახეთის გუბერნატორი ბიძინა სონღულაშვილი და თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე მედეა მეზვრიშვილი. ვეება კომპლექსი კაპიტალური შეკეთების შემდეგ ბევრად ლამაზად და კოხტად გამოიყურება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მთავარი — სათამაშო მოედნის ახალი იატაკი. ისე, უმაღლესი ხარისხის საფარიანი ეს სარბიელი ცოდოა, რომ მხოლოდ ადგილობრივი დონის შეჯიბრებებზე ცდებოდეს. „ფარჩოობაში" ვეტერანთა სამი გუნდი გამოვიდა — „ქარიშხალა", „რეზოს ბიჭები" და მასპინძელთა ნაკრები. მოთამაშეთა ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ტაიმები მხოლოდ ათ-ათ წუთს გრძელდებოდა. ყველაზე წლოვანი (იმედია, ასაკის გამხელაზე არ გვიწყენს) თავად შეკრების მიზეზი გახლდათ, თუმცა ბატონ თამაზს, 65 წლის კაცს, ასაკისა არაფერი ეტყობა (უქორწინებლობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში). მან სამივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა, ზოგიერთ ბევრად უმცროსზე უფრო ყოჩაღად (ფოტო №1). „რეზოს ბიჭებს" უძღვებოდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რევაზ ჭანტურია, გუნდში კი სხვებთან ერთად იყვნენ ქვეყნის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და მისი მოადგილე მერაბ მეტრეველი (ფოტო №2). ბატონმა ირაკლიმ ძველი დრო გაიხსენა და რამდენიმე აულებელი ბურთიც გაგზავნა მეტოქის კარში (ფოტო №3). „ბურევესტნიკის" სამოციანელთა კაპიტანს პარტნიორობას უწევდა აგრეთვე ოთხმოციანელთა კაპიტანი დიმიტრი აბესაძე (ფოტო №4). „ფარჩოს" ახალგაზრდა და „ძველგაზრდა" მეგობარ-კოლეგათა შორის იყვნენ მასავით საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ბორის კოპალეიშვილი, თამაზ მაცუკაშვილი, ზაზა დოლიძე, ზურაბ კეკელიძე, ამბერკი ტაბიძე, გია ნარიმანიძე, ჯემალ ბარამიძე, ვახტანგ ბერიაშვილი, აქილეს ლაზარიდისი, დავით ქეშიკაშვილი, გია სვიმონიშვილი, თენგიზ ბახსოლიანი, გიორგი კარტოზია, ვახტანგ მეიფარიანი, ირაკლი კეკელიძე და სხვანი (ფოტო №5).

თამაშები იმსაჯეს ჩვენმა ყველაზე სახელოვანმა არბიტრებმა თამაზ ჩხარტიშვილმა და გურამ ძაგანიამ.

ამ სალაღობო ბლიც-მინი-ტურნირის შემდეგ მეძმარიაშვილმა და მეტრეველმა თამაზ ანთაძეს საჩუქრები მიართვეს — სამახსოვრო თასი, სპორტული ფორმა, ხგრეთვე უნიკალური, 40 წლის წინ გადაღებული და იმდროინდელ გერმანულ ჟურნალში მოძიებული „ფარჩოს" პლაკატი (ფოტო №6).

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge